პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბ. საოლქო
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპ., № 16. მეორე სართული
რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 34, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების წითელარმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან., 30 კ.

საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონის ტექსტის ბოლოში—1 მან., ტექსტის შიგნით — 2 მან.; საქართველოს გარეთ: ტექსტის ბოლოს ნონპარელის სტრიქ.—1 მ. 50 კაპ., ტექსტში—3 მან.; განცხადებელი, გარდა განცხადების ფასისა, იხდის 10 % საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთავარ კანტორაში განცხადებები მიიღება 9-დან 3½ საათამდე. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15, 20 და 25 მან. „კომუნისტი"-ს ექსპედიცია მოთავსებულია კამოს ქ. № 68, ტელ. 5—43

დღიური

— პეშევარში (ინდოეთი) შეტაკების დროს მო[illegible]
— გაიხსნა იაპონიის პარლამენტის სესია.
— გრძელდება ინგლისელ ფეიქართა გაფიცვა.
— დამთავრდა თურქესტან-ციმბირის რკინიგზის ლიანდაგის შეერთება.
— საკავშირო სახკომსაბჭომ საქართველოში საავადმყოფოების მშენებლობისათვის გადასდო 340 ათასი მანეთი.

შაბათი, 26 აპრილი 1930 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 96 (2744)

დააჩქარეთ ხელისმოწერა
გაზეთ „კომუნისტ"-ზე
მაისისათვის
მთ. კანტორა—რუსთაველის პრ. № 34. ტელეფონი 8—81.

განუხრელად გავატაროთ ერთმართველობა

სოციალისტური რეკონსტრუქციის მიმდინარე პერიოდში მრეწველობის წინაშე ისახება მრავალი უაღრესი მნიშვნელობის საჭირბოროტო ამოცანები, რომელთა წარმატებით გადაჭრა მთელი თავისი სიმწვავით აყენებს სამეურნეო საქმიანობის ძველი მეთოდებისა და ფორმების საფუძვლიანად გარდაქმნის საკითხს. თავისთავად იგულისხმება, რომ ეს მოითხოვს სამეურნეო მუშაობაში ადმინისტრატიულ-ტექნიკურ ხელმძღვანელობის გადახალისებასა და გაჯანსაღებას. ყველა ეს მომენტები სავსებით და მთლიანად არის გათვალისწინებული ხელმძღვანელ პარტიისა და პროფესიონალური ორგანიზაციების დადგენილებებში მრეწველობის მიმდინარე ამოცანების შესახებ. მთავარი ადგილი ამ დადგენილებებში უჭირავს საწარმოო ერთეულებში პარტიულ, პროფესიონალურ მუშაობის ხელმძღვანელ ორგანიზაციათა თანამშრომლობის მოგვარების საკითხს. ის მდგომარეობა, რომელიც ამ მხრივ იყო და ბევრგან დღემდეც გრძელდება, შეუძლებლად ხდის მრეწველობის წინაშე მდგომ მთელ რიგ მძიმე ამოცანათა წარმატებით გადაჭრას. ფუნქციათა არევა საწარმოო ერთეულის „სამკუთხედში" (პარტუჯრედი - პროფორგანიზაცია - ადმინისტრაცია),—მდგომარეობა, როცა ხშირად საწარმოში ძნელი ხდება იმის პოვნა, თუ სად იწყება პარტუჯრედის და ქარხკომის მოვალეობა და სად თავდება ადმინისტრატიულ-ტეხნიკურ პერსონალის უფლება-მოვალეობანი, — უდიდეს დაბრკოლებად ეღობება წინ არა მარტო წარმოებას, არამედ პარტიულ და პროფესიონალურ მუშაობასაც. ამიტომ ერთმმართველობის განუხრელად და თავის დროზე გატარება ერთ-ერთი იმ ძირითად გადაუდებელ ღონისძიებათაგანია, რომელიც ქმნის საჭირო ნიადაგს სახალხო მეურნეობის შემდგომი წარმატებითი განვითარებისათვის.

როგორია ამ მხრივ დღეს საქმის ნამდვილი ვითარება? რამდენად აქტიურად და მტკიცედ ტარდება ცხოვრებაში პარტიისა და ხელისუფლების დირექტივა ერთმმართველობის განხორციელების შესახებ? გადაჭრით უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ **ჯერ კიდევ გარდატეხა არ მომხდარა.** უკეთეს შემთხვევაში მთელ რიგ საწარმოებში ადგილობრივი ხელმძღვანელი მუშაკები დაკმაყოფილდნენ მხოლოდ „კამპანიის ჩატარებით". პარტიის, პროფსაბჭოს და ს. მ. უ. ს. დადგენილებანი ერთმმართველობის შესახებ ბევრგან განხილულ იქნა საერთო კრებებზე მოხსენებების წესით. **საქმით კი მეტად ცოტა რამ გაკეთდა.** მუშაობის ძველი პრაქტიკა, ფუნქციათა არევა „სამკუთხედში" ისევ გრძელდება და უდიდეს დაბრკოლებათ ეღობება წინ სახალხო მეურნეობის განვითარებას. ამას თვალსაჩინოდ მოწმობს შემდეგი რამდენიმე ფაქტი.

თბილისის სადურგლო-ავეჯეულობის ფაბრიკის დირექტორად დააწინაურეს მუშა, რომელმაც შესაფერი ადმინისტრატიული ნიჭი გამოიჩინა. ადგილობრივ ორგანიზაციებს კი არ მოეწონათ დირექტორის ასეთი ვითომ „ადმინისტრატიული" განხრა. მაგრამ შემდეგ ისინი იძულებული გახდნენ ამას შერიგებოდნენ. ამ ქარხანას ამჟამად მთელ სატყეო მრეწველობაში მოწინავე ადგილი უკავია თავისი სამეურნეო მიღწევებით.

ბორჯომის სატყეო ქარხანაში ადმინისტრატიულ საქმიანობაში ერევა „სამკუთხედის" ორი დანარჩენი მონაწილეც. უფრო მეტიც, აქ ადმინისტრატიულ ფუნქციებს კომკავშირის უჯრედიც ითვისებს. ასე მაგალითად, კომკავშირის უჯრედმა მოხსნა ქარხნიდან და თავისი დავალებით სხვაგან გაგზავნა ორი მუშა, რამაც შეაფერხა საქმე ქარხანაში. ადმინისტრაციამ ამის შესახებ მხოლოდ იმის შემდეგ გაიგო, როცა მუშები უკვე გაგზავნილი იყვნენ სხვაგან სამუშაოდ.

თელავის აბრეშუმის ქარხანაში ადმინისტრატიულ ფუნქციებს დირექტორის მაგიერ ასრულებს ფაბკომის თავმჯდომარე და კომუჯრედის მდივანი. ამ ნიადაგზე ადგილი აქვს მრავალ გაუგებრობას. ფაბრიკის საწყობის გამგე უჯრედის მდივანიც არის. ალბად ამის გამო ის დირექტორის განკარგულებას არ სცნობს თავისთვის სავალდებულოდ.

ასეთი ფაქტების მოყვანა მრავალზე მრავალი შეიძლებოდა. მაგრამ ესეც საკმაოა იმის დასახასიათებლად, თუ რამდენად ცუდი მდგომარეობაა ერთმმართველობის გატარების მხრივ.

ერთმმართველობის გატარების ასეთ შეფერხებაში პასუხისმგებელი არიან როგორც ადგილობრივი პარტიული და პროფესიონალური ორგანიზაციები, ისე ადმინისტრატიული პერსონალიც. პირველნი ასე ადვილად ვერ ურიგდებიან ადმინისტრატიულ-ოპერატიული ფუნქციების დათმობას, რაც ბევრგან „დაკანონებულ" ბოროტებად გადაიქცა. მეორე მხრით ადმინისტრატიულ-ტეხნიკური პერსონალი ხშირად გაურბის ერთმმართველობის განხორციელებას, რადგან ეს პირველ ყოვლისა გულისხმობს პასუხისმგებლობის გაძლიერებას საწარმოს სამეურნეო მდგომარეობისათვის, რადგან ერთმმართველობა ავალებს ადმინისტრატორს მეტ თაოსნობას და მოქნილობას მუშაობაში. სრულიადაც შემთხვევითი არაა ის გარემოება, რომ იქ, სადაც საწარმოო-საფინანსო გეგმის შესრულება ვერ ხერხდება, გატარებული არაა ერთმმართველობის პრინციპიც.

ასეთ ყოვლად დაუშვებელ მდგომარეობას გადაჭრით უნდა მოეღოს ბოლო. სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შემოწმების დროს და ფაბქარხკომების საარჩევნო კამპანიაში, რომელიც მიმდინარე წლის პირველ მაისიდან დაიწყება, განსაკუთრებული ყურადღებით უნდა იქნას შეფასებული თვითეული საწარმოს მუშაობა იმ მხრივ, თუ რა პრაქტიკული ნაბიჯები გადასდგა მან ერთმმართველობის განსახორციელებლად.

მეტი გამბედაობა, მეტი სიმტკიცე ერთმმართველობის გატარებაში.

ლენინური ცეკას ხელმძღვანელობით—ახალი მიღწევებისაკენ

ჩვენი პარტიის უდიდესი ორგანიზაციის — მოსკოვის ორგანიზაციის ახლახან გამოქვეყნებული მიმართვა უაღრესად მნიშვნელოვან დოკუმენტს წარმოადგენს პარტიის ცხოვრებაში. ეს მიმართვა, რომელიც ჯამს უკეთებს მშენებლობას პარტიის მე-15 ყრილობის დროიდან და ითვალისწინებს პარტიის ძირითად ამოცანებს მე-16 ყრილობისათვის მზადებასთან დაკავშირებით, ადასტურებს, რომ ჩვენი პარტიის მოწინავე ორგანიზაცია მთელი თავისი ბოლშევიკური სიმტკიცით და თავგამოდებით იბრძვის პარტიის გენერალური ხაზის პრაქტიკული განხორციელებისათვის, ინდუსტრიალიზაციის ტემპების დაჩქარებისათვის, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისათვის და პარტიის მთავარ ლოზუნგის—კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის—განხორციელებისათვის მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონებში.

პარტიის მე-15 ყრილობის დროიდან უდიდეს წარმატებებს მივაღწიეთ. ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეტევა მშენებლობის ყველა ფრონტზე. პარტიამ გამოიწვია მილიონების აქტივობა და სოციალისტური მშენებლობისათვის აამოძრავა მუშებისა და გლეხების ახალ-ახალი ფენები, მას შეუძლია აღნიშნოს მთელი სოციალისტური მშენებლობის ტემპების დაჩქარება. ჩვენი ქვეყნის გარდაქმნის ხუთწლიანი გეგმის ოთხ წელიწადში განხორციელების რეალობას ყოველდღე და ყოველ საათს ადასტურებს პრაქტიკული მუშაობის გამოცდილება. წინა პერიოდის მიღწევათა და მრეწველობის სწრაფი ზრდის საფუძველზე, პარტიის იმ სწორი პოლიტიკის საფუძველზე, რომელმაც განამტკიცა მუშათა კლასისა და ღარიბი გლეხობის კავშირი საშუალო გლეხთან,—ჩვენმა ქვეყანამ განვითარების უფრო მაღალ საფეხურს მიაღწია და ახლა იგი იმყოფება ახალს ეტაპზე. ამ ეტაპს ახასიათებს მრეწველობის უდიდესი სოციალისტური რეკონსტრუქცია, მისი ხელმძღვანელი და გარდამქმნელი როლის გაძლიერება, გლეხობის ღარიბ და საშუალო მასების გადაჭრით გადახრა სოციალიზმისაკენ, მთლიანი კოლექტივიზაციის განხორციელება და კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაცია მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონებში.

ფრიად თვალსაჩინო წარმატებებს მივაღწიეთ ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის საქმეში. პარტიამ მთელი თავისი ძალღონით უნდა იბრძოლოს ამ წარმატებათა მკვიდრად განმტკიცებისათვის და შემდგომი ბოლშევიკური წინსვლისათვის. ამავე დროს მან ყველა პრაქტიკული დასკვნა უნდა გამოიყვანოს განვლილი თვეების უდიდესი გამოცდილებიდან. პარტია მოვალეა, თავის მუშაობაში სრული ანგარიში გაუწიოს და ბოლშევიკური ანალიზი გაუკეთოს პარტიული ხაზის შეცდომებსა და გამრუდებას, რასაც აქ ადგილი ჰქონდა. სხვადასხვა არამარცვლეულმა რაიონებმა თუმცა ისინი წინასწარი მუშაობით მომზადებულნი არ იყვნენ, გადასწყვიტეს, კოლექტივიზაციის პრაქტიკულ განხორციელებაში გაუსწორდნენ იმ ძირითად მარცვლეულ რაიონებს, რომლებიც წელსვე ანხორციელებენ მთლიან კოლექტივიზაციას.

ამხ. სტალინმა თავის წერილში „პასუხი ამხანაგ კოლმეურნეებს" აღნიშნა, რომ გლეხთა საკითხში შეცდომების საფუძველს შეადგენს „არასწორი მი[illegible]ომა საშუალო გლეხისადმი, ძალადობის ჩადენა საშუალო გლეხთან სამეურნეო ურთიერთობაში; დავიწყება იმისა, რომ სამეურნეო კავშირი საშუალო მასებთან დამყარებული უნდა იყოს არა ძალადობის ზომებზე, არამედ საშუალო გლეხთან შეთანხმებისა და კავშირის საფუძველზე; დავიწყება იმისა, რომ საკოლმეურნეო მოძრაობის საფუძველს ამჟამად შეადგენს მუშათა კლასისა და ღარიბი გლეხობის კავშირი საშუალო გლეხთან კაპიტალიზმის წინააღმდეგ საერთოდ და კულაკობის წინააღმდეგ განსაკუთრებით". პარტია სწორედ იმიტომ შეებრძოლა და ებრძვის ასეთი ძალით გადახვევებს, რომ ეს გადახვევანი არღვევენ პოლიტიკის ძირითად პრინციპს—მუშათა კლასისა და ღარიბი გლეხობის კავშირს საშუალო გლეხთან.

მოსკოვის კომიტეტის პლენუმი თავის მიმართვაში ბოლშევიკური პირდაპირობით აშკარავებს ჩადენილ შეცდომებს. ამ შეცდომებს, პირველ ყოვლისა, ის შეადგენს, რომ, ცენტრალური კომიტეტის 6 იანვრის დირექტივების მიუხედავად, მოსკოვის საოლქო ორგანიზაციამ, მისი ხელმძღვანელი ორგანოს—მოსკოვის კომიტეტის მეთაურობით თავის მუშაობაში მეტის-მეტი აჩქარება გამოიჩინა, საკმაო ანგარიში არ გაუწია ოლქის თავისებურებას, „გამოეკიდა კოლექტივიზაციის გაბერილ ციფრებს" (სტალინის წერილი) და მიზნად დაისახა სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის დამთავრება 1930 წლის გაზაფხულზე. ამ დიდ პოლიტიკურ შეცდომას სხვადასხვა სერიოზული შედეგი მოჰყვა. ასეთი გეზი აძნელებდა და ანელებდა ბრძოლას გადახვევებთან, რამდენადმე ასაზრდოებდა მათ და აძნელებდა ბრძოლას ადმინისტრატიულ ზეწოლებასთან.

„პარტიის სწორი ხაზიდან ასეთ გადახვევათა წყალობით,— ნათქვამია მიმართვაში,— კოლექტივიზაციის გეგმა, რომელიც დასახული იყო თვით გლეხთა მასების კოლმეურნეობებისაკენ ფართო მისწრაფების საფუძველზე, ჩაშლილ იქნა, რამაც თვალსაჩინოდ გააძნელა სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის დასახული საწარმოო ამოცანათა განხორციელება".

ჩვენი პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დროზე მიუთითა, რომ საჭიროა გადამწყვეტი ბრძოლა გადახვევებისა და დამახინჯებების წინააღმდეგ და მტკიცე ხელით დაეხმარა მათი საფუძვლიანად გამოსწორების გზაზე დადგომაში.

კოლექტივიზაციის გზაზე წარმატებით წინსვლისათვის საჭიროა გადაჭრით მოისპოს უმთავრესი დაბრკოლებანი— პარტიული ხაზის გამრუდებანი და გადახვევანი. წინსვლისათვის საჭიროა მთელი ბოლშევიკური გულახდილობით აღვიაროთ და ბოლომდე გამოვაშკარაოთ ჩადენილი შეცდომები, რათა მათი განმეორება არ მოხდეს.

ზოგჯერ, ჩადენილი შეცდომების გამართლების მიზნით, ამტკიცებენ, რომ გლეხების გამოსვლა კოლმეურნეობებიდან სრულიად ბუნებრივია, ვინაიდან ისეთ მასიურ მოძრაობაში, როგორიც არის კოლექტივიზაცია, კოლმეურნეობებში მისწრაფების ტალღას აუცილებლად მოჰყვება ტალღის უკუქცევა, რომელსაც თავის მხრივ ისევ მოჰყვება მისწრაფება კოლმეურნეობებისაკენ და სხვა. ასეთი შეცდომა ძირიან-ფესვიანად შემცდარია. მისი მიზანია— მიაფუჩეჩოს და ჩაფარცხოს ჩადენილი შეცდომები. ეს ხელსაყრელია გადამხვევლებისათვის. გადახვევანი და გამრუდებანი, როგორც უაღრესად არსებითი მიზეზი, რომელიც აძლიერებს საშუალო გლეხის მერყეობას, უკანა რიგზე იწევენ, რამდენადაც „გამოსვლის ტალღა" „ბუნებრივად" მოსდევს „მისწრაფების ტალღას". ასეთი მტკიცება ყველაფერს საშუალო გლეხის მერყეობას აბრალებს. იგი აძნელებს ჩადენილი ტლანქი შეცდომების გამოსწორებას. ის ემსგავსება იმ თეორიას, რომელიც ამბობს, რომ სოფელი თავისთავად განვითარდება სოციალიზმისაკენ. ჩადენილი შეცდომების გამოსწორების მოწინააღმდეგენი სიამოვნებით ებღაუჭებიან ამ მტკიცებას. მაგრამ მით უფრო მეტი დაჟინებით უნდა ვამხილოთ ამ მტკიცების მთელი შეცდომა.

კოლმეურნეობებიდან გამოსვლის საქმეში არსებითი როლი ითამაშეს გადახვევებმა და გამრუდებებმა, რომლებმაც გააძლიერეს საშუალო გლეხთა მერყეობა. საჭიროა ეს როლი ცხადი გავხადოთ, რათა გადაჭრით და უახლოეს ხანში მოვსპოთ პარტიის ხაზის ეს უაღრესად უხეში სიმახინჯეები. რასაკვირველია, სასაცილო იქნებოდა, რომ ანგარიში არ გაგვეწია საშუალო გლეხის აუცილებელი მერყეობისათვის. მით უმეტეს, დიდის ყურადღებით უნდა გავითვალისწინოთ გაფთრებული აგიტაცია კულაკისა, რომლის წინააღმდეგობა გატარებული განკულაკების შემდეგ უფრო მძვინვარე შეიქმნა. ეს წინააღმდეგობა დაუზოგველად უნდა დავძლიოთ.

ჩადენილი არსებითი შეცდომები გაკვეთილად უნდა გამოიყენონ ჩვენმა პარტიულმა კადრებმა. ნამდვილმა ბოლშევიკურმა მხილებამ და შეცდომების ანალიზმა ხელი უნდა შეუწყონ იმას, რომ ავწიოთ პარტიის წევრთა იდეური დონე, რომ აღვზარდოთ და გავაკაჟოთ პარტიული კადრები. მხოლოდ გაბედულ, უკომპრომისო ბრძოლას პარტიის ხაზის გამრუდებასა და ჩადენილ შეცდომათა მიფუჩეჩებასთან შეუძლია უზრუნველყოს კადრების ნამდვილი ბოლშევიკური აღზრდა. მხოლოდ ამ გზით შეგვიძლია მივაღწიოთ პარტორგანიზაციების მუშაობის საჭირო გარდაქმნას, მეტადრე სოფლად.

მოსკოვის კომიტეტის მიმართვა მთელი თავისი სიმკვეთრით აღნიშნავს პროლეტარული თვითკრიტიკის შემდგომი უაღრესად თამამი გაშლა-განვითარების საჭიროებას. „საკოლმეურნეო მოძრაობაში შეცდომებმა და გადახვევებმა რომ ასეთი ფართო ხასიათი მიიღეს ჩვენს ოლქში, ამის თვალსაჩინო მიზეზი ის არის, რომ საკმაო ბოლშევიკური თვითკრიტიკა არ სწარმოებდა მოსკოვის ორგანიზაციის სხვადასხვა საფეხურზე".

პროლეტარული თვითკრიტიკის შემდგომი გაბედული გაშლა, რაც პარტიის წევრთა იდეურ ზრდას ნიშნავს, და მუშათა და გლეხთა ფართო წრეების შემდგომი ჩაბმა პრაქტიკულ საამშენებლო მუშაობაში, იმავე დროს ხელს შეუწყობს უმოკლეს ვადაში იქნას აცილებული თავიდან გადახრები და გამრუდებანი, რითაც აცილებული იქნება უდიდესი დაბრკოლებები სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის გზაზე.

პროლეტარული თვითკრიტიკის შემდგომი გაბედული გაშლა და შინაპარტიული დემოკრატიის შემდგომი გაშლა და განმტკიცება პარტიას მისცემს შეძლებას საუკეთესოდ ჩაატაროს მე-16 ყრილობის მთელი მოსამზადებელი მუშაობა და უფრო მჭიდროდ დაირაზმოს პარტიის გენერალური ხაზის, ლენინური ცენტრალური კომიტეტის ირგვლივ. პროლეტარული თვითკრიტიკის (არა ტროცკისტების და მემარჯვენე ოპორტუნისტების კრიტიკის, პარტიის მტრების კრიტიკის, არამედ, პირიქით, კრიტიკის, რომელიც მიმართული იქნება მათ წინააღმდეგ, ოპორტუნისტების წინააღმდეგ) შემდგომი გაბედული გაშლა განამტკიცებს პარტიას და დააჩქარებს პარტორგანიზაციების ისეთნაირად გარდაქმნას, რომ ისინი შეგუებულ იქნან რეკონსტრუქციის პერიოდის ტემპებთან, გაუმჯობესდეს მათი ხელმძღვანელობა მასების მიმართ და სხვა.

ჩვენი პარტია სწყვეტს კაპიტალიზმის ფესვების აღმოფხვრის რთულ და მძიმე ამოცანებს. ასეთ პირობებში, განსაკუთრებით კი დაშვებულ შეცდომებთან დაკავშირებით, თავს იჩენენ ყველა ანტიპარტიული ჯგუფები და ცდილობენ შეიძინონ ცოტაოდენი კაპიტალი პარტიის (გამოტოვებულია). მათი მუშაობის გამოცოცხლება გამოხატავს წვრილ ბურჟუაზიული სტიქიის და კულაკობის წინააღმდეგობის ზრდას. მაგრამ პარტია შეუბრალებლად შეებრძოლება ყველა ჯურის ოპორტუნისტებს. პარტია უკუაგდებს უკან დახევის მემარჯვენე ოპორტუნისტულ თეორიას, რომელიც გადახრებთან ბრძოლის ნიღაბქვეშ ცდილობს გაასაღოს მთლიანი კოლექტივიზაციის და კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის უარყოფა. პარტია შეუბრალებლად შეებრძოლება ყველა იმათ, ვინც შეარყევს პარტიის ლენინურ ხაზს.

უსასტიკესი ბრძოლა ოპორტუნიზმთან — მემარჯვენეებთან, როგორც მთავარ საფრთხესთან, და მემარცხენე ოპორტუნისტულ გადახვევებსა და ქანაობასთან, რომელნიც მემარჯვენე გადახრას ჰკვებავენ,— წარმოადგენს ხუთწლიანი გეგმის ოთხ წელიწადში წარმატებით განხორციელების, ინდუსტრიალიზაციის დაჩქარებული ტემპების წარმატებით განხორციელებისა და მთლიანი კოლექტივიზაციის განხორციელების უმნიშვნელოვანეს პირობას. ყოვლად უხეშ შეცდომას სჩადის ის, ვინც ჩქმალავს მემარჯვენე საფრთხეს, როგორც მთავარს, ვინც ჩქმალავს „მემარცხენე" გადახვევათა საფრთხეს და ვინც ვერ ხედავს ყოველგვარ ოპორტუნისტულ ქანაობასთან ბრძოლის გადაჭრით გაძლიერების საჭიროებას.

პარტიამ აგრეთვე მთელი ძალღონით უნდა დასცხოს შემარიგებელ დამოკიდებულებას საშუალო გლეხობის საწინააღმდეგო და მემარჯვენე გადახრებისადმი.

მოსკოვის ორგანიზაცია განსაკუთრებით მნიშვნელოვან როლს თამაშობს ჩვენს პარტიაში. მას დიდი დამსახურება აქვს, როგორც მოწინავე მებრძოლს ყოველგვარ ოპორტუნისტულ ქანაობასთან. იგი თვალსაჩინო როლს თამაშობდა უაღრესად გადამწყვეტ ბრძოლაში ტროცკიზმთან და მემარჯვენე გადახრასთან და ულმობლად ააშკარავებდა მათ კაპიტულიანტურ რაობას. მოსკოვის ორგანიზაცია ამიერიდან ცენტრალური კომიტეტის მტკიცე ლენინური ხელმძღვანელობით აწარმოებს გადამწყვეტ ბრძოლას ორ ფრონტზე— მემარჯვენე და „მემარცხენე" ოპორტუნიზმთან და მათდამი შემარიგებელ დამოკიდებულებასთან.

ლენინური ხაზის განუხრელად გატარებით, ამ ხაზიდან ოდნავ გადახვევის დაუშვებლად პარტია წარმატებით გადასჭრის მის წინაშე დასახულ რთულ ამოცანებს და, პირველ რიგში, გაზაფხულის თესვის გადამწყვეტ კამპანიას. მთელი ძალებისა და მთელი ყურადღების დარაზმვით გაზაფხულის თესვის ნამდვილად ბოლშევიკურად ჩატარებისათვის საბჭოთა და კოლექტიურ მეურნეობებში და ღარიბ და საშუალო გლეხთა ინდივიდუალურ მეურნეობებში, პარტია უზრუნველყოფს სოფლის მეურნეობის შემდგომ, ბევრად უფრო სწრაფ აღორძინებას, განამტკიცებს კოლექტივიზაციის წარმატებებს და ამით მოამზადებს თვალსაჩინო წარმატებებს სოფლის მეურნეობის მთლიანად გარდაქმნისა და მთლიანი კოლექტივიზაციის განხორციელების საქმეში.

ლენინური ხაზის განუხრელად გატარებასთან ერთად პარტია უფრო მეტად გაშლის და გააღრმავებს თავის მუშაობას მუშათა კლასის უფართოეს ფენებს შორის, გამოიწვევს მათში უფრო მეტ აქტივობას, გაშლის და გააღრმავებს მუშაობას ღარიბ გლეხთა და მოჯამაგირეთა შორის და მიაღწევს საშუალო გლეხობასთან კავშირის უფრო მეტ განმტკიცებას, რათა ლახვარი ჩასცეს კულაკს და საბოლოოდ განამტკიცოს სოციალიზმის საქმე.

„პრავდა", 25 აპრილი.

ჩრდილოეთ ამერიკა-საბჭოთა კავშირის სავაჭრო ურთიერთობის გაფართოება

ინგლისის ელჩის მოხსენება საბჭოთა კავშირის შესახებ

ინგლისის საელჩო აღიარებს, რომ რიგიდან ინგლისს ედება ტყუილებისა და ჭორების ნიაღვარი საბჭოთა კავშირის შესახებ

ამერიკა-საბჭოთა კავშირის სავაჭრო ურთიერთობა

ბანკეტი „ამტორგ"-ის თავმჯდომარის ამხ. ბოგდანოვის პატივსაცემად

ჩიკაგო, 23 აპრილი. „ამტორგ"-ის თავმჯდომარის ამხ. **ბოგდანოვის** პატივსაცემად გამართულ ბანკეტს დაესწრო ხელმძღვანელი სამრეწველო ფირმების 175 წარმომადგენელი.

ბანკეტის თავმჯდომარემ, „სულივან მეშინერი კომპანი"-ს ვიცე-პრეზიდენტმა კოპლენდმა თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ „ამტორგ", დაბრკოლებების მიუხედავად, გადაიქცა ერთ-ერთ უდიდეს ფირმად ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებულ შტატებში. მან განსაკუთრებულ წარმატებას მიაღწია.

„კონტინენტალ ილიონის ბენკ ენდ ტრესტ კომპანი"-ს ვიცე-პრეზიდენტმა დენსმა თავის სიტყვაში განაცხადა:

„გადამეტებული წარმოების ახლანდელ პერიოდში საგარეო ვაჭრობა განსაკუთრებულ მნიშვნელობას ღებულობს. საბჭოთა კავშირი ერთ-ერთი, უმნიშვნელოვანესი ბაზარია ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებული შტატებისათვის. საბჭოთა კავშირი წარმოადგენს თითქმის განუსაზღვრელ შესაძლებლობას ვაჭრობის გაფართოებისათვის. ამერიკა-საბჭოთა ვაჭრობა ორივე მხრისათვის ხელსაყრელია. როდესაც ჩვენ საქონელს ვყიდით საბჭოთა კავშირზე, მზად უნდა ვიყოთ იმისთვისაც, რომ თვალსაჩინოდ ვისარგებლოთ საბჭოთა ექსპორტით".

ამხ. ბოგდანოვმა თავისი სიტყვა მოანდომა საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმის მიმოხილვას და ამერიკა-საბჭოთა ვაჭრობის პერსპექტივებს. (ადს).

პირველი მაისის წინ

გერმანიის კომპარტიის საპირველმაისო მოწოდება

ბერლინი, 24 აპრილი. გამოქვეყნდა გერმანიის კომპარტიის საპირველმაისო მოწოდება. ცენტრალური კომიტეტი მოაგონებს გერმანიის მუშათა კლასს, რომ **გასული წლის 1 მაისს სოციალ-დემოკრატიამ ბურჟუაზიული სახელმწიფო აპარატის დახმარებით მოაწყო სისხლისმღვრელი თავდასხმა ბერლინის პროლეტარიატის საპირველმაისო დემონსტრაციაზე. მოჰკლეს 33 მუშა და დასჭრეს 300-ზე მეტი.**

„გერმანიის მუშები,— ნათქვამია მოწოდებაში,— არ დაივიწყებენ შარშანდელ მსხვერპლს. **1930 წლის 1 მაისი ჩატარებული იქნება კლასობრივ წინააღმდეგობათა გამწვავების ნიშანქვეშ.** სოციალ-დემოკრატიის მიერ დათესილმა თესლმა ნაყოფი გამოიღო. ბურჟუაზიული ბლოკის მთავრობას იერიში მიაქვს გერმანიის მშრომელ მოსახლეობაზე. გადასახადების ტვირთი, შიმშილის გამომწვევი ბაჟები, როგორიც არც ერთ კაპიტალისტურ სახელმწიფოს არ უნახავს, რაციონალიზაციის ახალი ტალღა, შრომის ხელფასის შემცირება და ამავე დროს სიძვირის ზრდა,— აი ბურჟუაზიული ბლოკის პროგრამა. **სოციალ-დემოკრატია მთავრობის გარედ ყოფნის დროსაც კი წარმოადგენს ბურჟუაზიის მთავარ დასაყრდენს, კაპიტალისტური წყობილების ბურჯს".**

შემდეგ მოწოდება ხაზგასმით აღნიშნავს კონტრასტს გერმანიის მუშების გაჭირვებასა და იმ მდგომარეობას შორის, რომელიც არსებობს **საბჭოთა კავშირში, სადაც პროლეტარიატის დიქტატურის ხელმძღვანელობით, სწარმოებს სოციალიზმის ბუმბერაზიული მშენებლობა, ინდუსტრიალიზაცია, კოლექტივიზაცია, სადაც განხორციელებულია შვიდი საათის სამუშაო დღე, ხუთდღიანი კვირა, სადაც ხდება პროლეტარიატის კეთილდღეობის საერთო გაუმჯობესება.** ომი, შიმშილი და ბურჟუაზიის დიქტატურა,— აი პროგრამა კონტრ-რევოლუციონური ფრონტისა შემრან მიულერიდან ჰუგენბერგამდე. **პროლეტარიატი 1 მაისს უნდა გამოვიდეს კლასობრივი მტრების ამ ფრონტის წინააღმდეგ.**

კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი **მოუწოდებს უპარტიო მუშებს და ორგანიზაციულად შეკავშირებულ სოციალ-დემოკრატ კათოლიკე მუშებს** —1 მაისს გამოვიდნენ დემონსტრაციაზე **კომუნისტ მუშებთან ერთად** კლასობრივი ბრძოლის ლოზუნგებით მუშათა კლასის ხელისუფლებისათვის, კაპიტალიზმის დამხობისათვის და ყველა საწარმოებში მასიური პოლიტიკური გაფიცვების ჩატარებისათვის. (ადს)

იზრდება რევოლუციური მოძრაობა ჩინეთში

გლეხთა და ჯარისკაცთა საბჭოები ჩინეთის სოფლებში

შანხაი, 24 აპრილი. აქ მიღებული ცნობებით, ჩჟიანის პროვინციის 78 მაზრიდან 38 მაზრას ამბოხება მოედო. მოძრაობაში მონაწილეობას უმთავრესად გლეხები იღებენ.

ლინხაის მაზრაში არაერთხელ მოხდა შეტაკება ერთის მხრივ გლეხებისა და წითელი არმიის რაზმებსა და მეორეს მხრივ მთავრობის ჯარს შორის. მეტ წილად იმარჯვებდა წითელი არმია, რომელმაც ყველგან იარაღი აჰყარა მთავრობის ჯარს. ლინხაის მაზრის ბევრი სოფელი არმიისა და რევოლუციონური გლეხობის ხელშია.

გუანსის პროვინციაში გლეხთა მოძრაობა სწრაფად გავრცელდა მას შემდეგ, რაც ბოსეში (პროვინციის დასავლეთ ნაწილში, იუნანის საზღვრის მახლობლად) საბჭოთა მთავრობა მოეწყო. ბევრ სოფელში მოეწყო გლეხთა და არმიელთა დეპუტატების საბჭოები.

ძიანსუს პროვინციაში წითელ არმიელთა პირველი რაზმები, რომლებშიაც სულ 300 კაცი ირიცხებოდა, პირველად გამოჩნდნენ გასული წლის შემოდგომაზე. ამ რაზმებმა უდიდესი მუშაობა განავითარეს და ბრძოლაში 100.000 გლეხზე მეტი ჩააბეს. ჰონკონგში თავი მოიყარა 24.000 ლტოლვილმა, რომელთ, უდიდეს უმრავლესობას მემამულეები, სოფლის მევახშეები და ხელისუფლების წარმომადგენლები შეადგენენ. ისინი ყველანი გამოიქცნენ გლეხთა და წითელარმიელთა იმ რაზმების შიშით, რომელნიც გუანდუნის სამხრეთ და აღმოსავლეთ რაიონებში მოქმედებენ. (ადს).

მუშათა პარტიის მთავრობის თვალთმაქცობა

ლონდონი, 24 აპრილი. ინგლისის მუშათა სასპორტო ორგანიზაციის ცენტრალურმა კომიტეტმა გამოაქვეყნა ცნობა, რომელშიაც აღნიშნულია: „შინაგან საქმეთა მინისტრის ის გადაწყვეტილება, რომ ინგლისში შემოსვლა აუკრძალოს საბჭოთა ფეხბურთელებს ააშკარავებს მუშათა პარტიის მთავრობის თვალთმაქცობას: მუშათა პარტიის მთავრობა მუშათა კლასის ინტერესების წინააღმდეგ მოქმედებს" (ადს).

საელჩოს მოხსენება ინგლისის მთავრობას

ლონდონი, 24 აპრილი. „მანჩესტერ გარდიენ"-ში დაიბეჭდა საკუთარი კორესპონდენტის ვრცელი წერილი რელიგიის მდგომარეობის შესახებ საბჭოთა კავშირში. წერილში მოყვანილია ინგლისის მოსკოველი ელჩის აზრი ამ საკითხზე

მოხსენებაში, რომელიც ელჩმა ოვეიმ ინგლისის მთავრობას გაუგზავნა, ის აზრია გატარებული, რომ საბჭოთა კავშირში რელიგიის დევნა, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით არ არის. კორესპონდენტი სწერს: „მე ვიცი, რომ ინგლისის საელჩო მოსკოვში ძალიან სწუხს იმ სიცრუისა და დამახინჯების გამო, რომლებსაც ინგლისის გაზეთებს რიგიდან უხვად აწვდიან. რუსის ხალხი ახლა დარწმუნებულია, რომ მას თავს დაესხმიან და რომ ინგლისი სათავეში უდგას მის წინააღმდეგ მომქმედ სახელმწიფოთა ჯგუფს".

ინგლისის საელჩოს მოსკოვში ძალიან აწუხებს აგრეთვე, ინგლისისა და საბჭოთა კავშირის სავაჭრო ურთიერთობის არა დამაკმაყოფილებელი მდგომარეობა. საელჩოს აზრით, ხუთწლიანი გეგმა წარმატებით იქნება შესრულებული. საელჩოს ეშინია, რომ თუ ინგლისელები თავის დროზე არ „გაიღვიძებენ", ისინი ძალიან დაიგვიანებენ. (ადს).

კაპიტალიზმის აგენტების შურისძიება

დაწვრილებითი ცნობები ზავერცეში მომხდარ ამბების შესახებ

ვარშავა, 24 აპრილი. დაკრძალეს ზავერცის (დომბროვის რაიონი) დემონსტრაციის დროს პოლიციის მიერ მოკლული ორი მუშა. პოლიციის განკარგულებით დაკრძალვა მოხდა დილით ადრე, მაგრამ დაკრძალვას მაინც მრავალი მუშა დაესწრო. სამგლოვიარო პროცესია ყოველი მხრიდან შემორტყმული იყო პოლიციის ძლიერი რაზმებით. პოლიცია შეიარაღებული იყო თოფებით.

„კურიერ პოძენნი" ათავსებს დაწვრილებით ცნობებს ზავერცეში მომხდარი სისხლისმღვრელი შეტაკების შესახებ და სწერს, რომ ფორმაში გამოწყობილი ზოგიერთი ჯარისკაცები იბრძოდა პოლიციის წინააღმდეგ უმუშევართა მხარეზე. დაპატიმრებულთა შორის არის ერთი სამხედრო პირი.

„ზავერცის ამბები,—სწერს „გაზეტა ვარშავსკა",—გამაფრთხილებელ ნიშნად უნდა გადაიქცეს. ჩვენს ქვეყანაში მეტად ბევრი ასაფეთქებელი ნივთიერება დაგროვდა".

პოლიტიკურ პატიმართა წამება რუმინეთის საპყრობილეებში

ვენა, 24 აპრილი. „როტე ფანე" იუწყება, რომ რუმინეთის საპყრობილეებში პოლიტიკური პატიმრები საშინელ პირობებში იმყოფებიან. პოლიტიკურ პატიმრებს სცემენ და აწამებენ. ამას წინად დაფტანის საპყრობილის 28 პოლიტიკურ პატიმარს დღისით აშკარად სცემეს გამყოლმა ჟანდარმებმა. პატიმრები სიკვდილს გადაურჩნენ მხოლოდ თავმოყრილი ხალხის ჩარევის წყალობით.

გალაცის დისციპლინარულ საპყრობილეში მოთავსებულ 200 პოლიტპატიმარს სისტემატიურად სცემენ. ისინი ყველანი მძიმედ დაავადმყოფდნენ. 60 წლის მუშა ქალს ფლორესკუს, 8 შვილის დედას, საშინელი წამების შედეგად ჩამტვრეული აღმოაჩნდა გვერდები, ხოლო ხელი და ფეხი გადატეხილი.

მიშელას საპყრობილეში ადმინისტრაცია სხვადასხვა საბაბით რეზინის ჯოხებით სცემს პატიმრებს. პატიმრებს სცემენ კერძოდ იმისათვის, რომ ისინი საკმაო პატივისცემით არ ეპყრობიან ადმინისტრაციას. ამ საპყრობილეში პოლიტპატიმრებმა ამასწინად 35 დღეს იშიმშილეს. (ადს)

ინდოეთი ინგლისის იმპერიალიზმის წინააღმდეგ

სერიოზული მღელვარება პეშავარში

ლონდონი, 23 აპრილი. პეშავარში (ინდოეთი) სერიოზული მღელვარება მოხდა. აჯანყება ჩააქრო ჯარმა, რომელმაც აჯანყებულებს თოფები და ტყვიამფრქვევები დაუშინა. მოჰკლეს 20 აჯანყებული. აჯანყებულებმა ხელში ჩაიგდეს ჯავშნიანი ავტომობილი, გადაასხეს მას პარაფინის ზეთი და ცეცხლი წაუკიდეს. დაიწვა ჯავშნიან ავტომობილში მყოფი ორი ჯარისკაცი. ბაზარში მოჰკლეს ინგლისელი სერჟანტი, რომელიც მოტოციკლეტით მიდიოდა. (ადს)

დაწვრილებითი ცნობები მღელვარების შესახებ

ლონდონი, 24 აპრილი. ბომბეიდან იუწყებიან დაწვრილებით ცნობებს იმ სერიოზული მღელვარების შესახებ, რომელიც 23 აპრილს პეშევარში მოხდა. სრულიად ინდოეთის ნაციონალური კონგრესის ორი წევრის დაპატიმრების გამო, დემონსტრანტები მიესიენ პოლიციას. დაუშინეს მას ქვები და უკან დაახევინეს. რამდენიმე პოლიციელი დაიჭრა. დასახმარებლად გამოიწვიეს ჯარი, რომელმაც სცადა დემონსტრანტების გაფანტვა, მაგრამ, ძლიერი წინააღმდეგობის გამო, იძულებული გახდა უკან დაეხია. ჯარმა შეტაკების ადგილას ორი ჯავშნიანი ავტომობილი დასტოვა. დემონსტრანტებმა ჯავშნიან ავტომობილებს ნავთი გადაასხეს, დაამტვრიეს ისინი და მოჰკლეს ორი ინგლისელი ჯარისკაცი. შემდეგ დემონსტრანტებმა იერიში მიიტანეს ფოსტაზე და ქალაქის ბევრ უბანში გადასჭრეს ტელეგრაფის მავთულები. საბაზრო მოედანზე დემონსტრანტებმა დააყენეს მოტოციკლეტით მიმავალი ინგლისელი ჯარისკაცი და ცულით აჰკუწეს იგი. თავს დაესხნენ პოლიციის სამმართველოს. ადგილობრივმა ჯარმა საღამოსათვის დემონსტრანტები გარეკა ტყვიამფრქვევების სროლით. მოკლულ იქნა 12 დემონსტრანტი, დაიჭრა მრავალი. პეშევარის ქალაქის კარებს ჯარი იცავს. ხელისუფლების ადგილობრივი წარმომადგენელნი შიშობენ, ქალაქს მოსაზღვრე ტომები არ დაესხნენ. (ადს).

მღელვარების მიზეზები

ლონდონი, 24 აპრილი. პეშავარში მომხდარი მღელვარება გამოიწვია სრულიად ინდოეთის ნაციონალური კონგრესის ოთხი წევრის დაპატიმრებამ. დაპატიმრების შემდეგ დაუყოვნებლივ გამოცხადდა სამგლოვიარო გაფიცვა და გაიმართა დემონსტრაციები.

პოლიციელთა სპეციალური რაზმები ინდოეთის რევოლუციონური მოძრაობის წინააღმდეგ საბრძოლველად

ლონდონი, 24 აპრილი. კალკუტაში სდგება პოლიციელთა სპეციალური რაზმები რევოლუციონური მოძრაობის წინააღმდეგ საბრძოლველად. ახლო მომავალში ყველა ინგლისელს და ინგლის-ინდოეთის მთავრობის მოხელეთა უმრავლესობას იარაღი დაურიგდება. (ადს).

ინგლისის ფეიქართა ბრძოლა

შალეულის მრეწველობის მუშები გაფიცვას განაგრძობენ

ლონდონი, 24 აპრილი. მიუხედავად იმისა, რომ მრეწველნი ყოველნაირად სცდილობენ ჩაშალონ შალეულის მრეწველობის მუშათა გაფიცვა, ბრძოლა წინანდებური თავგამოდებით გრძელდება. ნაწილობრივი მუშაობა მხოლოდ სამ ფაბრიკაში სწარმოებს. რეფორმისტები სცდილობენ ხელთ იგდონ საგაფიცვო მოძრაობის მეთაურობა, რისთვისაც საგაფიცვო კომიტეტების პიკეტებთან ერთად თავიანთ პიკეტებსაც აწყობენ და პროვოკაციული მოქმედებით შეტაკებებსაც კი იწვევენ გაფიცულებს შორის ფაბრიკის შესავალთან.

ცენტრალურმა საგაფიცვო კომიტეტმა გაშალა ენერგიული კამპანია საგაფიცვო კომიტეტების შექმნისათვის ყოველ ფაბრიკაში. საფაბრიკო კომიტეტები აირჩევენ დელეგატებს ცენტრალური საგაფიცვო კომიტეტის აღმასკომში, რომელსაც ექნება სხვადასხვა განყოფილება, გაფიცულთათვის დახმარების გაწევის, პიკეტების მოწყობის, პრესის და სხვ. ლონდონში, გლაზგოში, კილმარნოკში, დენდიში და შეფილდში გაფიცულთა დამხმარე კომიტეტები მართავენ მიტინგებს, რომლებზედაც გაფიცულ მუშათა წარმომადგენელნი მოუწოდებენ დამსწრეთ—მხარი დაუჭირონ გაფიცულებს. ფეიქართა პროფკავშირის ზოგიერთმა ორგანიზაციამ უკვე გაგზავნა სახსრები მუშათა დამხმარე საერთაშორისო კომიტეტის ფონდში (ადს).

ვ. ი. ლენინის სიტყვა

სახალხო განათლების ამოცანების შესახებ

ქვემოთ დაბეჭდილი დოკუმენტი წარმოადგენს სტენოგრამას ვ. ი. ლენინის სიტყვისას, რომელიც მან 1920 წლის 25 თებერვალს წარმოსთქვა სკოლის გარეშე განათლების ქვეგანყოფილებათა თათბირზე.

—:—

ვ. ი. ლენინის სიტყვა ეხება კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის ამოცანებს ჩვენი ქვეყნის ტეხნიკური და ეკონომიური გარდაქმნის პრაქტიკულ ამოცანებთან შეფარდებით.

(სიტყვის სტენოგრამა დაცულია ლენინის ინსტიტუტის არქივში).

„ნება მომეცით, სახ. კომისართა საბჭოს სახელით მივესალმო თქვენს თათბირს და ამის გამო რამდენიმე აზრი გადმოგცეთ.

რაც შეეხება ჩვენს საერთაშორისო მდგომარეობას, მე შემიძლია გაცნობოთ იმ რადიოს შესახებ, რომელიც დღეს მივიღეთ ინგლისიდან და რომელიც საუკეთესოდ ახასიათებს ამ საერთაშორისო მდგომარეობას. რადიო იუწყება, რომ გუშინ, 24 რიცხვს, მოკავშირე სახელმწიფოთა ცენტრალური საბჭო შემდეგ დასკვნას დაადგა: თუ რუსეთის მოსაზღვრე სახელმწიფოები შეეკითხებიან პოლიტიკის შესახებ, იგი ეტყვის, რომ მათ ვერ ურჩევს ომს, რომელმაც შეიძლება მათ ინტერესებს ავნოს, და უფრო ნაკლებ შეუძლია ურჩიოს მათ დაიწყონ შეტევითი ომი რუსეთის წინააღმდეგ, მაგრამ თუ რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკა თავს დაესხმის მათ კანონიერ საზღვრებს, მოკავშირეთა საბჭო დახმარებას გაუწევს მათ. შემდეგ ბატონ მოკავშირეებს სურთ გამოგზავნონ რუსეთში კომისია, რომელიც ეკუთვნის შრომის კომისიას ვაშინგტონში. კონფერენციის მომწყობნი სოციალ-გამცემლები ალბერტ ტომას შეუთანხმდნენ ზოგიერთი სოციალისტური რეფორმების შესახებ; მათ სურთ ეს ხალხი, რომელიც წარმოადგენს ერთა ლიგის ნაწილს, გამოგზავნონ რუსეთში, რათა გამოარკვიონ, თუ რამდენად შეეფერება რუსეთის პირობები „კულტურულ" სახელმწიფოთა ჩვეულებრივ მოთხოვნებს. ეს ცნობა მოკავშირეთა გუშინდელი გადაწყვეტილების შესახებ ნათლად გვიჩვენებს, თუ როგორ დაიბნენ ეს ვაჟბატონები და რა სარგებლობის მიღება შეგვიძლია მათი დაბნეულობიდან. მათ ასი მილიონები გადააყარეს ომისათვის მხარის დასაჭერად (ინგლისის სახელმწიფოს მხრით) და განაცხადეს, რომ ომს ამის შემდეგ მხარს ველარ დაუჭერენ. ამით მათი შეტევის უნი დამთავრდა, თუმცა სამხედრო იარაღ-მოწყობილების მოზიდვა პოლონეთში გრძელდება. ისინი განაგრძობენ იარაღის მოზიდვას და ჩვენ სწორი ცნობები გვაქვს, რომ პოლონეთი შეტევისათვის დანიშნული ჯარების გადაჯგუფებას ახდენს, ისე რომ დარწმუნებით ვერ ვენდობით მათს განცხადებას. თუმცა ახლა მოკავშირეთა მხრით საგარეო საშიშროების ყოველგვარი საფრთხის ცხრა მეათედი მოისპო, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, ერთგვარი საფრთხე რჩება: დენიკინის წინააღმდეგ მიმართული ომის დამთავრების შემდეგ დაგვჭირდება სამხედრო გამზადებულობის შენარჩუნება. სრულ დემობილიზაციაზე ვერ ვიფიქრებთ.

ამგვარად, საერთაშორისო კაპიტალიზმის რუსეთზე თავდასხმის საფრთხის ცხრამეათედი გაჰქრა: მათ ღირსეული მარცხი განიცადეს, იმდენად ღირსეული, რომ წინადადება შეაქვთ (უკვე მერამდენედ?) კომისიის გაგზავნის შესახებ რუსეთში! თუ ამ კომისიაში იქნებიან იმ ალბერტ ტომას მსგავსი ვაჟბატონები, რომელიც რუსეთს ეწვია ომის დროს, მაშინ არაფერი გამოვა, გარდა იმისა, რომ მათთვის ეს სკანდალი იქნება, ხოლო ჩვენთვის საუცხოო საბაბი აგიტაციისათვის. ჩვენ მათ ისე დავხვდებით, რომ ისინი რაც შეიძლება ჩქარა აიბარგებიან რუსეთიდან და არაფერი არ გამოუვათ, გარდა აგიტაციისა სხვა ქვეყნების მუშებისათვის. მათ დაშინება სურთ, ხოლო რამდენაც ჩვენ ვიტყვით, რომ ჩვენ ძვირფას სტუმრებს შევხვდებით — ისინი დამალავენ თავიანთ ცდას. ეს გვიდასტურებს, თუ რამდენად დაიბნენ ისინი. ახლა ჩვენ სარკმელი გვაქვს ევროპისაკენ ესტონეთთან მშვიდობიანობის ჩამოგდების წყალობით და შეგვიძლია იქიდან ძირითადი პროდუქტები მივიღოთ. ჩვენი საერთაშორისო მდგომარეობა მართლაც უდიდეს პროგრესსა და გაუმჯობესებას წარმოადგენს.

ყოველგვარი საგარეო საფრთხის ცხრა მეათედი საბჭოთა რესპუბლიკისათვის მოსპობილია.

რაც უფრო მეტად ისპობა საფრთხე, მით უფრო მეტად შეგვიძლია ხელი მოვკიდოთ მშვიდობიანი მშენებლობისათვის საჭირო მუშაობას და ჩვენ იმედს ვამყარებთ თქვენზე, რომლებიც მუშაობთ სკოლის გარეშე განათლების დარგში. სასკოლო განათლების უფრო სერიოზულად მოწესრიგებისათვის საჭიროა სხვადასხვა მატერიალური ცვლილება: სკოლების აგება, მასწავლებლების შერჩევა და შინაგანი რეფორმები მასწავლებელთა პერსონალის ორგანიზაციისა და შერჩევისათვის. ყველაფერი ეს ისეთი რამ არის, რაც ხანგრძლივ მომზადებას მოითხოვს. სკოლის გარეშე განათლების მიმართ თქვენ ამ ხანგრძლივი მომზადებით ძალიან შევიწროებულნი ხართ. ძალიან იზრდება მოსახლეობის მოთხოვნილება — განათლება მიიღოს დაწესებული სასკოლო სისტემის გარეშე. იზრდება აგრეთვე საჭიროება მუშაკებისა ამ დარგში. ჩვენ გვჯერა, რომ საერთო დახმარებითა და საერთო ძალ-ღონით უფრო მეტი გაკეთდება, ვიდრე დღემდე გაკეთდა.

დასასრულ ვიტყვი, როგორი ხასიათის უნდა იყოს სკოლის გარეშე განათლება, რომელიც პროპაგანდასა და აგიტაციასთან არის დაკავშირებული. სწავლისა და განათლების დაყენების ერთ-ერთ ძირითად ნაკლს კაპიტალისტურ ქვეყნებში შეადგენდა ის, რომ იგი ძირითადი ამოცანის დარგში მოწყვეტილი იყო შრომის ორგანიზაციას, რამდენადაც კაპიტალისტს სჭირდებოდა შეეკრიბა და მოემზადებია მორჩილი და გაწვრთნილი მუშები. კაპიტალისტურ საზოგადოებაში არ არსებობდა კავშირი სახალხო შრომის ნამდვილ ამოცანებსა და სწავლების შორის. გამოდიოდა მკვდარი, სქოლასტიური, მღვდლების გავლენით შერყვნილი სწავლება, რომელიც ყველგან უაღრესად დემოკრატიულ რესპუბლიკებშიაც მიისწრაფოდა იქითკენ, ჩაეხშო ყოველივე ცოცხალი და საღი. უშუალო ცოცხალი მუშაობა გაძნელებული იყო იმიტომ, რომ, სახელმწიფო ხელისუფლების აპარატის გარეშე, მატერიალური და ფინანსიური დახმარების გარეშე განათლების ფართოდ დაყენება არ შეიძლება. რამდენადაც ჩვენ შეგვიძლია და უნდა ვემზადოთ მთელი ჩვენი საბჭოთა ცხოვრების გადასაყვანად სამხედრო მზადებისა და სამხედრო წინააღმდეგობის ლიანდაგიდან მშვიდობიანი მშენებლობის ლიანდაგზე, იმდენად, საჭირო და აუცილებელია თქვენთვის, სკოლის გარეშე განათლების მუშაკებისათვის, გაითვალისწინოთ ეს ცვლილება თქვენს საპროპაგანდო მუშაობაში მისი ამოცანების შესახებ, და პროგრამაც ამ ცვლილებას უნდა შეეფარდოს.

რათა დაგანახოთ, თუ როგორ მესმის მე განათლების, მასწავლებლობის აღზრდის და სწავლების ამოცანა და მთელი ხასიათი, საბჭოთა რესპუბლიკის შეცვლილ პირობებთან შეფარდებით, მოგაგონებთ უკანასკნელ რეზოლიუციას ელექტროფიკაციის შესახებ, რომელიც ცაკის უკანასკნელმა სესიამ მიიღო. ამ დღეებში გაზეთებში დაიბეჭდა ცნობა იმის შესახებ, რომ ორი თვის ვადაში (ოფიციალურ ცნობაში ნათქვამი იყო ორი კვირის ვადაში — ეს შეცდომაა) შემუშავდება ჩვენი ჩვენის ელექტროფიკაციის გეგმა, ნავარაუდევი, 2-3 წლისთვის, 10 წლის პროგრამა მინიმუმისა და მაქსიმუმის მიხედვით. მთელი ჩვენი პროპაგანდის და წმინდა პარტიული სასკოლო სწავლების და განათლების ხასიათი და ხასიათი სკოლის გარეშე სწავლებისა უნდა შეიცვალოს იმ აზრით კი არა, რომ შეცვლილ იქნას სწავლების თვით საფუძვლები და მიმართულება, არამედ იმ აზრით, რომ შეეფარდოს ამ მოღვაწეობის ხასიათი მშვიდობიან მშენებლობაზე გადასვლას ჩვენი ქვეყნის სამრეწველო და ეკონომიური გარდაქმნის ფართო გეგმით, ეს იმიტომ, რომ საერთო ეკონომიური სიძნელე და საერთო ამოცანა არის ქვეყნის ეკონომიურ ძალთა ისეთნაირად აღდგენა, რომ წვრილი გლეხური მეურნეობის გვერდით პროლეტარულმა რევოლუციამ შეჰქმნას ეკონომიური ცხოვრების ახალი საფუძვლები. აქამდე გლეხი სესხად აძლევდა პურს მუშათა სახელმწიფოს. პურში მიღებული ფერადი ქაღალდი — ფული გლეხს ვერ დააკმაყოფილებს. გლეხი არ იქნება ამით დაკმაყოფილებული და მოითხოვს კანონიერ უფლებას: მის მიერ გაღებული პურის სანაცვლოდ მიეცეს მას მრეწველობის პროდუქტი, რომლის მიცემაც ჩვენ არ შეგვიძლია იმ დრომდე, სანამ არ აღვადგენთ მეურნეობას. აღდგენა ძირითადი ამოცანაა, მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია აღვადგინოთ ძველ ეკონომიურ და ტეხნიკურ საფუძველზე. ეს შეუძლებელია და ტეხნიკურად ველურობა იქნება. უნდა გამოვნახოთ სხვა საფუძველი. ასეთ ახალ საფუძველს წარმოადგენს ელექტროფიკაციის გეგმა. ჩვენ გლეხობის, როგორც ყველაზე ნაკლებად განვითარებული მასის, წინაშე გამოვდივართ იმის მითითებით, თუ რამდენად არის საჭირო მთელი საბჭოთა მშენებლობის წარმატებისათვის ახალი გადასვლა კულტურისა და ტეხნიკური განათლების უფრო მაღალ საფეხურზე.

ამრიგად საჭიროა მეურნეობის აღდგენა. ყველაზე უმეცარ გლეხს ესმის, რომ მეურნეობა დანგრეულია ომით და რომ ამ მეურნეობის აღგენის გარეშე მას არ შეუძლია დაძლიოს სიღატაკე — მიიღოს საჭირო პროდუქტები პურზე გადასაცვლელად. სწორედ გლეხობის ამ უშუალო და საარსებო საჭიროებას უნდა დაუკავშირდეს და ჩაეჭიდოს მთელი მუშაობა განათლების და სკოლის გარეშე განათლების პროპაგანდის საქმეში, რათა ეს მუშაობა არ მოსწყდეს ყოველდღიური ცხოვრების ყველაზე საარსებო საჭიროებებს, არამედ სწორედ გამოდიოდეს ამ საჭიროებათა განვითარებიდან და გლეხის მიერ ამ საჭიროებათა შეგნებიდან, ამასთან ხაზგასმით უნდა აღინიშნავდეს, რომ გამოსავალი მხოლოდ მრეწველობის აღდგენაშია. მაგრამ მრეწველობის აღდგენა არ შეიძლება ძველ ნიადაგზე: იგი აღდგენილი უნდა იქნას თანამედროვე ტეხნიკის ნიადაგზე. ეს ნიშნავს მრეწველობის ელექტროფიკაციას და კულტურის დონის აწევას. ელექტრონის სადგურებს მოითხოვენ 10 წლამდე მუშაობას, მაგრამ ეს მუშაობა უფრო კულტურული და შეგნებული უნდა იყოს.

ჩვენ გავშლით მუშაობის ფართო გეგმას, რომელიც გლეხობის ფართო მასების წარმოდგენაში დაკავშირებული უნდა იყოს მკაფიო და პრაქტიკულად დასახულ მიზანთან. ეს არ შეიძლება რამდენიმე თვეში გაკეთდეს. პროგრამა მინიმუმის მიცემა შეიძლება არა უმცირეს 3 წლის ვადისა. მაგრამ უტოპიების დაუსახავად შეიძლება ითქვას, რომ 10 წლის განმავლობაში ჩვენ შეგვიძლია დავფაროთ მთელი რუსეთი ელექტრონის სადგურების ქსელით და გადავიდეთ ელექტრონის მრეწველობის ისეთ მდგომარეობაზე, რომელმაც უნდა დააკმაყოფილოს ტეხნიკის თანამედროვე მოთხოვნილებანი და ბოლო მოუღოს ძველ გლეხურ მიწათმფლობელობას. იგი მოითხოვს უფრო მაღალ კულტურასა და განათლებას. არ უნდა დავუმალოთ თავს, რომ ახლა უშუალო პრაქტიკულ ამოცანას წარმოადგენს ტრანსპორტის აღდგენა და სურსათის მიწოდება, რომ ნაყოფიერების ახლანდელი მდგომარეობის დროს ფართო ამოცანების დასახვა არ შეიძლება, ხოლო პროპაგანდისა და განათლების სფეროში ეს ამოცანა მთლიანი გარდაქმნისა კულტურულ-ტეხნიკურ საჭიროებებთან შეფარდებულ ნიადაგზე თქვენ მაინც მხედველობაში უნდა იქონიოთ და უნდა შეასრულოთ იგი.

ჩვენ დიდის სისწრაფით განვიკურნებით პროპაგანდის ძველი მეთოდებისაგან, რომელნიც სცოდავდნენ იმით, რომ მოძველებულნი იყვნენ, რომელნიც დღემდე გლეხთან მიდიოდნენ ზოგადი ფრაზებით კლასობრივი ბრძოლის შესახებ, რომლების ნიადაგზედაც იგონებდნენ ყოველგვარ სისულელეს პროლეტარული კულტურის შესახებ და სხვ., ვერ განვიკურნებით იმ ნაგვისაგან, რომელიც ძალიან ჰგავს ბავშური ასაკის საყმაწვილო სენს, აგიტაციის პროპაგანდაში ჩვენ საგანმანათლებლო მოქმედებიდან გადავალთ უფრო ფხიზელი და საქმიანი საკითხის დასმაზე, საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენელთათვის უფრო ღირსეული საკითხის დასმაზე, იმ წარმომადგენელთათვის, რომელთაც ორი წლის განმავლობაში ზოგი რამ ისწავლეს და რომელნიც გლეხთან მიდიან მთელი ჩვენი მრეწველობის გადაქმნის პრაქტიკული, საქმიანი და ნათელი გეგმით და იმის ახსნით, რომ ახლა გლეხი და მუშა, განათლების ახლანდელ მდგომარეობაში, ამ ამოცანას ვერ შეასრულებენ და სიბინძურეს, სახადს და ავადმყოფობებს თავს ვერ დააღწევენ. ეს პრაქტიკული ამოცანა, კულტურისა და განათლების ამაღლებასთან ნათლად დაკავშირებული, ეს ამოცანა უნდა გადაიქცეს იმ კვანძად, რომლის ირგვლივ უნდა დაგროვდეს ჩვენი პარტიული პროპაგანდის და ჩვენი პედაგოგობისა და სწავლების მთელი ხასიათი. მაშინ იგი ისე მაგრად ჩაეჭიდება გლეხთა მასის საარსებო ინტერესებს, ისე დააკავშირებს კულტურისა და ცოდნის საერთო ამაღლებას საჭირბოროტო ეკონომიურ საკითხებთან, რომ ჩვენ ერთი ასად გავაძლიერებთ მუშათა მასებს განათლების მოთხოვნილებას. ჩვენ ღრმად დარწმუნებული ვართ, რომ თუ ჩვენ ორ წელიწადში გადავჭერით უძნელეს სამხედრო ამოცანას, 5-10 წელიწადში გადავჭრით უფრო ძნელ ამოცანას: კულტურულ-საგანმანათლებლო ამოცანას.

აი ის დებულება, რომლითაც მინდოდა „თქვენთვის მომემართნა".

მტაცებელთა ჯგუფის აღმოჩენა ქარხანაში

სამარცხვინო შემთხვევა

ხარკოვი, 25 აპრილი. სახელმწიფო ელექტრო ქარხნის ერთ-ერთ საამქროში გამოაშკარავებულ იქნა შემდეგი სამარცხვინო შემთხვევა: ამხ. სტალინის სახელობის კომუნა, რომელიც 24 მუშას აერთიანებდა, სისტემატიურ მტაცებლობას ეწეოდა. ამ საამქროში ერთ მუშას შეუძლია სამი დაზგის გაძღოლა. კომუნის წევრებმა კი, ზედმეტი ფულის მიღების მიზნით და ადმინისტრაციისა და პროფორგანიზაციის დაუდევრობის წყალობით, იწყეს ხუთ-ექვს დაზგაზე მუშაობა. აშკარაა, რომ ამას წუნდადებული საქონლის რიცხვის ზრდა უნდა გამოეწვია. ამ დიდი რიცხვის დასამალავად კომუნის წევრები წუნდადებულ პროდუქციას უვარგის ნარჩენებში ურევდნენ. უნდა აღინიშნოს, რომ კომუნის წევრები მუშაობდნენ მეტად დეფიციტიან საზღვარგარეთულ ლითონზე. ყოველივე ეს გამოირკვა. აღმოჩნდა აგრეთვე, რომ ამ კომუნაში წესად იყო მიღებული ერთმანეთის წასარჩლება და დაფარვა, რასაც განსაკუთრებით მისდევდნენ პარტიის წევრები—კუზნეცი, მიშჩენკო და ვირუხოვი. კომუნა დაშლილ იქნა. განზრახულია კომუნის ზოგიერთი წევრის, პარტიელის პარტიიდან გამორიცხვა. ეს შემთხვევა გვიჩვენებს, რომ სოციალისტური შეჯიბრების მასიური შემოწმება სავსებით დროულია. (ადს).

კოლმეურნეობების განმტკიცებისათვის

საკოლმეურნეო მშენებლობის გამოკვლევა

მოსკოვი, 25 აპრილი. კოლმეურნეობათა ცენტრი შეუდგა საკოლმეურნეო მშენებლობის ყოველმხრივ გამოკვლევას. კოლმეურნეობათა სრულ სტატისტიკურ გამოკვლევასთან ერთად, რომელიც მთელი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე მოხდება, კოლმეურნეობათა ცენტრმა ზოგკავშირო რესპუბლიკებში და ოლქებში გაგზავნა 30 ინსტრუქტორი და კოოპერატიული ცენტრების მუშაკი სასოფლო-სამეურნეო არტელების, მიწის შეერთებულ-დ დამმუშავებელი ამხანაგობების და კომუნების პრაქტიკული მუშაობის გამოსაკვლევად. სულ მოხდება არა ნაკლებ 150 კომუნის გამოკვლევა. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა შრომის მმართველობის ორგანიზაციას, კადრების მომზადებას და კოლმეურნეობათა კულტურულ-საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. კოლმეურნეობათა გამოკვლევა დამთავრდება 1-ლ ივნისამდე. გამოკვლევის მასალა წარედგინება საკავშირო კომპარტიის (ბ) XVI ყრილობას (ადს).

კოლმეურნეობათა დამატებითი შეღავათების ნამდვილი შესრულების შემოწმება

მოსკოვი, 25 აპრილი. საკავშირო კოლმეურნეობათა ცენტრმა რესპუბლიკანურ კოლმეურნეობათა ცენტრებს და კოლმეურნეობათა კავშირებს დეპეშით წინადადება მისცა — განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ კოლმეურნეობათა დამატებითი შეღავათების ნამდვილად განხორციელების შემოწმებას, კერძოდ, იმას — აწოდებენ თუ არა თავის დროზე კრედიტებს ქვედა საფეხურებს და ეძლევათ თუ არა ორმაგი ავანსი იმათ, ვინც მზესუმზირას და სიმინდს გეგმით გათვალისწინებულზე მეტი რაოდენობით დათესს. თვალყური უნდა ადევნონ აგრეთვე იმას, რომ საკონტრაქტაციო ხელშეკრულებებში შეტანილი იქნას პირობა კოლმეურნეობათათვის ზეთისა და კოპტონის მიცემის შესახებ მზესუმზირის გაყიდვის დროს (ადს).

დაშვებული შეცდომები სწორდება

მინსკი, 25 აპრილი. ბელორუსიის კომპარტიის (ბ) მინსკის საოლქო კომიტეტის ბიურომ და საოლქო საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმმა მოისმინეს მოხსენება თესვის და კოლექტივიზაციის მიმდინარეობის შესახებ და აღნიშნეს, რომ, მიუხედავად პარტიის ცენტრალური კომიტეტის გარკვეული დირექტივებისა, საოლქო პარტხელმძღვანელობამ დაუშვა მთელი რიგი უხეში პოლიტიკური შეცდომები. ოლქში აღებულ იქნა კურსი კოლექტივიზაციის 1931 წლის გაზაფხულამდე დამთავრებისაკენ. კოლექტივიზაციის ამ უმართებულო ტემპებმა ხელი შეუწყო პარტიის ხაზის დამახინჯებას საოლქო და ადგილობრივი ორგანიზაციების მხრით. მრავალ ადგილას კოლექტიური მეურნეობების შექმნის დროს დარღვეულ იქნა ნებაყოფლობის პრინციპი. იყო შემთხვევები, როდესაც არტელიდან კომუნებში გადაყვანება ხდებოდა. ხდებოდა ფრინველის, შინობების და წვრილფეხა საქონლის განსაზოგადოება.

ამასთან ერთად საოლქო კომიტეტის ბიურო და საოლქო საკონტროლო კომისია აღნიშნავენ ბელორუსიის ცენტრალური ორგანოების მხრით დაშვებულ უმართებულო ხელმძღვანელობას. მაგალითად, ბელორუსიის კოლმეურნეობათა ცენტრმა გამოსცა დირექტივა წვრილფეხა საქონლისა და ფრინველის განსაზოგადოების შესახებ. მიწსახკომიც სწორ ხელმძღვანელობას ვერ უწევდა კოლექტივიზაციის და მიწადმოწყობის საქმეს. ამჟამად ხდება ყველა ამ შეცდომების გამოსწორება ცენტრალური კომიტეტის დადგენილებისა და ამხ. სტალინის წერილის მასებში განმარტების გზით. შეცდომების გამოსწორების შედეგად კოლმეურნეობების წევრთა რიცხვი არა თუ არ კლებულობს, პირიქით, მატულობს.

ამავე დროს, კოლმეურნეობებში და ინდივიდუალურ მეურნეობებში თესვა ფართოდ იშლება (ადს).

კულტურული მშენებლობა ეროვნულ უმცირესობათა შორის

მოსკოვი, 25 აპრილი. კომუნისტურ აკადემიაში, ნაციონალური საკითხის შემსწავლელ კომისიაში, ამხ. დიმანშტეინმა გააკეთა მოხსენება პარტიის ამოცანების შესახებ ეროვნულ უმცირესობათა განათლების საქმეში.

ეროვნულ რესპუბლიკებში კულტურულ ფრონტზე დიდი შეცდომები იყო: პარტიული ხაზის გამრუდება, შოვინისტური და ნაციონალისტური იდეების გავრცელება, ანტი-რელიგიური აღზრდის სისუსტე და სხვა. ყოველივე ეს პარტიას აყენებს — წამოაყენოს ახალი ძალები ეროვნული უმცირესობათა განათლების ფარგლებში სამუშაოდ, ისეთი ძალები, რომლებიც შესძლებენ მტკიცე პარტიული ხაზის გატარებას და ნამდვილი პროლეტარული გავლენის უზრუნველყოფას ეროვნულ უმცირესობათა სკოლებში.

ნაციონალურ რესპუბლიკებში მეტად მწვავედ სდგას კადრების საკითხი. საჭიროა პირველ ყოვლისა ამ კადრების მომზადება. ეს მომზადება უნდა ხდებოდეს კავშირის საერთო სასწავლებლებში და თვით ნაციონალურ რაიონებში. ამავე დროს საჭიროა თავიდან აცილებულ იქნას ნაციონალური კადრების დაქსაქსვა.

ამხ. დიმანშტეინმა დასასრულ აღნიშნა, რომ ყველა ამ საკითხებს გამოუშუქებს მომავალი პარტთათბირი, რომელიც მოწვეული იქნება განათლების საკითხების განსახილველად. ესევე თათბირი შეიმუშავებს პრაქტიკულ ღონისძიებებს შემდგომი მუშაობისათვის (ადს).

სამთამადნო მუშათა კავშირის ცეკას მისალმება აზერბეიჯანის მუშებს

მოსკოვი, 25 აპრილი. სამთამადნო მუშათა ცენტრალური კომიტეტი, მაღაროს მუშების 600 ათასიანი არმიის სახელით, მხურვალე პროლეტარულ სალამს უძღვნის აზერბეიჯანის მუშებს. კომიტეტს სწამს, რომ როგორც წარსულში, აზერბეიჯანის კომპარტიის (ბ) ხელმძღვანელობით და ბაქოს პროლეტარების მოწინავე რაზმის დახმარებით, აზერბეიჯანის მუშები შეასრულებენ მათ წინაშე დასახულ ამოცანებს. ბაქოს მაღაროს მუშები ათი წლის თავზე შეამოწმებენ თავიანთ რიგებს, დარაზმავენ ყურადღებას სამრეწველო-საფინანსო გეგმის შესრულების ირგვლივ და პარტიის მე-16 ყრილობისათვის ბოლოს მოუღებენ შეფერხებას. მაღაროს მუშები, სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლასთან, დამკვრელობის გაფართოებასთან და სოფლის მეურნეობის სოციალისტურ საფუძველზე აქტიურად გარდაქმნასთან ერთად, შეასრულებენ თავიანთ პირობას და ნავთის დარგში ხუთწლედს ორწელიწად ნახევარში განახორციელებენ.

გაუმარჯოს ბაქოს მაღაროს მუშებს!

გაუმარჯოს წითელ აზერბეიჯანს!

გაუმარჯოს ინტერნაციონალურ მთლიანობას!

აზერბეიჯანის კომპარტიის (ბ) ხელმძღვანელობით, წინ ახალი გამარჯვებებისაკენ!

თურქესტან-ციმბირის რკინის გზაზე

[illegible] გზის საზეიმო გახსნისათვის

ალმა-ატა, 25 აპრილი. თურქესტან-ციმბირის რკინის გზის გადაბმა შესაძლებელი გახდა გეგმაზე 6 დღით ადრე. დაიწყო მზადება პირდაპირი მოძრაობის გახსნისათვის. მუშაობის დამთავრება მუშებს შორის უდიდეს აღფრთოვანებას იწვევს. მუშები არაჩვეულებრივ შრომის ნაყოფიერებას იჩენენ, მუშები და მოსამსახურენი სამი თვით ადრე ამთავრებენ რკინა-ბეტონის ხიდის ბურჯების აგებას მდინარე სარი-ბულახზე. გადაბმის დღესასწაულისათვის კოოპერაცია ამზადებს 12.000 სადილს. იკრიბება ახლო-მახლო მოსახლეობა და ბინავდება სადგურის შენობების ირგვლივ. პროფესიონალური ორგანიზაციები გადაბმის ადგილის მიმართულებით აწყობენ ველო-მოტო-გადარბენას. იქითვე იგზავნება საჰაერო ესკადრილია. 27 აპრილს, დილის 9 საათზე, სადგურ ალმა-ატადან გადაბმის ადგილისაკენ გავა მატარებელი მთავრობის წევრებით და სამი მატარებელი სტუმრებით (ადს).

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის საოლქო კომიტეტის პლენუმი

საწარმოო-საფინანსო გეგმის შესრულების შედეგები

(ამხ. პევცოვის მოხსენება)

25 აპრილის საღამოს სხდომაზე პლენუმმა მოისმინა ამხ. პევცოვის მოხსენება 1929-30 სამეურნეო წლის პირველი ნახევრის საწარმოო-საფინანსო გეგმის შესრულების შედეგებზე.

— ფაბრიკა-ქარხნების მთავარ ამოცანას წარმოადგენს, — სთქვა მომხსენებელმა, — საწარმოო საფინანსო-გეგმების გადაჭარბებით შესრულება. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ მუშათა მასები აქტიურად არიან ჩაბმული წარმოების რაციონალიზაციაში და დაინტერესებული არიან გადაჭარბებით შეასრულონ საწარმოო-საფინანსო გეგმა. სოც. შეჯიბრებამ, რომელიც ფართოდ მოედო ჩვენს ფაბრიკა-ქარხნებს, დიდათ შეუწყო ხელი შრომის ნაყოფიერების ზრდას, საწარმოო დისციპლინის განმტკიცებას, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას და სხვა. საერთოდ უნდა ითქვას, რომ საქ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს განკარგულებაში მყოფ წარმოებებმა გეგმა 1,4 პროცენტის გადაჭარბებით შეასრულეს, ადგილობრივ მრეწველობის დარგში კი საწარმოო-საფინანსო გეგმა 1,7 პროც. გადაჭარბებით შესრულდა.

საწარმოო-საფინანსო გეგმა მთლიანად არ შეუსრულებიათ ზოგიერთ წარმოებებს, რომლებიც უმთავრესად სეზონურად მუშაობენ, მაგ. აგურის, საპნის სახარში და სხვა ქარხნებს. გეგმის შეუსრულებლობის მთავარი მიზეზია ნედლი მასალის უქონლობა და ზოგიერთ სამეურნეო ორგანიზაციების დაუდევრობა.

მიმდინარე სამეურნეო წლის პირველ ნახევრის საწარმოო-საფინანსო გეგმის გადაჭარბებით შესრულება ერთხელ კიდევ ამტკიცებს გეგმის რეალობას.

თბილისის ოლქის მრეწველობამ მიმდინარე სამეურნეო წლის პირველ ნახევარში პროდუქცია დაამზადა 58,2 პროცენტით მეტი, ვიდრე გასულ სამეურნეო წლის პირველ ნახევარში. მუშების რიცხვი გაიზარდა 12,6 პროცენტით, შრომის ნაყოფიერება ავიდა 27,9 პროცენტამდე. ხელფასი გაიზარდა 9,8 პროცენტით, გამოშვებულ პროდუქციის თვითღირებულება ამ უკანასკნელი ხუთი თვის განმავლობაში შემცირდა 11,5 პროცენტით.

თბილისის ოლქის მრეწველობის პროდუქციის ღირებულება სამეურნეო წლის პირველ ნახევარში შეადგენს — 33.097 ათას მანეთს; აქედან სახელმწიფო მრეწველობაზე მოდის 27.925 ათასი მანეთი, კოოპერატიულ მრეწველობაზე — 5.054 ათასი მანეთი და კერძო მრეწველობაზე 112 ათასი. მუშები 8.580 კაცზე მეტია.

თბილისის ფაბრიკა-ქარხნებში ჩატარებულ მუშაობის რაციონალიზაციამ დიდი ეკონომია მოგვცა. მარტო თამბაქოს ფაბრიკები წელიწადში 180 ათას მანეთის ეკონომიას გვაძლევენ. დიდი ყურადღება ექცევა მუშების საქმიანი წინადადებების ცხოვრებაში გატარებას. მუშებიდან სულ შემოსულია 429 საქმიანი წინადადება, რომელთა ცხოვრებაში გატარება მოგვცემს წლიურად 480 ათასი მანეთის ეკონომიას. მუშა გამომგონებლებს ჯილდოს სახით მიეცათ 73 ათასი მანეთი.

ამხ. პევცოვის მოხსენების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. **რამიშვილმა, ხაჯალიამ, გოგოშვილმა, გოდაბრელიძემ, მეშველიენმა, დვორიანოვმა, მამულიამ, ოვანოვმა, თხილავამ, მაჩაიძემ და ყურულაშვილმა**.

კამათისა და მოხსენებების საბოლოო სიტყვის შემდეგ პლენუმმა მიიღო რეზოლუციები ამხ. სუხიშვილის, კვარაცხელიას და პევცოვის მოხსენების გარშემო.

მცხეთის რაიონის პარტკონფერენცია

მცხეთა, 25 აპრილი. (ჩვენი კორესპ.) 25 აპრილს, საღამოს 7 საათზე გაიხსნა მცხეთის რაიონული პარტკონფერენცია. კონფერენციის საპატიო პრეზიდიუმში არჩეულ იქნენ ამხ. **სტალინი, ორჯონიკიძე, მოლოტოვი, ვოროშილოვი, მიქოიანი, ცხაკაია, მახარაძე, კახიანი, ღოღობერიძე და სუხიშვილი**. საქმიან პრეზიდიუმში ამხ. **შოვირაძე, მინტკინი, მაჩაიძე, ფურცხვანიძე, დვალი, ღლონტი, ფანცულაია, ცომაია და სხირტლაძე**.

კონფერენციის დღის წესრიგში სდგას შემდეგი საკითხები: 1) რაიონული კომიტეტის საანგარიშო მოხსენება განვლილი მუშაობის შესახებ. 2) რაიონში საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანიის მიმდინარეობა და საკოლმეურნეო მშენებლობის შედეგები, 3) სარაიონო კომიტეტის არჩევა. 4) დელეგატების არჩევა თბილისის საოლქო პარტკონფერენციაზე.

თბილისის საოლქო კომიტეტის სახელით კონფერენციას მიესალმა ამხ. ბ. მაჩაიძე, რომელმაც დაახასიათა პარტიისა და ხელისუფლების მიღწევები და აგრეთვე აღნიშნა ყველა ის დეფექტები, რომელსაც ადგილი ქონდა საკოლმეურნეო მშენებლობის საქმეში. შეეხო სოციალისტური შეჯიბრების საკითხს, საწარმოო-საფინანსო გეგმის შესრულებას, პარტიის ხელმძღვანელობას და სხვ. ამხ. მაჩაიძის მისასალმებელი სიტყვის შემდეგ რაიკომის განვლილი მუშაობის შესახებ ვრცელი საანგარიშო მოხსენება გააკეთა რაიკომის მდივანმა ამხ. ფურცხვანიძემ.

დამატებითი პარტწმენდა

18 აპრილს თბილისის ელექტრო-მექანიკურ ქარხანაში (თემქა) დაიწყო პარტწმენდა იმ ამხანაგებისათვის, რომლებიც საპატიო მიზეზების გამო დღემდე წმენდის გარეშე იყვნენ დარჩენილნი. გამწმენდ კომისიას თავმჯდომარეობს ამხ. ხ. მეგრელიშვილი.

ამხ. მეგრელიშვილმა კრებას გააცნო პარტწმენდის მნიშვნელობა. მოხსენების ირგვლივ გაიმართა გაცხოველებული კამათი. კამათის დასრულების შემდეგ დაიწყო წმენდა. პირველად შემოწმებულ იქნა ხალი მურად ოღლი. გამოირკვა, რომ მას აღმასკომის თავმჯდომარედ ყოფნის დროს უცემია გლეხები, რის გამო სასამართლოს მურად ოღლისათვის 3 წლით პირობით სასჯელი მიუსჯია.

პავლე ბროძილი. ყოფილი მენშევიკურ გვარდიის წევრი 1917—21 წლამდე. გამოირკვა, რომ გვარდიაში ყოფნის დროს სხვადასხვა ბოროტმოქმედებას სჩადიოდა, როგორიცაა მაგ. ყაჩაღობა, მკვლელობა და სხვა. სიცრუით დაჭერებისათვის 1929 წელს დაპატიმრებული ყოფილა.

წმენდას ვერ დაემალა გრიგოლ ბართლომეს ძე კეკელიძე: გამოირკვა, რომ ის არის ხმაჩამორთმეულის შვილი. უნივერსიტეტის პარტ. კოლექტივის ბიუროს გამოურიცხავს პარტიის რიგებიდან და უნივერსიტეტიდან როგორც არასაიმედო ელემენტი. გამწმენდ კომისიას წარმოუდგენია მოწმობა, რომ მას აღდგენილი აქვს საარჩევნო ხმა. აღმოჩნდა, რომ კეკელიძეს უსარგებლია თანამდებობით და მოწმობა თვითონ დაუწერია, ის მსახურობს თბილისის აღმასკომის ხმაჩამორთმეულთა ბიუროში. წმენდა გრძელდება.

განვამტკიცოთ ღარიბი გლეხობის კავშირი საშუალო გლეხობასთან

„ეხლა ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ მოვიზიდოთ კოლმეურნეობათა ხელმძღვანელობის საქმიანობაში საშუალო გლეხთა საუკეთესო ნაწილი“ (სტალინი)

ვამოწმებთ შრომის ორგანიზაციას კოლმეურნეობებში

შრომის მოწესრიგება კოლმეურნეობებში

იმ პრაქტიკული ამოცანების განსახორციელებლად (ნათესების სივრცის გაფართოვება, მოსავლიანობის გადიდება), რომლებიც დასმულია კოლმეურნეობების წინაშე, და საერთოდ მთელი საკოლმეურნეო მშენებლობის შემდგომი წარმატებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს შრომის სწორ ორგანიზაციას კოლექტიურ მეურნეობებში.

მუშა-ხელის სწორად განაწილება, კოლმეურნეთა შრომის და საწარმოო საშუალებების მიზანშეწონილად გამოყენება, მტკიცე შრომის დისციპლინა, გეგმიანობა მუშაობაში, ნარდი მუშაობის შემოღება და კოლმეურნეობის წევრების გარე სამუშაოზე წასვლის მოწესრიგება — ასეთია ძირითადი პირობები, რომლებიც უზრუნველყოფენ თესვის კამპანიის წარმატებას და კოლმეურნეობების შემდგომ ზრდა-განმტკიცებას.

ადგილებიდან მიღებული ცნობები მოწმობენ, რომ იმ კოლმეურნეობებში, სადაც ეს საკითხები ცოტათ თუ ბევრად მოწესრიგებულია — საგაზაფხულო მუშაობაც გაცხოველებით მიმდინარეობს და კოლმეურნეობის ავტორიტეტიც იზრდება ინდივიდუალურ მეურნეთა შორის. ამიტომ შრომის მოწესრიგება იყო და რჩება კოლმეურნეობების ძირითად ამოცანად, რომლისკენაც უნდა იყოს ამჟამად, თესვის პრაქტიკულ ორგანიზაციასთან ერთად, მიპყრობილი კოლმეურნეობათა მუშაკების ყურადღება.

მთავარი, რასაც უნდა მიექცეს ყურადღება შრომის ორგანიზაციის დროს, ეს არის კოლმეურნეთა ძირითადი მასის დაინტერესება კოლექტიურ წარმოების გაუმჯობესებით, შრომის ნაყოფიერების გადიდებით, დისციპლინის განმტკიცებით და სხვ. კოლმეურნეობა მაშინ შესძლებს თავის წარმოების გაუმჯობესებას, როდესაც კოლმეურნენი ყველაზე მაღლა დააყენებენ არა თავის სამომხმარებლო ინტერესებს, არამედ კოლექტიური წარმოების ინტერესებს. ამიტომ კოლმეურნეთა საწარმოო ენტუზიაზმის გაძლიერება, მათი სამეურნეო ინიციატივის გამომჟღავნება და განვითარება, შრომისა და წარმოების საკითხების მოგვარება, ყოველი კოლმეურნეობის მთავარ საზრუნავ საგანს უნდა შეადგენდეს.

რა არის ამისათვის საჭირო?

უპირველეს ყოვლისა აუცილებელია მუშა-ხელის სისწორით აღრიცხვა, სამუშაოთა გეგმის შედგენა, ამ სამუშაოების დანაწილება ბრიგადებზე და ცალკე წევრებზე და შრომის დისციპლინის განმტკიცება, რომ ყოველი კოლმეურნე უკლებლივ და თავის დროზე ცხადდებოდეს სამუშაოზე. მაგრამ მარტო ეს არ კმარა. საჭიროა მუშაობის ისეთი ფორმების გამონახვა, რომ კოლმეურნის შრომამ რაც შეიძლება მეტი ნაყოფი გამოიღოს. ამის მიღწევა კი შეიძლება ნარდი მუშაობის შემოღებით. ნარდი მუშაობა ხელს შეუწყობს თვითეულ წევრის დაინტერესებას და მისი შრომის ნაყოფიერების გადიდებას. ამიტომ მუშაობის ამ სისტემის გატარება ყოველმხრივ უნდა დაჩქარდეს კოლმეურნეობებში.

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ნარდი მუშაობის შემოღება ყველგან ერთნაირად არ მიმდინარეობს. ზოგან მისი გატარების ტემპი ძალზე ნელია. ზოგან კიდევ ნარდი მუშაობა თუმცა გატარებულია, მაგრამ არა მთლიანად. დღეს ჩვენს გაზეთში იბეჭდება კორესპონდენცია ლანჩხუთიდან, რომელშიაც მკითხველი დაინახავს, რომ ლანჩხუთის რაიონის კოლმეურნეობებში შემოღებულია ჯგუფური ნარდი მუშაობა. ინდივიდუალური ნარდი მუშაობის შემოღება კოლექტივებს არ მიაჩნიათ მიზანშეწონილად, მაშინ, როდესაც ეს წესი უფრო უზრუნველყოფს შრომის ნაყოფიერების გადიდებას. კოლექტივების ხელმძღვანელებს საბუთად მოჰყავთ ის, რომ „კოლმეურნეობების წევრებს არ სურთ ინდივიდუალურ ნარდ მუშაობაზე გადასვლა“-ო. ეს ფაქტი ნათლად ამტკიცებს, რომ ახსნა-განმარტებითი მუშაობა შრომის ორგანიზაციის საკითხების გარშემო სუსტად არის დაყენებული.

ზევით ჩვენ ვსთქვით, რომ შრომის სწორი ორგანიზაციის საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს შრომის დისციპლინის განმტკიცებას კოლმეურნეთა შორის. შრომის დისციპლინის განმტკიცების და შრომის ნაყოფიერების გადიდების ერთ-ერთი საშუალებაა სოციალისტური შეჯიბრება და დამკვრელ ბრიგადების მოწყობა. სოციალისტური შეჯიბრება არის წარმოების ორგანიზაციის ძირითადი მეთოდი, ამიტომ მის ფართოდ გავრცელებას კოლმეურნეობებში სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს. ჯერ-ჯერობით მუშაობა ამ მიმართულებით ვერ არის სათანადოთ გაშლილი. თუმცა ზოგიერთმა კოლმეურნეობებმა გამოიწვიეს ერთმანეთი შეჯიბრებაში, მაგრამ ეს შეჯიბრება ჯერ-ჯერობით ქაღალდზე რჩება, პრაქტიკულად კი ჯერ ძალიან ცოტაა გაკეთებული. აუცილებელია ამ მხრივ გაძლიერებულ იქნეს ხელმძღვანელობა კოლმეურნეობებზე, რომლებსაც ჯერ არ აქვთ სათანადო გამოცდილება.

არის ერთი საკითხი, რომელსაც შეუძლია უდიდესი როლი ითამაშოს შრომის სწორ ორგანიზაციის საქმეში. ეს არის ფართო საბჭოთა საზოგადოებრიობის ჩაბმა ამ საქმეში. შრომის ორგანიზაციის საკითხების გარშემო დარაზმულ უნდა იქნეს მთელი საბჭოთა საზოგადოებრიობის ყურადღება, რომ ამ გზით გაუადვილოთ კოლმეურნეობებს ამ უაღრესად მნიშვნელოვანი ამოცანის გადაწყვეტა.

ამ მიზანს ისახავს შრომის ორგანიზაციის შემოწმება კოლმეურნეობებში, რომელიც ამჟამად ტარდება მთელ საბჭოთა კავშირში. შემოწმების ამოცანაა გამორკვევა იმისა, თუ როგორ არის ნამდვილად დაყენებული შრომის ორგანიზაცია თვითეულ კოლმეურნეობაში, როგორი მიღწევებია ამ მხრივ ან რა აბრკოლებს შრომის მოწესრიგებას და სხვ.

თავის-თავად ცხადია, ფართოდ დაყენებულ შრომის ორგანიზაციის შემოწმებას დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია კოლმეურნეობებისათვის. ეს შემოწმება დარაზმავს კოლმეურნეთა ყურადღებას შრომის მოწესრიგების საკითხების გარშემო და ამით ხელს შეუწყობს მათ სწორად გადაჭრას.

ამიტომ შრომის ორგანიზაციის შემოწმების სამზადისის გაძლიერება პრაქტიკულად უნდა დაისვას კოლმეურნეობათა მუშაობის დღის წესრიგში.

კოლმეურნეობებმა ყოველი ღონე უნდა იხმარონ, რომ ეს შემოწმება რაც შეიძლება ფართოდ და ნაყოფიერად იქნეს ჩატარებული.

კ. ლ.

მთავარი ყურადღება შრომის ორგანიზაციას

(ნაგომარის კოლექტივი)

ს. ნაგომარი (ოზურგეთის მაზ.) პატარა თემია. იქ ცხოვრობს 286 კომლი. მოსახლეობის 70 პროც. ღარიბებია. სახნავ-სათესი მიწები ძლიერ ცოტა აქვთ. (ერთ კომლზე მოდის 0,3 ჰექტ.). გასულ წელს კოლექტივში გაერთიანებული იყო 47 კომლი, ანუ 16 პროც., მაგრამ მათ ნათელი წარმოდგენა არ ჰქონდათ კოლექტივში გაერთიანების წესებზე; მიუხედავად ამისა, როცა დაისვა საკითხი მთლიან კოლექტივიზაციაზე გადასვლის შესახებ, მათ უკან არ დაუხევიათ და მთელი 100 პროც. გაერთიანდენ კოლექტივში.

განვლო დრომ. კოლექტივიზაციამ გაიარა რამოდენიმე ეტაპი, მაგრამ ნაგომარის კოლექტივს არც ერთი კაცი არ გამოკლებია. სას.-სამ. არტელის ახალ წესდებაზე თითქმის 100 პროც. მოაწერეს ხელი. კოლექტივი გაათკეცებული ენერგიით შეუდგა მუშაობას. გამოჰყო საბჭო 17 კაცისაგან; გამგეობა 7 კაცისაგან. გამოყოფილია სექტორები: მემინდვრეობის, მეთამბაქოების, ჩაის, მესაქონლეობის, მებაღეობა-მებოსტნეობის, მეწისქვილეობის და და სხ. კოლექტივი დაყოფილია უბნების მიხედვით 4 ბრიგად.; ბრიგადები კი ჯგუფებათ. გამოყოფილია ბრიგადებისა და ჯგუფების ხელმძღვანელები. შედგენილია საწარმოო გეგმა. გამომუშავებულია შრომის ნორმები (სააკორდო მუშაობა) და შრომის ანაზღაურება 5 თანრიგის მიხედვით. პირველი თანრიგით დაწესებულია 1 მან., მეორე თანრიგით — 1—25 კ. მესამე თანრიგით — 1—50 კ., მეოთხე თანრიგით—1—75 კ. და მეხუთე თანრიგით—2 მან. პირველ თანრიგში გათვალისწინებულია უფრო მსუბუქი სამუშაო, მეხუთეში კი უფრო მძიმე და სპეციალური სამუშაო. ყველაფერი ეს დამუშავებული და მიღებულია კოლექტივის საერთო კრებაზე.

ალბათ, მკითხველი იფიქრებს, ყველაფერი რიგზეა... ყველაფერი გაკეთებული ყოფილა, რაც საჭიროა კოლექტივისათვის, მაგრამ პროექტის შედგენა ადვილია, მისი გატარება კი უფრო რთულია და ძნელი. ნაგომარის კოლექტივის გამგეობასაც ასე მოუვიდა. ყველაფერი დაიწერა, რაც საჭირო იყო, მაგრამ მისი ცხოვრებაში გატარება რთული შეიქნა. სიძნელეები მუშაობის პროცესში ამოტივტივდნენ. (ზოგი კიდევაც შეაშფოთა, დააფრთხო სიძნელეებმა, ხოლო ზოგმა არც კი ისურვა მისი დანახვა).

რა სახის არის ეს სიძნელეები? მთავარია შრომის მოუწესრიგებლობა, კოლექტივს არ აქვს კალენდარული გეგმა, თუ რომელი სამუშაო როდის და ვის მიერ უნდა იქნეს შესრულებული. თემში 4 საუბნო ბრიგადაა, არის შემთხვევა, როცა ბრიგადას თავის ფარგლებში ზედმეტი მუშა ხელი ჰყავს და ამავე უბნის სამუშაოზე იგზავნება 3—4 ვერსიდან მეორე ბრიგადის წევრები, რის გამო უმიზნოდ იკარგება სამუშაო დრო. კოლექტივის ზოგიერთი წევრები ვერ არიან საკმაოთ დატვირთულნი, მაშინ როდესაც ჩაისა და სხვა სამუშაო გეგმები შეუსრულებელი რჩება. ქალების შრომა საკმაოდ გამოყენებული არ არის. ასე, მაგალითად: ბრიგადებში და ჯგუფებში მუშა ქალები არ არიან აღრიცხული. მათი სამუშაოზე გასვლა ხდება არა დავალებით, არამედ სურვილით და „ამ სურვილს“ ქალები მიჰყავს მძიმე სამუშაოზე, (რადგან იქ ხელფასი მეტია), როგორიც არის მიწის ბარვა და სხვ. მუშების გამოწვევა და მუშაობის აღრიცხვა დავალებული აქვს ჯგუფის ხელმძღვანელებს; ამავე დროს ჯგუფის ხელმძღვანელები მუშაობენ კოლექტივშიაც. ზედმეტი შრომისათვის მათ გასამრჯელო არ ეძლევათ, რაც უკმაყოფილებას იწვევს ჯგუფის ხელმძღვანელებში, გამგეობის წევრებშიაც ასეთი მდგომარეობაა და ამიტომ არის რომ ბევრი რამ გაუკეთებელი რჩება.

კოლექტივების მუშაობაში მთავარი აღრიცხვის საქმეა. საჭიროა გაგება იმისა, თუ ვინ რამდენ დღეს მუშაობს, რას აკეთებს, როგორი ხარისხისაა მისი მუშაობა და რა ერგება მას. ეს საქმე აქ ცუდათ არის დაყენებული. არ იციან ვინ რა სახის მუშაობა შეასრულა. ასე, მაგალითად: მოხნულია 80 მეტი ჰექტარი მიწა და არ იციან ვინ რამდენი მოხნა. ეს გარემოება უკმაყოფილებას იწვევს შრომის მოყვარულ გლეხებში, გულს უცრუებს კეთილ-სინდისიერათ მომუშავე წევრებს. შრომის მოყვარული გლეხები მოითხოვენ სანარდო მუშაობის შემოღებას, რაც სასწრაფოდ უნდა იქნეს გატარებული ცხოვრებაში.

საკოლმეურნეო მუშაობაში დიდი მნიშვნელობა აქვს შრომის ნაყოფიერების გადიდებას. მისი გაზრდა დამოკიდებულია კოლექტივის სიმტკიცეზე, დისციპლინაზე, ერთსულოვნებაზე, უნარიანობაზე და სოც. შეჯიბრების გაღვივებაზე. სამწუხაროთ აქ შრომის ნაყოფიერების ცუდი შედეგი გვაქვს. ასე, მაგალითად: 586 უღელი ხარის მიერ მოხნულია მხოლოდ 80 ჰექტარი, ანუ 1 ჰექტარი—7,3 უღელი ხარის მიერ, მაშინ როცა 1 ჰექტარი მიწის მოხვნა გეგმით გათვალისწინებულია 4 უღელი ხარის მიერ. ეს ფაქტი აშკარა მაჩვენებელია იმისა, რომ სანარდო მუშაობის გაუტარებლობამ დასცა შრომის ნაყოფიერება.

შრომის ორგანიზაციის საკითხებთან მჭიდროთ დაკავშირებულია მუშაობის ხარისხი. ყოველ ზარმაცს ახასიათებს სამუშაოზე გვიან გამოსვლა, ჩრდილში წამოწოლა, სამუშაოდან ადრე მოხსნა, „გრძელი ენა“ და ცოტა მუშაობა, მუშაობის ცუდი ხარისხი და სხვ. რასაკვირველია, ასეთებისაგან ჩვენი კოლექტივებიც არ არის დაზღვეული. მოხნულ მიწების 40-50 პროც. ცუდი ხარისხის არის; ჩაის მიწები — ნაცვლად 10-12 ვერშოკისა, დაბარულია 4—5 ვერშოკზე. აღნიშნული სამუშაოები ჯგუფების ხელმძღვანელების მიერ ჩაბარებულია სრულიად უშენიშვნოთ.

კოლექტივის ბედ-იღბალი დამოკიდებულია შრომის დისციპლინაზე; ამ შემთხვევაში პირველი მაგალითის მაჩვენებელი უნდა იყვნენ პარტიის წევრები და კომკავშირელები, მაგრამ სამწუხაროთ აქ ასე არ არის. ზოგიერთი პარტწევრები და კომკავშირელები გაურბიან კოლექტივის სამუშაოს. ამით მათ კოლექტივის საქმიანობაში შეაქვთ დეზორგანიზაცია და არღვევენ კოლექტივის წევრთა მტკიცე ნებისყოფას. მათი პარტიის რიგებში მოთმენა აღარ შეიძლება. ჯერ კიდევ მოუგვარებელია ანგარიშ-წარმოების საქმე. ამას ყურადღება უნდა მიექცეს.

კ. უჯმაჯურიძე.

შრომის ორგანიზაცია გურიის კოლექტივებში

(ლანჩხუთის რაიონი)

ლანჩხუთის რაიონი მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონია. აქ 13 თემია და ცამეტივეში მოსახლეობის 90 პროც. კოლექტივებშია. ერთი უბანია მხოლოდ ნინოშვილის თემში, სადაც გლეხობის 80 პროც. არ არის კოლექტივში. ერთ უბანში დაშლილა კოლექტივი, მაგრამ შემდეგ გლეხები ისევ შეკრებილან, კოლექტივი აღუდგენიათ და თავის რიგებიდან 5 კაცი გაუძევებიათ: გაუძევებიათ ისინი, ვისაც არევ-დარევა შეჰქონდა საქმეში, ვინც კოლექტივი დაანგრია.

ეს უბანი მჟუნაგვარაა. ამჟამად კოლექტივებში განწყობილება მტკიცეა და მუშაობაც ენერგიულად სწარმოებს. ახალი წესდების განხილვა კოლექტივებში გაცხოველებით მიმდინარეობს. წესდების განხილვის შემდეგ კოლექტივის წევრები ხელს აწერენ იმაზე, რომ წესდებას ისინი იცნობენ და ეთანხმებიან კიდეც.

კოლექტივების დაარსებამ ხელი შეუწყო მთელი რიგი ახალი კულტურების განვითარებას: კენაფი, ლუფა, არახისი, რამი მკვიდრათ იკიდებს აქ ფეხს. ჩაი ხომ თითქმის მთელ გურიას მოედო.

კოლექტივების განმტკიცებისა და შემდგომი წარმატებისათვის აუცილებელია შრომის სწორი ორგანიზაცია. როგორაა ამ მხრივ საქმე? დარაზმულია თუ არა კოლექტივების აქტივის და თვითეულ წევრის ყურადღება ამ საკითხის გარშემო, დაკავშირებულია თუ არა შრომის ორგანიზაციის გატარება თესვის კამპანიასთან?

რას ითვალისწინებს საწარმოო გეგმა

ლანჩხუთის სასოფლო-სამეურნეო არტელი ამხ. სტალინის სახელს ატარებს. ეს სახელი ავალებს კოლექტივს მოწინავე რიგებში იდგეს და სხვებისათვის მაგალითის მიმცემი და სანიმუშო იყოს. ლანჩხუთის კოლექტივს განსაკუთრებით მოეთხოვება ეს, რადგან საამისო პირობები აქ საკმარისადაა მოცემული, როგორც ნივთიერი, ისე ხელმძღვანელი კადრების სახით. კოლექტივში 1.400-მდე კომლია გაერთიანებული. სახნავი მიწების ფართობი 2045 ჰექტარს უდრის. მიმდინარე წელს განზრახულია დაითესოს 1.590 ჰექტარი სიმინდი, 10 ჰექტარი ლუფა, 100 ჰექტარი სათიბი სოია, 230 ჰექტარი სოია მარცვლის დასაგროვებლად, 10 ჰექტარი არახისი, 100 ჰექტ. კენაფი, 3 ჰექტ. ბრინჯი, 18 ჰექტარი ჩაი და 10 ჰექტარი ბოსტნეული.

ყველაფერი ეს საწარმოო გეგმით არის გათვალისწინებული და მის შესრულებას უაღრესად გეგმიანი, არსებულ საწარმოო საშუალებათა მიზანშეწონილი გამოყენება უნდა. ამჟამად მუშაობა გაცხოველებულია. ხვნა ამ დღეებში დამთავრდება, ზოგიერთ ადგილებში თესვაც დაიწყო. საბოსტნე მიწები დაბარულია და ამჟამად ღობეს ავლებენ. კენაფისათვის მიწა დახნულია, ჩაი დათესილია და სხვ.

სამუშაოთა დანაწილება

საწარმოო გეგმის საფუძველზე სწარმოებს მუშა-ხელის განაწილება სხვადასხვა სამუშაოზე. კვირაში ერთხელ იკრიბება გამგეობა უბნების რწმუნებულებთან ერთად და ამ კრებაზე მუშავდება ერთი კვირის სამუშაო გეგმა. ამ გეგმის მიხედვით თვითეულ ბრიგადის უფროს (ბრიგადაში აქ რამოდენიმე ათეული შედის) ეძლევა დავალება ამა თუ იმ სამუშაოს შესასრულებლად. მართალია გამომუშავებული გეგმა ზუსტად ვერ სრულდება, მაგრამ ეს იმიტომ ხდება, რომ ზოგჯერ ამინდი არ უწყობს ხელს განაწესში დასახელებულ მუშაობის შესრულებას. პირველ ხანებში გეგმის შეუსრულებლობას, ცხადია, ექნება ადგილი, შემდეგ კი თანდათანობით, ალბად, გეგმაც უფრო დახელოვნებით იქნება შედგენილი და უკეთაც შესრულდება. ერთი ნაკლი უნდა აღინიშნოს აქ: ერთი კვირით გათვალისწინებულ მუშაობის გეგმას არ იცნობენ კოლექტივის წევრები. კოლმეურნე ცნობას მუშაობის ხასიათისა და ადგილის შესახებ წინა დღით იღებს ათეულის თავისაგან. გამგეობამ უნდა გაავრცელოს სად და რა ხასიათის სამუშაოზე მოუწევს მას გასვლა.

გამგეობასთან არსებობს შრომის ბიურო, რომელიც ეხლახან ჩამოუყალიბებიათ, მაგრამ მუშაობის განაწილებას და მოწესრიგებას უშუალოთ გამგეობის პრეზიდიუმი ხელმძღვანელობს. გამგეობის წევრთა შორის მოვალეობა შემდეგნაირად არის განაწილებული: გამგეობის თავმჯდომარე საერთო ხელმძღვანელობას უწევს მუშაობას, მისი ერთი მოადგილე საწარმოო ხასიათის საკითხებს განაგებს, მეორე საორგანიზაციო საკითხებს. გარდა ამისა ჩამოყალიბებულია ოთხი სექცია, რომელთა სათავეში გამგეობის წევრები დგანან. ეს სექციებია: სასოფლო-სამეურნეო, საფინანსო-სააღრიცხვო, დამამზადებელ-განმანაწილებელი და საორგანიზაციო-კულტურული.

აქვე უნდა ითქვას, რომ სექციების მუშაობა ჯერ კიდევ არ სჩანს. თემი მთლიან კოლექტივად ითვლება. მთელი ტერიტორია 9 უბნად არის დაყოფილი, თვითეულ უბანში დაარსებულია ბრიგადები, ხოლო ბრიგადები ათეულებისაგან შესდგება.

სანარდო მუშაობა

კოლექტივში ყველა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოზე გამომუშავებულია სათანადო ნორმები. ეს ნორმები შემოწმებულია პრაქტიკული მუშაობის დროს და დამტკიცებულია როგორც საწარმოო თათბირზე, ისე წინასწარ სოფლის გამოცდილ მეურნე გლეხთა თათბირზე.

ყველა სამუშაოები დანაწილებულია სატარიფო ხარისხებათ, სამუშაოთა სირთულის მიხედვით. დირექტივის თანახმად მიღებულია ხუთი თანრიგი; პირველი თანრიგისათვის დაწესებულია შრომის ანაზღაურების ტარიფი 1 მანეთის რაოდენობით. მცირეოდენ გამონაკლისის გარდა, **ყველა სამუშაო ნარდ სისტემაზეა გადაყვანილი, მაგრამ აქ შემოღებულია ჯგუფური ნარდი მუშაობა**, რაც იმაში მდგომარეობს, რომ დასამუშავებელ ფართობის განსაზღვრულ ნაკვეთზე მუშაობს მთელი ათეული ერთად. ათეულის მიერ დამუშავებული სივრცე იზომება და შემდეგ **თანაბრად** ეწერება თვითეულ წევრს. ამ წესს, რა თქმა უნდა, აქვს უპირატესობა მუშაობის „დღიური“ წესით წარმოებასთან შედარებით, მაგრამ აქ არ არსებობს ჯგუფის თვითეული წევრის ინდივიდუალური დაინტერესება და, ამის გამო, შრომის ნაყოფიერებაც ვერ იქნება იმდენად ეფექტიური, როგორც ინდივიდუალური ნარდი მუშაობის დროს. უნდა ითქვას, რომ აქ გაუტარებიათ ზოგიერთი ღონისძიებანი იმისათვის, რომ ჯგუფურ ნარდსაც გამოეღო სათანადო ნაყოფი. ზოგ ათეულებში ერთნაირი შეძლების მუშაკებისათვის მოუყრიათ თავი (ისეთებისათვის, ვინც ერთი მეორეს არ ჩამორჩება მუშაობაში). მოხუცებისათვის ცალკე ათეულები შეუქმნიათ. ამ ღონისძიებებს ერთგვარი ეფექტიც მოუცია, მაგრამ ინდივიდუალური ნარდი მუშაობის მაგიერობას ის, რასაკვირველია, მაინც ვერ გასწევს.

უნდა აღინიშნოს, რომ **გამგეობაში არ არსებობს მტკიცე და გარკვეული აზრი ინდივიდუალური ნარდი სამუშაოს შემოღების სასარგებლოდ**. ის ასეთ ღონისძიებათ მიაჩნიათ, რომლის გატარება „მეტის-მეტად ძნელია და მიმდინარე წელს მოუხერხებელიც“. მიზეზად ის მოსაზრება მოჰყავთ, რომ კოლექტივის წევრები არ დასთანხმდნენ მუშაობის ამ წესზეო. ჩვენ დიდი შრომის დახარჯვა დაგვჭირდა იმის დასამტკიცებლად, რომ აქ შეუძლებელი არაფერია, რომ ინდივიდუალური ნარდი მუშაობის შემოღება მართალია ერთგვარ სიძნელეებთან არის დაკავშირებული, შესაძლოა აქა-იქ ზოგიერთმა გლეხმა წინააღმდეგობაც კი გაუწიოს ამ წესის შემოღებას, მაგრამ მისი უპირატესობა იმდენად თვალსაჩინოა, რომ ამ სიძნელეთა გადასალახავად დახარჯული მუშაობა ათწილად ანაზღაურდება.

ჩვენ საუბარი გვქონდა კოლმეურნეობის წევრებთან ამ საკითხის შესახებ და უნდა გადაჭრით განვაცხადოთ, რომ სათანადო ახსნა-განმარტების შემდეგ გლეხი კმაყოფილებით გადავა ინდივიდუალურ ნარდ მუშაობაზე.

ამის საბუთს, სხვას რომ თავი დავანებოთ, იქვე მეზობლად მოთავსებული აბრეშუმის ტრესტის მეურნეობა იძლევა, სადაც მუშაობა (მიწის დაბარვა) ინდივიდუალური ნარდი წესით სწარმოებს.

სხვათა შორის ჩაის დასათესი ფართობის ბარვაში კოლექტივს აქა-იქ გაუტარებია ინდივიდუალური ნარდი მუშაობა. საჭიროა დაწყებული მუშაობა გაგრძელდეს და შეძლებისდაგვარად ყველა სახის სამუშაოებზე იქნეს გავრცელებული. ეს ღონისძიება ხელს შეუწყობს შრომის დისციპლინის განმტკიცებასაც, თუმცა უნდა ითქვას, რომ საყვედურს ამ მხრივ ვერც ეხლა იტყვის ადამიანი.

სოციალისტური შეჯიბრება

სამუშაოზე დილით 7 საათზე მიდიან კოლექტივის წევრები (ზოგი ჯგუფი უფრო გვიანაც), მუშაობიდან 5—6 საათზე ბრუნდებიან. ისეთ სამუშაოებზე, რომლებიც სოფლიდან საკმარისად დიდი მანძილია დაშორებული, ზოგიერთი ჯგუფები ღამით იქვე რჩებიან, რომ სიარულში უქმად დრო არ დაიკარგოს. ჯგუფებს შორის მუშაობაში გამოცხადებულია შეჯიბრება, მაგრამ ამ შეჯიბრებას არ აქვს ორგანიზაციული ხასიათი. სოციალისტური შეჯიბრების და დამკვრელ ბრიგადების მოწყობის პრაქტიკა კი რაც შეიძლება ფართოდ უნდა გაიშალოს კოლექტივში. ჯერ ამ მხრივ წარმოებული მუშაობა ვერ ჩაითვლება საკმარისად. ლანჩხუთს თაოსნობა უნდა ეკისრებია სხვა კოლექტივების გამოწვევაში სოციალისტურ შეჯიბრებაში. გამოწვევით კი გამოუწვევიათ სუფსა და შუხუთი, მაგრამ ეს გამოწვევა ჯერ გამოწვევად რჩება: ხელშეკრულება დადებული არ არის, შეჯიბრების პირობებიც არ დაუმუშავებიათ და ამ საკითხის გარშემო **კოლექტივის წევრთა საერთო მასის ყურადღება არ არის დარაზმული** ისე, როგორც საჭიროა.

აღრიცხვა

მუშაობის ნორმალურად მსვლელობისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს აღრიცხვის საქმის სწორად დაყენებას. მარტივი აღრიცხვა კოლექტივს მოგვარებული აქვს. ტაბელების ნუსხიდან შეიძლება გაგებულ იქნას როგორც ნამუშევარი დღეების, ისე ნამუშევარის რაოდენობაც. იგივე არ ითქმის ხარისხის შესახებ. აღრიცხვის ამგვარი წესი შემოღებულია ჯგუფური საოდ მუშაობაზე გადასვლის შემდეგ. მანამდის სწარმოებდა მხოლოდ დახარჯულ დროის აღრიცხვა. ამჟამად ცდილობენ იმ ფართობების რაოდენობის გამორკვევას, რომლებიც თვითეულ ბრიგადას აქვს დამუშავებული და ამრიგად დახარჯულ დროის გარდა თვითეულ წევრის მიერ **საშუალოდ** გამომუშავებულ რაოდენობის აღრიცხვასაც.

ანგარიშის გასწორების საქმე, კერძოთ ავანსების გაცემა ვერ არის სათანადოთ მოგვარებული. ამას ხელს უშლის თანხების უქონლობა. ღარიბ წევრებს კოლექტივი პირველ რიგში ისტუმრებს. დღემდის ბუხჰალტერიის ცნობით შრომის ანაზღაურების ანგარიშში გაცემულია 1,500 მანეთამდე. გარდა ამისა, კოლექტივის ღარიბ წევრებისათვის გამგეობას 400-ზე მეტი წყვილი წუღა შეუძენია. ურიგებენ აგრეთვე სიმინდსაც. ცხენთა კოლონაში და ურმებზე მომუშავეთათვის შექმნილია სპეცტანსაცმელი. კოლექტივის წევრებს საშუალება ეძლევათ აგრეთვე ქირაზედაც იმუშაონ. ამ მხრივ გამგეობას საკმაო ინიციატივა გამოუჩენია. მას ხელშეკრულება აქვს დადებული აბრეშუმის ტრესტთან თუთის ხეების დასარგავ მიწის გადაბრუნებაზე (მუშაობა შესრულებულია); ხელშეკრულება აქვს დადებული აგრეთვე „აჭარტყესთან“ 1500 საჟენი შეშისა და 50.000 კუბიკური ფუტი მორების დამზადების შესახებ (ეს მუშაობა ყანების მუშაობის დამთავრების შემდეგ დაიწყება). კოლექტივი აწვდის დაინტერესებულ ორგანიზაციებს ნაკელს და ამრიგად **თავისუფალ მუშა-ხელის გამოყენების საქმეს გეგმიანად აგვარებს**.

გარდა ამისა, თავისუფალი მუშა-ხელის გამოყენების მიზნით ეწყობა კირისა და კრამიტის ქარხნების. ამჟამად გამგეობა ბაზარს ეძებს კირისა და კრამიტის გასასაღებლად. მას აგურის წარმოების გაჩაღებაც თამამათ შეუძლია.

ასეთია სტალინის სახელობის კოლექტივი ლანჩხუთში.

კოლექტივის აქტივმა და გამგეობამ ამჟამად მთავარი ყურადღება უნდა მიაპყრონ შრომის ნარდ წესების განმტკიცებას, ჯგუფური წესიდან ინდივიდუალურზე გადასვლა, ნამუშევრის ხარისხის და სოციალისტური შეჯიბრების რაც შეიძლება ფართოდ გაშლას, რადგან ეს ღონისძიებები ხელს შეუწყობენ კოლექტიური თესვის წარმატებით ჩატარებას.

—:—

ლანჩხუთის რაიონის სხვა კოლექტივებს აღარ ვეხებით, რადგან ის, რაც სტალინის სახელობის კოლექტივს შეეხება, უმთავრეს ნაწილში დამახასიათებელია მთელი რაიონისათვის. უნდა აღინიშნოს მხოლოდ, რომ ზოგ კოლექტივში ჯერ ჯგუფური ნარდი მუშაობაც არ არის შემოღებული. ჩიბათი, მაგალითად, ამ დღეებში აპირებს მუშაობის ამ წესზე გადასვლას. სხვათა შორის ჩიბათი სჩივის: გასულ წელს ორი ტრაქტორი გვქონდა, წელს ტრაქტორები სუფსის კოლონაში გააერთიანეს, ჩვენ ხელშეკრულება გვქონდა დადებული 100 ჰექტარის მოხვნაზე, ჯერ კი ერთი ჰექტარიც არ არის მოხნული.

სამუშაო კი ამ კოლექტივს ბევრი აქვს, რადგან წელს აქ 1.000 ჰექტარი სიმინდი ითესება (კოლექტივში 500-დე კომლია).

კოლექტივები სჩივიან კიდევ თესლის მოუწოდებლობაზე: არ არის ლობიოს, ბრინჯის და არახისის თესლი, შეპირებით კი შეგვპირდებიან. მაგრამ შეპირების შესრულება დროზე უნდა

ვ. ბერაძე.

ლანჩხუთი.

ცნობები კოლექტივიზაციის ფრონტიდან

(ჩვენი საქ. კორესპონდენტებისა და ა-კ. დეპ. სააგენტოსაგან)

ამხ. ფ. მახარაძე ქუთაისის ოლქში

ქუთაისი, 25 აპრილი. (საქ. კორ.). 24 აპრილს ამხ. ფ. მახარაძემ დაათვალიერა გეგუთის თემის და სოფ. საყულიის კოლმეურნეობები. კოლექტივის წევრები გასული იყვნენ სამუშაოთ. ამხ. მახარაძე მათ ესაუბრება მუშაობის დროს. საღამოს გაიმართა სოფ. გეგუთის მოსახლეობის საერთო კრება, რომელზედაც ამხ. ფილიპე მახარაძე გამოვიდა მოხსენებით. კრებაზე გამოვიდნენ გლეხებიც, რომლებიც სხვა საჭირბოროტო საკითხებთან ერთად აღნიშნავდნენ, რომ კულაკები ღამ-ღამობით დაიარებიან სოფლებში და კოლექტივიდან გამოსულ გლეხებს აქეზებენ გამოვიდნენ კოლმეურნეობის წინააღმდეგ, მის დასაშლელად. გლეხები მოითხოვენ, რომ მთავრობამ მიიღოს ზომები ამ კულაკების ასალაგმავად. გეგუთის თემში ირიცხება ორი კოლექტივი და ერთი კომუნა, მთლიან კოლექტივიზაციის დროს მათში გაერთიანებული იყო 670 კომლი. ახლა მათში ირიცხება 550 კომლი. გლეხობა აღფრთოვანებით უსმენდა ამხ. ფილიპე მახარაძეს, რომელმაც თავის საბოლოო სიტყვაში განაცხადა, რომ კოლმეურნეობათა წინააღმდეგ მუშაობისა და მუქარისათვის დამნაშავენი სასტიკად დაისჯებიან. გლეხობა განსაკუთრებით კმაყოფილი დარჩა ამხ. მახარაძის ამ განცხადებით.

—:—

არტელების ახალ წესდებაზე გადაყვანა

გორი, 25 აპრილი. (საქ. კორ.). თითქმის ყველგან დამთავრდა არტელების ახალ წესდებაზე გადაყვანა. ახალი წესდების გაცნობის დროს კოლმეურნეები ფართოდ ეცნობოდნენ ამხ. სტალინის წერილებს და მთავრობის დადგენილებებს კოლმეურნეობებისათვის შეღავათების მინიჭების შესახებ. არტელების ახალ წესდებაზე გადაყვანით უფრო განმტკიცდა კოლმეურნეობები. მერყევი და კულაკურ გავლენის ქვეშ მოქცეული ელემენტები გამძევებული იქნენ კოლმეურნეობიდან. სამაგიეროდ კოლმეურნეობებს დაუბრუნდა აქტიური ღარიბი და საშუალო გლეხობა.

—:—

მანქანა-იარაღების შემოზიდვა

გორი, 25 აპრილი. (საქ. კორ.). გეგმით დღემდე გორის ოლქში უნდა შემოზიდულიყო 2240 ცალი იარაღ-მანქანა, ნამდვილად კი შემოზიდულია 2,399 ცალი. ბევრ ადგილებში იარაღ-მანქანები გაუსაღებელი აწყვია, რადგანაც მასზე საჭიროება აღარ არის.

—:—

სამთავისის კომუნაში

გორი, 25 აპრილი, (საქ. კორ.). სამთავისის კომუნა თავის საცხოვრებელ ბინის პირდაპირ 1 ნახევ. ჰექტარზე შეუდგა დასასვენებელ ბაღის გაშენებას. მოეწყო საერთო სამზარეულო. საქართველოს გემო-კვების და სახალხო კვების მუშაკთა კავშირებმა კომუნას დიდი დახმარება გაუწიეს საზოგადოებრივ კვების მოწესრიგების საქმეში.

—:—

1-ლ მაისს იხსნება ტირიფონის არხი

გორი, 25 აპრილი. (საქ. კორ.). ტირიფონის არხის საზეიმო გახსნა მოხდება 1-ლ მაისს. გორის პროფკავშირები და რაიონში არსებულ კოლმეურნეობათა წევრები ემზადებიან არხის საზეიმო გახსნაზე მონაწილეობის მისაღებად. საზეიმო გახსნა მოხდება ქ. ცხინვალში, საიდანაც იწყება არხის სათავე. წინასწარი გამოანგარიშებით სათავიდან, ე. ი. დიდი ლიახვიდან მდ. ლეხურამდე. (ქვ. მალა —სიგრძე 55 კილომეტრი) წყალი არხში გავა ორი დღის განმავლობაში. არხის მთავარ პუნქტებზე, როგორიც არის პატარა ლიახვის სიფონი, აკვედუკები ფლავში, ქვეში, არცევში და დიდი სიფონი მეჯუდიაში მოეწყობა დასასვენებელი ადგილები, კოოპერატივის ფარდულები და სხვადასხვა გასართობები.

საჭიროა არხის გახსნა გადაიღოს საქართველოს სახკინმრეწვმა.

—:—

მოხნულია მიწების 76 პროც.

გორი, 25 აპრილი (საქ. კორ.). 20 აპრილისათვის გორის ოლქში მოხნული იყო მიწების 76 პროც. ანუ 34881 ჰექტარი, დათესილია სხვადასხვა კულტურებით 12958 ჰექტარი. თესვა წარმატებით მიმდინარეობს. ამინდი ხელსაყრელია.

—:—

თესლის შეწამვლა

გორი, 25 აპრილი. (საქ. კორ.). 20 აპრილისათვის გორის ოლქში შეწამლულია თესლის მთელი რაოდენობის 61 პროც. თესლის შესაწამლავი მასალების მომარაგების საქმეში ადგილი აქვს დაბრკოლებას. ადგილები თავის დროზე ვერ ღებულობენ ფორმალინის ხსნარს, რაც აბრკოლებს მუშაობას.

მეაბრეშუმეობა

ბათომი, 25 აპრილი. მეაბრეშუმეობის პროდუქტიულობის გასადიდებლად აჭარისტანის რაიონებში მუშაობს 6 მუდმივი და 12 სეზონური ინსტრუქტორი, რომლებიც გაგზავნილი არიან „საქ. აბრეშუმის“ მიერ. მოეწყო მეაბრეშუმეობის ორი ახალი კოლმეურნეობა, რომლებიც აერთიანებენ 46 მეურნეობას. 21 აპრილისათვის კონტრაქტაციაქმნილია 45 ცენტნერი აბრეშუმის პარკი. კონტრაქტაცია გრძელდება. (ადს).

—:—

კონტრაქტაცია

ბათომი, 25 აპრილი. 22 აპრილისათვის მიღებული ცნობებით, აჭარისტანში კონტრაქტაციაქმნილია 477 ჰექტარი თამბაქო, 327 ჰექტარი მანდარინი, 900 ჰექტარი იაპონური სოია და 10 ჰექტარი გერანი. კონტრაქტაციის გეგმის შესრულება საშუალოდ შეადგენს 80 პროცენტს. გაწმენდილია 80 ტონა სათესლე ქერი. სათესლე სიმინდის გაწმენდა მთლიანად დამთავრდა. (ადს).

—:—

სასოფ. სამეურ. ინვენტარის შეკეთება

ბათომი, 25 აპრილი. მუშათა 192 ბრიგადამ 168 კაცის შემადგენლობით რაიონებში შეაკეთა 4 ტრაქტორი, 10 გუთანი, 4 სათესი მანქანა, 11 ფარცხი და 180 ცალი სხვადასხვა წვრილი ინვენტარი. ბრიგადების მუშაობამ გლეხობაში დიდი კმაყოფილება გამოიწვია. (ადს).

—:—

მასიური თესვა ზუგდიდის მაზრაში

ზუგდიდი, 25 აპრილი. (საქ. კორ.) 20 აპრილისათვის ზუგდიდის მაზრაში მოხნული იყო 45.170 ჰექტარი მიწა, აქედან კოლმეურნეობებში 6.200 ჰექტარი და ინდივიდუალურ სექტორში 38.970 ჰექტარი. ინდივიდუალურ სექტორში გეგმა შესრულებულია 76,6 პროცენტით. ორივე სექტორში დათესილია 1.000 ჰექტარი. დაიწყო მასიური თესვა. ჩაის პლანტაციების გასაშენებლად მაზრაში გადაბრუნებულია 1.600 ჰექტარი მიწა. აქედან კოლმეურნეობებში 700 ჰექტარი, საბჭოთა მეურნეობებში 750 ჰექტარი და ინდივიდუალურ მეურნეობებში 82 ჰექტარი. გადაბრუნებულ მიწებიდან უკვე დათესილია 745 ჰექტარი. გეგმა შესრულებულია 5 პროცენტის გადაჭარბებით.

—:—

ბოსტნეულის თესლის ნაკლებობა

ონი, 25 აპრილი. საგრძნობია ბოსტნეულის თესლის ნაკლებობა. რაიმემინდვრეობის კავშირს არ შეუძლია დააკმაყოფილოს მოთხოვნილება თესლზე, მისი არა თავის დროზე გამოგზავნის გამო. (ადს).

—:—

მახინჯი კოლმეურნეობა

კასპი, 25 აპრილი. (საქ. კორ.). კასპის რაიონის სოფ. ალაიანის კოლმეურნეობა თავიდანვე არ იყო სწორ ნიადაგზე ჩამოყალიბებული. როდესაც დადგა საკითხი ახალ წესდებაზე გადაყვანის შესახებ, წევრები უარს აცხადებდნენ ხელი მოეწერათ წესდებაზე. აქ მიმაგრებული ამხანაგი სიჭინავა ფიქრობს, რომ არ არის საჭირო არტელის ახალ წესდებაზე გადაყვანა. მას ჰგონია, რომ ამის შემდეგ კოლმეურნეობა დაიშლება, მაგრამ ამავე დროს ავიწყდება, რომ იმ 134 მეურნეს შორის, რომელთაც პირველ ხანებში სურვილი განუცხადებიათ კოლმეურნეობის დაარსებაში, მოიპოვებიან ისეთებიც, რომელთაც არ სურთ არტელში ყოფნა, არ გადიან საერთო სამუშაოზე და მთელ დღეს ლაპარაკში და კამათში ატარებენ.

ალაიანის არტელი გადაყვანილი უნდა იქნეს ახალ წესდებაზე. თუ ეს არ მოხდა, მაშინ ის დაინგრევა ამ უახლოეს ხანში და სრულიად გაუტყდება სახელი კოლმეურნეობას.

—:—

შემოდგომის ნათესები კასპის რაიონში

კასპი, 25 აპრილი. (საქ. კორ.). კასპის რაიონში შემოდგომის ნათესებს კარგი პირი უჩანს. ურწყავ აშურიანის მინდორზე ჯერ არ ყოფილა ასეთი ჯეჯილი, მაგრამ ამ საუკეთესო ჯეჯილს ახლავე ანადგურებენ მინდვრის თაგვები, რომელნიც აქ ძლიერ მასიურად მოსდებიან ყანებს. რაიონში არ არის მავნებლებთან ბრძოლის არც ერთი სპეციალისტი. არც ოლქს მოეპოვება ასეთი სპეციალისტი. საჭიროა მიწსახკომმა სასწრაფოდ მოავლინოს მავნებლებთან მებრძოლი რაზმი.

უთავბოლო მუშაობა შირაქის საბჭ. მეურნეობაში

არა ერთხელ ყოფილა გაზეთების ფურცლებზე აღნიშნული შირაქის საბჭოთა მეურნეობაში შექმნილი არანორმალური მდგომარეობა. მიუხედავად ამისა, მარცვლეული კულტურის საბჭოთა მეურნეობა შირაქში მაინც სავალალო მდგომარეობაში რჩება.

შირაქის საბჭოთა მეურნეობას ბუნებრივი პირობები (ჰავა, ნიადაგის სინოყიერე, სახნავად გამოსადეგი მიწების სიჭარბე) ყოველმხრივ ხელს უწყობს განვითარება-გამაგრებისათვის, მაგრამ ამ მეურნეობას დღემდე გაუმჯობესება არ ეტყობა და მისი მდგომარეობა ყოველდღიურად უარესდება.

ეს განსაკუთრებით საგრძნობი გახდა გაზაფხულის სასოფლო-სამეურნეო კამპანიის განმავლობაში. მიმდინარე სასოფლო-სამეურნეო კამპანიის გეგმით შირაქის საბჭოთა მეურნეობას ევალებოდა გაზაფხულის ნათესის 2.300 ჰექტარამდე აყვანა. ა.-წ. 10 აპრილის ცნობით კი შირაქის საბჭოთა მეურნეობას დათესილი აქვს მხოლოდ 700 ჰექტარი.

თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ შირაქის პირობებში თესვა ამ ორ კვირაში უნდა მოთავდეს — ცხადია, შირაქის საბჭოთა მეურნეობაში გაზაფხულის თესვის გეგმა ვერ იქნება შესრულებული.

შირაქის მეურნეობაში ამ მარცხის მთავარი მიზეზი სამეურნეო უთავბოლობაში და მინდვრად მუშაობის მოუგვარებლობაში უნდა ვეძიოთ. რას უნდა მიეწეროს, თუ არა სამეურნეო უთავბოლობას, რომ თესვის სეზონში აღნიშნული მეურნეობის რამოდენიმე ტრაქტორს ბარგის გადასაზიდავად მეფურგუნეებზე აქირავებდნენ.

შირაქის საბჭოთა მეურნეობა საკუთარ ტრაქტორებს არაპირდაპირ დანიშნულებისათვის აქირავებს და თავის მიწებს კი ზემომაჩხანელი გლეხების მამაპაპური გუთნებით ამუშავებს.

ასეთი უთავბოლობის გამო აღნიშნულ მეურნეობაში შრომის ნაყოფიერება ძლიერ დაბალ დონეზე სდგას: გასულ წელს შირაქის საბჭოთა მეურნეობამ ერთ ჰექტარზე მხოლოდ 42 ფუთი პურის მოყვანა შესძლო; მის გვერდით კი ქედის კომუნამ ერთ ჰექტარზე პურის მოსავალი 95 ფუთამდე აიყვანა.

რაც შეეხება იარაღ-მანქანების მოვლის და შეკეთების საქმეს, ამ მხრივ დანაშაულებრივ უპასუხისმგებლობას ვხვდებით: მეურნეობას დღემდე არა აქვს იარაღ-მანქანების საწყობი: გუთნები, სათესი მანქანები, ტრაქტორები და სხვა ცის ქვეშ ჰყრია და ფუჭდება.

შირაქის საბჭოთა მეურნეობა თავისი სამარცხვინო უთავბოლობით მეტად ცუდ მაგალითს აძლევს მის ირგვლივ მყოფ ინდივიდუალურ მეურნე გლეხებს და კოლექტივებს.

ამ მდგომარეობას დაჩქარებით ბოლო უნდა მოეღოს.

კახეთის სასოფლო-სამეურნეო ტრესტი, რომელიც განაგებს ამ მეურნეობას — უძლური აღმოჩნდა მისი რენტაბელურად დაყენების საქმეში. კახტრესტი ვერ გააუმჯობესებს შირაქის მეურნეობის მუშაობას და ამიტომ ყოველმხრივ უნდა დაჩქარდეს მისი გადაცემა საქართველოს საბჭოთა მეურნეობების ტრესტის განკარგულებაში, რომელსაც აქვს საკმაო ფინანსიური, ორგანიზაციული და ტექნიკური საშუალებანი ამ მეურნეობის გასაჯანსაღებლად.

შირაქის საბჭოთა მეურნეობა უნდა გაფართოვდეს და ის მოკლე ხანში უნდა გადაიქცეს მარცვლეული კულტურის მსხვილ მეურნეობათ აღმოსავლეთ საქართველოში.

ფ—უ.

ნათესების კონტრაქტაცია

მემინდვრეობის კავშირის ცნობით, საქართველოში (ავტონომიურ რესპუბლიკების გამოკლებით), 25 აპრილისათვის მარცვლეულ კულტურათა ნათესების კონტრაქტაცია ჩატარებული იყო 71.423,5 ჰექტარზე, რაც შეადგენს გეგმის (137.950 ჰექტარი) დაახლოვებით 52 პროც.-ს. ცალკე კულტურათა მიხედვით კონტრაქტაცია შემდეგ სურათს იძლევა.

პური — 2.467 ჰექტარი, ქერი — 5.494,5 ჰექტარი და სიმინდი — 63.461,5 ჰექტარი,

კოლმეურნეობებში კონტრაქტაცია ჩატარებულია 1.594 ჰექტარ პურის ნათესებზე, 3.830 ჰექტარ ქერზე და 52.462,5 ჰექტარ სიმინდზე. საწარმოო ამხანაგობებში და გლეხთა ჯგუფებთან საკონტრაქტაციო ხელშეკრულება დადებულია 873 ჰექტარ პურის ნათესზე, 1549,5 ჰექტარ ქერზე და 10.931 ჰექტარ სიმინდზე.

იქ სადაც გაზაფხულის თესვა ჯერ არ დაწყებულა

უთავბოლობა მიწადმოწყობისა და წყლის მიწოდების საქმეში

დადგა საგაზაფხულო თესვის გადამწყვეტი დღეები. მეტი დაგვიანება შეუძლებელია. მაგრამ იმ დროს, როდესაც მრავალ რაიონს თესვის ფრონტზე მთელი რიგი თვალსაჩინო მიღწევები აქვს, — არიან ისეთი რაიონებიც, სადაც თესვა ჯერ-კიდევ არ დაწყებულა.

ასეთი მდგომარეობაა ახალქალაქის მაზრის მთელ რიგ სოფლებში, სადაც ადგილობრივი საბჭოთა დაწესებულებებისა და ზოგიერთი მუშაკების მიზეზით, მიწადმოწყობა ჯერ კიდევ არ არის ჩატარებული. მიწისმზომელები ამ საკითხში ჯერ კიდევ „გეგმების შედგენას“ ანდომებენ დროს.

ამგვარი დანაშაულებრივი სიზანტის ნიმუშს წარმოადგენს მიწადმოწყობის საქმე სოფელ კართიკამში. აქ მიწადმოწყობის ჩატარება დაიწყო მიწისმზომელმა გარკაზოვმა, ხოლო უნდა დემთავრებინა მიწისმზომელს ისაი ალასოვს. გლეხებმა გაასაჩივრეს პირველი მიწისმზომელის მიერ დაშვებული ყველა შეცდომები, მაგრამ ალასოვმა ეს საჩივრები მხოლოდ „საქმეში ჩააკერა“.

აქ მიწების განაწილება სისწორით არ მოხდა. ღარიბებს ცუდი და შორეული მიწები მიეცათ. გარდა ამისა ღარიბებს კარტოფილის დასათესად არ მისცეს არც ერთი ჰექტარი მიწა მაშინ, როდესაც ბოსტნეულის კულტურას ადგილობრივ მეურნეობაში დიდი მნიშვნელობა აქვს.

ჯერ კიდევ შარშან გლეხობამ იშუამდგომლა მაზრის სამიწადმოქმედო განყოფილების წინაშე, რათა მოგვარებული ყოფილიყო მიწის საკითხი. მაზრის სამიწადმოქმედო განყოფილებამ ეს შუამდგომლობა „მხედველობაში მიიღო“ და უკანასკნელ დღეებამდე „აწესრიგებს“ მიწის საკითხს.

ამ შეცდომებს იყენებენ თავიანთ სასარგებლოდ ადგილობრივი კულაკები და ცდილობენ ჩაშალონ სოფლად მუშაობა, რომელიც თესვის კამპანიის გაძლიერებისაკენ არის მიმართული.

ყოველივე ზემოთქმულის შედეგი ისაა, რომ სოფელ კართიკამში თესვა ჯერ კიდევ არ დაწყებულა და მთელი საგაზაფხულო მუშაობა ჩაშლის საფრთხის წინაშე დგას.

ასეთივე სურათია სოფელ ვაჩიანშიაც. აქ მიწადმოწყობა ჯერ კიდევ 1925 წელს დაიწყო, მაგრამ ახლაც დამთავრებული არ არის. მიწისმზომელმა კორეენევსკიმ მუშაობის დროს მთელი რიგი შეცდომები. გლეხობამ არა ერთხელ მოითხოვა სამიწადმოქმედო განყოფილების გამგის ჩასვლა იმ გაუგებრობათა აღმოსაფხვრელად, რომლებიც მიწადმოწყობასთან დაკავშირებით წარმოიშვა, მაგრამ მაზრის სამიწადმოქმედო განყოფილების არც ერთმა თანამშრომელმა არ შეიწუხა თავი. მიწისმზომელი კი ისევ უკონტროლოდ განაგრძობს მუშაობას.

ამ არევ-დარევით ისარგებლეს კულაკებმა და შეძლებული საშუალო გლეხობის ერთმა ნაწილმა, რომლებმაც გლეხების ყრილობაზე მოითხოვეს მათთვის საძოვარი მიწების გამოყოფა და მოახერხეს კიდეც მიეღოთ 450 ჰექტარი საძოვარი. ამჟამად გამოირკვა, რომ ამ მიწების უმეტესი ნაწილი ვარგისია დასათესად, იქ კი კულაკები თავიანთ ჯოგებს აბალახებენ.

ახალქალაქის მაზრის მეორე სოფელში, ეშტიაში მიწადმოწყობის გაჭიანურებას წყლის მიწოდების და გადასახლების საქმის გაჭიანურებაც ზედ დაერთო. ამ სოფლებში მიწის დიდი ნაკლებობაა, რის გამო სამი წლ. წინად გადაიდგა ნაბიჯები ეშტიის 164 კომლის გადასასახლებლად ყოფილ კალმიკოვის მამულში.

რამდენიმე ხნის შემდეგ სოფელ ეშტიაში ჩავიდა კომისია და წამოაყენა ელიავაკანის მიწაზე გადასახლების ახალი პროექტი.

შემდეგში გამოირკვა, რომ ამ მიწაზე მოუგვარებელია წყლის საკითხი. ნაგულისხმევი იყო, რომ გადასახლებულები ისარგებლებენ ტბა ბავრის წყალით, მაგრამ გამოკვლევამ ეს წყალი უვარგისად სცნო. ამ ხნიდან მოკიდებული იწყება „წყლის მიწოდების ახალი პროექტების“ და „საფინანსო ხარჯთ-აღრიცხვების“ შედგენა.

უკიდურეს მდგომარეობაში ჩავარდნილმა გლეხობამ შარშან შეაგროვა 600 მანეთი და შეუდგა სასმელ ჭების თხრას, მაგრამ ამ ჭებში წყალი არ ამოვიდა. არც იმ 8.000 მანეთმა გამოიღო შედეგი, რომელიც მიწსახკომმა საგამოკვლეო მუშაობაზე დახარჯა. ამრიგად, გადასახლების და მიწის საკითხები დღემდე გადაუწყვეტელი დარჩა.

დრო კი მიდის. სოფელ ეშტიას გლეხობამ დღემდე არ იცის სად დაამუშაოს მიწები. საგაზაფხულო თესვა აქ ჯერ კიდევ არ დაწყებულა და ყოველი დღის დაგვიანება თესვის გეგმას ჩაშლას უქადის.

ამ დეფექტების აღმოსაფხვრელად არავითარი გადამწყვეტი ზომები არ არის მიღებული. მიწადმოწყობისა და წყლის მიწოდების საქმის გაჭიანურება გრძელდება.

დროა ამას ბოლო მოეღოს. თესვის კამპანიის მეტი დაგვიანება არ შეიძლება.

ხიონელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიტერატურული ფრონტი

დ რ ო ა!

ცნობილია, რომ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ ხანებში, — შემდეგ მთელი რიგი წლების განმავლობაშიც, არსებობდენ საზოგადოებრიობის ისეთი ნაწილები, რომლებიც არ ღებულობდენ ამ ხელისუფლებას მთლიანათ და თავიანთი შესწორებები შეჰქონდათ მის ძირითად საფუძვლებში.

მაგრამ საბჭოთა ხელისუფლების საფუძვლები იმდენათ ძლიერი და მტკიცე აღმოჩნდენ, რომ არავითარ ასეთ შესწორებებს აღარ საჭიროებდენ და ამ საზოგადოებრიობის ნაწილებს უხდებოდათ თავიანთი პოზიციების თანდათანობით დათმობა.

ჩვენ აქ მხედველობაში არა გვაქვს ნეპმანები, კულაკები და ყოფილი ადამიანების დაქსაქსული ნაწილები, აგრეთვე საზღვარ გარეთელი ემიგრაცია, — კუზიანს სამარე გაასწორებსო — ამათზეა ზედგამოჭრილი თქმულება! მხედველობაში ვიღებთ მხოლოთ ინტელიგენტურ საზოგადოებრიობის ნაწილს, სხვადასხვა დარგების სპეციალისტებს, მეცნიერებს, პედაგოგებს და მწერლებს.

ყველა ამ წრეებში საგრძნობი გარდატეხა მოხდა უკანასკნელი წლების განმავლობაში და მათმა დიდმა ნაწილმა გამოძებნა საერთო ენა საბჭოთა ხელისუფლებასთან.

მაგრამ, ნათქვამია, ოჯახი უმახინჯოთ არ იქნებაო. ეს წარსულის მოტრფიალე მახინჯები ჯერ კიდევ მოიპოვებიან ინტელიგენტურ და კერძოთ კი მწერალთა წრეებში. ბნელი წარსულის, აზნაურული, ბურჟუაზიული, შოვინისტური იდეოლოგიის წარმომადგენლები, საქართველოში არამც თუ ჩამორჩენას, არამედ წინ გასწრებას ლამობენ. ისინი ფიქრობენ ახალ ოჯახში მოკალათებას.

ასეთი ოჯახი გახლავთ საქართველოს მწერალთა ფედერაცია და მახინჯი კი მისი შემადგენლობის ნაწილი, — ძველი მწერლების ჯგუფი ანუ „აკადემიურ მწერალთა ასოციაცია“.

ალბათ მეტის-მეტი სიძველე და დამყაყებულობა არის იმის მიზეზი, რომ არავითარი გადახალისების, გასაბჭოების ნიშან-წყალი არ ემჩნევათ მათ. თუმცა საკმაო ხანი გავიდა ამისათვის და ბევრი რამ გადახალისებანი მოხდა მზისა და მთვარის ქვეშ!

მართალია, ფიცით თითქმის ყველა მათგანი ფიცულობენ საბჭოთა მზეს, მაგრამ ყოველივე ეს ხდება უმთავრესად სიტყვებით.

დიახ, რომ უჩინარია სწორეთ საქმენი მათნი, — საბჭოთა სისტემისათვის, რა თქმა უნდა. თუმცა ბევრს ლაპარაკობენ თავიანთ თანამგზავრობაზე, მაგრამ რათ გვესაჭიროება ისეთი თანამგზავრნი, რომლებიც თავიანთ თანამგზავრობის დროს, წინ წასვლის მაგიერ, უკან გვეწიკებიან. ან და რათ გვესაჭიროებიან ისეთი თანამგზავრები, რომლებიც თავიანთი ნაბიჯებით ადგილზე იწყებენ ტკეპნას?! საქმეა ყველა ისეთი „თანამგზავრი“, რომელიც თავისთავს მემარჯვენესაგან ვერ ანსხვავებს, რომელიც მას არ უპირდაპირდება. ეს შეეხება როგორც ცალკე მწერლებს, ისე მთელ ჯგუფებს. საჭიროა თანამგზავრთა მეტი გამორკვევა.

მართალია, ეს ძველები ყოველივე ძველს ეტრფიან, მარა საბჭოთა ხელისუფლების საწინააღმდეგოთ ახალი ფორმის „იტალიანურ გაფიცვის“ იარაღსაც კი იყენებენ!

საბჭოთა მწერლების ფედერაციის დაარსების მთავარ მიზანს შეადგენდა მწერლობის გამოფხიზლება, გამოცოცხლება. მას უნდა გაეწია ხელმძღვანელობა მრავალრიცხოვან ქართველ მწერლებისათვის.

ფედერაციაში შედიან რამდენიმე მიმდინარეობანი, მაგრამ მათში მხოლოდ ორიოდეს ეტყობა სიცოცხლის ნიშანწყალი, დანარჩენები კი ამ საქმისათვის „მკვდარ სულებს“ წარმოადგენენ. კიდევ კარგი, რომ ამ „მკვდარ სულებს“ რაიმე არასასიამოვნო სუნი არ ასდიოდეთ, მაშინ ვის რა ესაქმებოდა! მაგრამ საქმეც სწორეთ იმაშია, რომ ეს მკვდრები ცოცხლებს აკიდებიან ტვირთათ და წინსვლას უმძიმებენ!

იმ დროს, როდესაც ცხოვრება ჩვენში გიგანტიური ნაბიჯით მიილტვის წინ დაუშვებელია, რომ მწერლები არ იჩენდნენ აქტივობას, როგორიც არ უნდა იყოს ეს აქტივობა. როგორიც არ უნდა იყოსთქო— ვამბობ, იმიტომ, რომ ღირსეულ მოწინააღმდეგესთან ბრძოლა წამახალისებელია. ვინ უნდა წაახალისოს საბრძოლველათ ჩვენ ფედერაციაში შემავალ ისეთმა მოწინააღმდეგე ჯგუფმა, რომელსაც ბრძოლის ფხაც კი არა აქვს და მხოლოდ სოც. უზრუნველყოფური დაჩაჩანაკების ფსიქოლოგიით არის გაჟღენთილი, — ობივატელური შენ-ჩემობიან და მითქმა-მოთქმის დამატებით?! მათზე დაყრდნობით რეაქციონერ მწერალთა მცირე აქტივი მოქმედებს და სხვადასხვა გვარი საშუალებებით იბრძვის ახლის წინააღმდეგ.

ამიტომ დროა საბჭოთა მწერლების ფედერაცია გაიწმინდოს იმრიგათვე, როგორც ეხლა ჩვენ წესათ გვაქვს შემოღებული. დაე, დარჩეს ცოტა, მაგრამ კარგი ჩვენი საბჭოთა ლიტერატურის დასამშვენებლათ!..

სილ. თოდრია.

მწერალთა რიგების გადახალისებისათვის

რაც უფრო აშკარა და მწვავე ხასიათს იღებს კლასობრივი ბრძოლა გარეთ თუ შინ, მით უფრო თვალსაჩინო ხდება მოწინააღმდეგეთა ამოძრავება, მით უფრო მეტად მჟღავნდება მათი ფარული ზრახვანი.

აქ მოულოდნელი არაფერია.

საბჭოთა კავშირის უდიდესი მიღწევები კულტურულ-ეკონომიურ ფრონტზე, რომელსაც აწარმოებს ძლევამოსილი პროლეტარიატი და მისი მოკავშირე მშრომელი გლეხკაცობა, მისი წითელი არმიის თავდაცვის უნარიანობის ზრდა, მოსვენებას არ აძლევს შინაურ და გარეშე მტრებს. საბჭოთა ხელისუფლების მოწინააღმდეგენი დღე-დღეზე ელიდენ მუშათა კლასის დამარცხებას და როდესაც ამას ვერ მოესწრნენ, გამწარებულებმა კვლავ შხამის გადმონთხევა იწყეს.

ამ შხამს არ ზოგავს არც ჩვენი მწერლობის მემარჯვენე ფრთა, ეგრეთ წოდებული აკადემიური ჯგუფი, რომელსაც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ არა ერთი და ორი დეკლარაცია გამოუცხვია საბჭოთა ხელისუფლებასთან სოლიდარობის შესახებ. მაგრამ ფიცი მწამს და ბოლო მაკვირვებს, რომ იტყვიან, სწორედ ასე ემართება ამ ჩვენს „მოარშიყე და ნაზ ქალბატონს“.

სიტყვით ჩვენსკენაა (მშრომელი ხალხისაკენ) — საქმით კი მტრებისაკენ (კონტრრევოლიუციონერებისაკენ).

ჩვენთან კაკანებს და კვერცხს-კი მოწინააღმდეგეთა საბუდარში სდებს. ის სარგებლობს საბჭოთა ხელისუფლების სიკეთით და მას ბოროტად იყენებს.

კმარა თვალთმაქცობა.

ამ მდგომარეობის გაგრძელება შეუძლებელია. მწერალთა ოჯახი უნდა გაიწმინდოს უღირს და მავნე ელემენტებისაგან. ამას მოითხოვს საბჭოთა საქართველოს მუშათა კლასი და მთელი პროლეტარული საზოგადოებრიობა. ამას მოვითხოვთ ჩვენც — პროლეტ-მწერალთა ასოციაცია.

ან—შო, ან—არა
ან—აქეთ, ან—იქით.
სხვა გზა არ არსებობს.

გ. ქუჩიშვილი.

საბჭოთა მწერლების ფედერაციის რეორგანიზაციის გარშემო

რეკონსტრუქციის პერიოდი მოითხოვს საბჭოთა მწერლებისაგან თავიანთი რიგების შემჭიდროებას.—თანამგზავრი მწერლები სრულიად უნდა გაემიჯნონ მემარჯვენეებს და გააძლიერონ მათთან ბრძოლა.—საბჭოთა მწერლების ფედერაცია ვერ ამართლებს თავის დანიშნულებას, საჭიროა მისი გადახალისება, რაშიც საბჭოთა მწერლებმა უნდა მიიღონ აქტიური მონაწილეობა.

საქართველოს საბჭოთა მწერლების
ფედერაციის გაჯანსაღებისათვის

საქ. საბჭოთა მწერლების ფედერაცია მასში შემავალ დაჯგუფებებით უნდა წარმოადგენდეს მთლიანად საბჭოთა ხელისუფლების დამცველსა და მის ინტერესებისათვის მებრძოლ მწერლობის ორგანიზაციას.

სოციალისტური მშენებლობის მიმდინარე ეტაპზე მწერლების ამოცანები დიდია და მისი ჯანსაღი ორგანიზმი უნდა სჩანდეს ფედერაციის შემადგენლობაში. ხსენებული დებულება იძულებულ გვხდის გადავსინჯოთ მწერალთა ფედერაციის შემადგენლობა და მისი საზოგადოებრივი საქმიანობა.

გადასინჯვის შედეგათ ვღებულობთ მწერალთა ფედერაციის მოდუნებულსა და ინერტიულ ცხოვრებას, აპოლიტურ ტენდენციებს (რომელიც არსებითად რეაქციონური განწყობილებაა) და უკანასკნელად „წითელ ხალტურის ნიმუშებსაც“).

მართალია, ერთის მირივ დარაზმულია პროლეტარული მწერლობის ძლიერი ორგანიზაცია და მათთან დაკავშირებით იზრდება და მაგრდება თანამგზავრთა კადრები, მაგრამ მწერალთა ფედერაციაში შეკედლებული თითქოს აპოლიტიკური მწერლები ქმნიან მოდუნებულ და რეაქციონურ ატმოსფერას და ამით ხელს უშლიან რეკონსტრუქტიულ პერიოდისათვის საჭირო მწერლობის აღორძინებას. საუკეთესო გამომხატველი რეაქციონური განწყობილებისა მწერლობაში—არის ზედმეტი ესთეტიზმი, აპოლიტიზმი, რომელიც დღიურ საკითხებით დაინტერესების წინააღმდეგია და მწერლობას ჩვენთვის საჭირო პოლიტიკურ სიმახვილეს უკარგავს.

არ არის გარანტია, რომ ეს მწერლები გარდაიქმნებიან ახლო მომავალში და გახდებიან სოციალისტური მშენებლობის აქტიური მუშაკები. „კანის ცვლა“, რომელიც გამოიარეს ბევრჯერ ხსენებულმა პირებმა, ვერ სცვლის მათ შინაგან ბუნებას და ისინი ხშირად ე. წ. „პასიური წინააღმდეგობითაც“ იბრძვიან თანამედროვე მწერლების პოზიციაზე.

მწერალთა ფედერაციაში შემავალი ორგანიზაციებიდან ყველაზე მეტად ასეთი ძალებით დამძიმებულია აკადემიურ მწერლების ორგანიზაცია, რომლის ხელმძღვანელობა უმთავრესად მემარჯვენე და რეაქციონურ მწერლობას უჭირავს ხელში, შემდეგ მიდის მათი მიმყოლი და ახლობელი ჯგუფები.

საჭიროა ამ ატმოსფერის გარკვევა და მწერალთა ფედერაციის შემადგენლობის ფილტრში გატარება, საჭიროა მწერალთა ფედერაციიდან ისეთი ხალხის გაძევება, რომელნიც მწერლების საერთო საქმიანობას ხელს უშლიან და რეაქციონურ ატმოსფერას აფართოვებენ. საჭიროა ახალი ძალების დაწინაურება ფედერაციაში და მწერალთა ფედერაციის აკადემიური და კაბინეტური საქმიანობიდან დაძვრა.

მწერალთა ფედერაციის არსებობა და მნიშვნელობა კითხვის ქვეშ რომ არ იდგეს, მწერალთა ფედერაციამ უნდა გასწმინდოს თავისი ორგანიზმი ყველა მავნე ელემენტებისაგან და მუშაობა გაამძაფროს მასაში გადატანით.

მწერალთა ფედერაცია უნდა გახდეს ისეთ ორგანიზაციად, რომელიც აქტიურ მონაწილეობას მიიღებს სოციალისტურ მშენებლობაში.

დღეს მწერალთა ფედერაცია მოდუნებული ორგანიზმია და მისი საბოლოო დაავადებამდე, საჭიროა გამაჯანსაღებელი წმენდის დაწყება.

ქართულ მწერლობის მემარცხენე ფრონტი

მწერლობის ძალთა გადაჯგუფებისათვის

ინტენსიური სოციალისტური აღმშენებლობის პერიოდი — რომლითაც ხასიათდება ჩვენი ეპოქა — ბუნებრივად იწვევს პროლეტარიატის კლასიური მტრების გააფთრებულ იერიშებს.

სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქცია — ეს „სოფლის იდიოტიზმისაგან თავის დაღწევა“ — სასტიკ წინააღმდეგობას ხვდება სოფლის ბურჟუაზიული ელემენტების (კულაკების) მხრივ.

ამ ბრძოლის გამოხატულებას ვხედავთ ჩვენ იდეოლოგიურ სფეროშიაც — მხატვრულ მწერლობაში და, საერთოდ, ხელოვნების ყველა დარგში.

ამ მოვლენებთან დაკავშირებით საბჭოთა მწერლობის ფედერაციის წინაშე, მთელი რიგი ამოცანები ისმება.

ჩვენის აზრით, უპირველეს ყოვლისა, უნდა მოხდეს თვით ფედერაციაში შემავალ მწერალთა გაცხრილვა, რომ ფედერაციას შეადგენდეს მხოლოდ და მხოლოდ სოციალისტურად მშენებლობაში აქტიურად ჩაბმული კოლექტივები.

უნდა მოხდეს მტკიცე და საბოლოო გამიჯვნა მემარცხენე მწერლებისა მემარჯვენეებისაგან.

ერთხელ და სამუდამოთ უნდა განადგურდეს წვრილ-ბურჟუაზიული, თავად-აზნაურული იდეოლოგიის უბადრუკი ნაშთები ჩვენს ლიტერატურაში.

სანამ ეს არ მომხდარა, მანამდის მწერალთა ფედერაცია ისეთივე ფიქტიური დაწესებულება იქნება, როგორიც ის დღემდის იყო.

პროლეტარულ მწერლებთან გაერთიანებული თანამგზავრი (მემარცხენე) მწერლები უნდა შეადგენდენ საბჭოთა მწერლების ორგანიზაციის სიმტკიცეს.

საჭიროა მიეცეს მეტი ასპარეზი ლიტერატურულ-საზოგადოებრივი მუშაობისათვის ნამდვილ საბჭოთა მწერლებს.

ხოლო ამისათვის პირველ რიგში უნდა გაიწმინდოს ატმოსფერა თვით მწერალთა რიგებში.

რაც ადრე შევძლებთ ამის გაკეთებას, მით უფრო ადრე ჩავაბამთ საბჭოთა მწერლების აქტიურ ძალებს სოციალისტურ მშენებლობაში, მით უფრო მკვიდრი ნიადაგი შეიქმნება ჩვენი საბოლოო მიზნის — სოციალიზმის განხორციელებისათვის.

ვასო გორგაძე.

მწერალთა ფედერაციის რეორგანიზაციის შესახებ

ძველი ქვეყნის ნგრევისა და მისი სოციალისტური გარდაქმნის დროს საჭიროა ისეთი ტეხნიკოსი, მეცნიერი და ხელოვანი, რომელიც აქტიურად ჩაებმება სოციალიზმის მშენებლობის საქმეში.

საბჭოთა ქვეყანაში წარმოებულ შემოქმედებას არაფერი არა აქვთ საერთო იმასთან, რასაც ადგილი აქვს კაპიტალისტურ ევროპასა და ამერიკაში, არაფერი აქვს საერთო კაპიტალისტურ კულტურასთან, რომელიც საზოგადოების მცირერიცხოვან უმცირესობის ინტერესებს ემსახურება.

კერძო საკუთრების საფუძველზე აგებულ კაპიტალისტურ წყობილებას მოაქვს მშრომელთა მრავალრიცხოვან მასების დამონება და ერთა შორის ქიშპობა, მტრობა, სისხლის ღვრა და ყოველგვარი სისაძაგლე..

ეხლა მერყეობისა და ქიშპობის დრო არის. სიმართლე პროლეტარიატის მხარეზეა და მისი იდეოლოგიის გამარჯვება პროგრესს ჰგულისხმობს. თანამგზავრთა სვლაც პროლეტარიატის დროშის ქვეშ უნდა მიმდინარეობდეს.

სოციალისტური მშენებლობის დღევანდელ პერიოდში მწერალთა ფედერაციას ბევრი რამ ევალება. საუბედუროთ მისი მუშაობა არადამაკმაყოფილებელია. ფედერაციაში მოიპოვებიან მედროვენი და სოციალისტურ მშენებლობისადმი მტრულად განწყობილი ელემენტები. ფედერაციაში არიან ისეთი მწერლებიც, რომელთაც არ მოუხდენიათ საბოლოო ორიენტაცია რევოლიუციაზე და თავისი ძველი გაგებით და ტენდენციით ხელს უშლიან სხვათა საქმიანობას, მაშინ, როდესაც სოციალისტური კულტურის და მეცნიერულ-ტეხნიკური ეპოქის განცდა გვაწვდის ახალ გამზირს, საგნისა და მოვლენის ახალ ათვისებას, მხატვრულ ხერხებს, მასალის, ლექსიკის და პერსონაჟების შერჩევას.

ყოველივე ზემო თქმულის შემდეგ მიზანშეწონილი იქნება მწერალთა ფედერაციის რეორგანიზაცია, გადაცხრილვა და ისეთ მამქმედ და საქმიან ორგანიზაციის შექმნა, რომელიც აქტიურ მონაწილეობას მიიღებს სოციალისტურ მშენებლობაში.

ალექსანდრე ქუთათელი.

გალაქტიონ ტაბიძის წერილი
საბჭოთა მწერლების ფედერაციისადმი

ამხანაგებო! პირადათ მე, გალაქტიონ ტაბიძე, ფედერაციის მემარჯვენე ფრთისაგან არ მოვითხოვ 180 გრადუსით გადმოხრას. მე მოვითხოვ რომ მან იქონიოს გამბედაობა, პირდაპირ შეხედოს თვალებში სინამდვილეს. ვიმეორებ: ეს ლიტერატურული ომები ხელოვნების სასახლეში, ჟურნალებში, გაზეთებში, სალიტერატურო საღამოებზე — მიდის ერთი ლოზუნგით: უნდა შეგწევდეს გამბედაობა პირდაპირ შეხედო თვალებში სინამდვილეს. სინამდვილე კი აი როგორია: ჩვენი და მსოფლიო ლიტერატურის ბედი გადაწყდა არა გუშინ, არამედ 1917 წელს. მწერლობას მას შემდეგ არ უნდა შეშინებოდა არავითარი რეაქციის, არავითარი ძალდატანების, თქვენ კი საბედისწერო სისუსტე გამოიჩინეთ! გამოირკვა ულმობელი სიცხადით, რომ მემარჯვენობა თავიდანვე თვითონ ცხოვრებისაგან იყო განწირული, ცხოვრება შეუბრალებლად და უგულოდ გადაიხარა 180 გრადუსით, იგი შეუჩერებლად გაექანა მსოფლიო რევოლიუციისაკენ, თქვენ კი ქრონიკული ალიანსებით და კომპრომისებით, სუსტი, ხანდახან ავანტიურისტული ხელმძღვანელობის წყალობით, მიუახლოვდით ნაპრალს, მიდით გადაჩეხვამდე, აი ეს არის სინამდვილე, რომელსაც პირდაპირ უნდა შევხედოთ თვალებში, პროლეტარული ახალგაზრდობა, ინტერნაციონალური — პროლეტარული იდეოლოგია მოითხოვს, რომ ხელი შეუწყოთ შინაგან გადახალისების ორგანიულ პროცესს, ამ ახალგაზრდობას სწყურია მდიდარი, სოციალისტური მშენებლობის ხელის შემწყობი, ბრწყინვალე, გრანდიოზული, დიდებული ლიტერატურა — თქვენ კი რას აწვდით მას? თქვენი მემარჯვენე ფრთა ჯიუტად იცავს თავის დანგრეულ პოზიციებს და ამით ხელოვნურად აკავებს პროცესს რევოლიუციონურ ლიტერატურულ ჯგუფთა გაერთიანებისას, სცდილობს მისი განვითარების შეფერხებას. ბოლოსდაბოლოს, რისგან შესდგება ეს თქვენი მემარჯვენე მიმდინარეობა? იგი შესდგება ნამსხვრევთა ნამსხვრევებისაგან, იგი შესდგება რევოლიუციის მიერ შემუსრავებული კლასების ნამსხვრევებისაგან; ეროვნული ინტერესები აქ არაფერ შუაშია. პირდაპირ უნდა შევხედოთ სინამდვილეს თვალებში და ვთქვათ: ეს არის ლიტერატურული სიყალბე და ისტორიული უნიადაგობა. მემარჯვენეობა ისე იქცევა, როგორც ძველი გვარდია ვატერლოოსთან, რომელიც ჰკვდება, მაგრამ არ ნებდება. ამის დამნახველი ალბად ხიცილით ჰკვდებიან ოლიმპის ღმერთები, ეს ღრმად პატივცემული აკადემიური, მაგრამ ღრმად პროვინციალური კომიკები. ჩვენ გვინდა მდიდარი, ბრწყინვალე, გრანდიოზული, დიდებული ლიტერატურა, რომელიც დაეხმარება სოციალისტურ მშენებლობას, რომელიც ხელს შეუწყობს ახალი ყოფის განმტკიცებას. პროლეტარული ახალგაზრდობა სავსებით მართალია: არ შეიძლება დიდხანს ყოფნა ასეთ სუმბურულ მდგომარეობაში, უნდა გადახალისდეს ხელოვნების სასახლე, უნდა „ამოძრავდეს საბჭოთა მწერლობის აქტიური ენერგია“, თუ თქვენ გამბედაობა შეგწევთ, უნდა დაჰყაროთ ფარხმალი, აღიაროთ თავისი სრული უძლურება და გზა მისცეთ ახალს. თორემ რასა შვებთ? არავითარ ყურადღებას გარემო ამბებს თქვენ არ აქცევთ: ნუ თუ წაიწვა და მაინც კატასტროფა უნდა მოხდეს, ნუ თუ ციდან მეტეორიტი, ბოლიდი ან მთვარის ნატეხი უნდა ჩამოვარდეს, რომ თქვენ შაობიდან დაიძრათ? მიპასუხეთ! მე ამას მალაპარაკებს გრძნობა, რომელიც არ მასვენებს, მე ამას მალაპარაკებს მასსა, რომელიც მიყვარს. მე ამას მალაპარაკებს რევოლიუცია. მე მიყვარს მასსა, მიყვარს რევოლიუცია, მიყვარს ისეთი ადამიანი, რომელიც ებრძვის ძველს ცხოვრებას. საჭიროა არა ისეთი ცხოვრება, როგორიც მწერალთა კავშირშია, არამედ ცხოვრება ადამიანური, მაღალი, სპეტაკი, კოლექტიურად მიმართული ბრწყინვალე მომავლისაკენ.

დღეს საჭიროა მწერლობა აქტიურად მებრძოლი ახალი ცხოვრებისათვის, პროლეტარული რევოლიუციის იდეალებისათვის, აი რა არის თავი და თავი.

გალაქტიონ ტაბიძე.

აუცილებელია გადახალისება

არაა სადაო, რომ საჭიროა სრულიად საქართველოს საბჭოთა მწერლების ფედერაციის გადახალისება. ყველასათვის ნათელია, რომ ეს ორგანიზაცია წარმოადგენს სხვადასხვა დაჯგუფებათა მექანიურ გაერთიანებას.

ასეთ გაერთიანების საშუალებით საბჭოთა მწერლების ფედერაციის საბჭო ვერ დაამყარებს ორგანიულ კავშირს მწერალთა მასებთან და ვერ მიიღებს აქტიურ მონაწილეობას თანამედროვე სოციალისტურ მშენებლობაში.

ჩვენის აზრით საბჭოთა მწერლების ფედერაციის ყოველი წევრი პასუხისმგებელია საერთო საქმის მოუგვარებლობისათვის. საერთო საქმე მოითხოვს მეტი ყურადღება მიექცეს ლიტერატურულ-საზოგადოებრივ ინტერესებს, ვიდრე ჯგუფობრივს.

თანამედროვე საზოგადოებრივი ურთიერთობა კლასთა ბრძოლისა და რევოლუციონური მოძრაობის ნიშნის ქვეშ მიმდინარეობს და მწერალთა ორგანიზაციაც ამავე კლასიური რევოლუციონურ საფუძველზე უნდა იქნეს აშენებული.

საბჭოთა მწერლების ფედერაცია უნდა წარმოადგენდეს თანამედროვე შემოქმედებითი ძალების ორგანიზაციას,ის უნდა იქცეს საბჭოთა მწერლების საზოგადოებრივ ორგანიზაციად, რომელიც შემოიკრებს თავის გარშემო ნამდვილ საბჭოთა მწერლებს და გაუწევს მათ ხელმძღვანელობას, რათა კოლექტიური ძალით ჩაებან იმ საერთო სოციალისტურ მშენებლობაში, რომელსაც აწარმოებს დღეს ჩვენი ქვეყანა. უნდა შეიქმნეს ისეთი ორგანიზაცია, რომელიც ნამდვილ საბჭოთა მწერლობას გზას გაუხსნის სოციალისტური მშენებლობის დიდი ასპარეზისაკენ.

გრიგოლ ცეცხლაძე.

შემოგვაქვს წინადადება

ჩვენ არანორმალურ მდგომარეობად მივაჩნია, როდესაც მწერლობის მთელი საქმიანობა განისაზღვრება იუბილეების გამართვით, როდესაც წარსულის კულტურული მემკვიდრეობის დაფასება ბრმა თაყვანისცემაში გადადის. ეს ჩვენი გზა არ არის.

ამასთან ერთად ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ კულტურული მემკვიდრეობის— თავის მიზნებისათვის გამოყენებას სცდილობენ მემარჯვენე ელემენტები. ეს დამტკიცდა უკანასკნელ დროს გამართულ მთელ რიგ იუბილეებით. მემარჯვენეებს კლასიკოსებზე საკუთარი კაპიტალის შექნა სურთ. ასე გამოდის, თითქოს მემარჯვენენი შეუცვლელი შუამავლები არიან თანამედროვე მკითხველისა და კლასიური მხატვრული მწერლობის წარმომადგენლები ამ მწერალთა კულტურულ მემკვიდრეობას შორის.

ამ მოვლენას ჩვენ თავიდანვე ვებრძოდით და მომავალში კიდევ მეტი სისასტიკით უნდა შევებრძოლოთ.

დიდი ხანია უკვე გაფანტულია ის ზღაპარი, რომ ვითომდა პროლეტარული მწერლობა წარსულის კულტურულ მემკვიდრეობას ხელაღებით უარყოფდეს. მასისათვის უნდა გახდეს ხელმისაწვდომი წარსულის კულტურული განძი, მაგრამ საჭიროა მისი კრიტიკული მიწოდება, აუცილებელია მისი გადამუშავება. ამ მიზნით ძირშივე აღვკვეთოთ მემარჯვენეების ცდები მიმართული წარსულ კულტურული მემკვიდრეობის ბოროტად გამოყენებისათვის.

გარდა ამისა კლასიკურ მწერლობაში ჩვენ გვყავს ისეთი მწერლებიც, რომელნიც პროლეტარიატის გზის გამკაფავნი იყვნენ, მშრომელთა ინტერესებისათვის იბრძოდნენ. ამას წინეთ საბჭოთა საზოგადოებრიობამ გადაუხადა იუბილე პროლეტარულ მწერლობის უდიდეს წინამორბედს, თავდადებულ რევოლიუციონერს, მებრძოლ მწერალს **ეგნატე ნინოშვილს.** საჭიროა მშრომელ მასებისათვის ამ უსაყვარელესი მწერლის, კიდევ მეტი პოპულიარიზაცია.

ჩვენ გვყავს ისეთი კლასიკები, რომელნიც ღირსნი არიან მშრომელთა დაფასების, თანამედროვე მწერალთა შორისაც მოიპოვება ისეთი მწერალი, რომელმაც მთელი თავისი შემოქმედებით დაიმსახურა მშრომელთა პატივისცემა. ეს არის გადაგვარებულ თავად-აზნაურობის სასტიკად გამმათრახებელი **დავით კლდიაშვილი.**

დავით კლდიაშვილმა უდიდესი სიმახვილით გვიჩვენა თავად-აზნაურობის გადაშენების პროცესი, ცოცხალი სურათებით მოხაზა ამ პარაზიტი „ბრწყინვალე წოდების“, ნაშთების გათახსირება და უბადრუკობა.

მწერლის მიერ დაუნდობლად გამომჟღავნებულ და გამასხარავებულ თავად-აზნაურობის ნაშთები აქა-იქ დღესაც ბოგინობენ და სწამლავენ სოციალისტურ მშენებლობის ატმოსფერას. ამ ნაშთების წინააღმდეგ საჭიროა დაუნდობელი ბრძოლა და მშრომელთა მასების ყურადღება აქეთკენ უნდა მივაპყროთ. ახალ ყოფის განმტკიცება მოითხოვს თავად-აზნაურულ ჩვეულებების, ტრადიციების დაუნდობლად განადგურებას. ამ საქმეში დიდათ დაგვეხმარება **დავით კლდიაშვილის** ნაწარმოებთა ფართო პოპულიარიზაცია. ამ მიზნით წინადადება შემოგვაქვს გადაუხადოთ ლიტერატურული მოღვაწეობის აღსანიშნავი იუბილე დამსახურებულ მწერალს დავით კლდიაშვილს.

ბ. ბუაჩიძე, ვ. ლუარსაბიძე, ა. მაშაშვილი, ს.ეული, შ.რადიანი.

ვლადიმირ მაიაკოვსკი

მ შ ვ ე ნ ი ე რ ი ა
(ადგილი პოემიდან)

მე
დედამიწის ზურგი
თითქმის მთლად
დამივლია
სიცოცხლე
კარგია
ცხოვრება—
მშვენიერია.
და
წითელი
დროშით
მებრძოლ
დროში,
ენერგია გვაქვს
უფრო მაგარი.
იკლაკნება ქუჩა—
გველი-შაშარი.
გველის გასწვრივ
სახლები არი.
ჩემია
ეს ქუჩა
სახლებიც
ჩემია
ზედ რომ სჩანს.
ფანჯრებ
დაფჩენილი
სდგას მაღაზია
ქუჩაზე დაბჯენილი.
ფანჯარაში მოსჩანს
დაწყობილი
სანოვაგე:
ღვინო
და ხილი.
სანოვაგებ
მწერთაგან დასაცავად
მარმაშ ადებენ;—
ყველი,
კარაქი,
კალბასები.
ლამპები
ანთებენ;
„დაწეულია
ფასები!“
ჩემმა
კოოპერაციამ
ფრთები
ასწია;
კერძოები
დასჩაგრა,
მოერია.
სასიამოვნოა—.
მშვენიერია.
აწყვია
გროვათ ვიტრინებში
სადაც არის
წიგნების გროვა,
ჩემი გვარი
გვარებში
პოეტურ რუბრიკის.
მე მიხარია
ეს ჩემი შრომა არის,
რომ ურთდება
შრომას
ჩემი რესპუბლიკის.
სული
მიირთვი გროშად,
გული
მაქვს დიდ—
მშვენიერია
ფრიად.

თარგ. გრიგოლ ცეცხლაძის.

გ. ქუჩიშვილი.

კ ო ლ მ ე უ რ ნ ე ო ბ ა

1.
ვიშ, რას ვხედავ:
ახალ სოფელს
მოჰფენია
შრომის ჯარი;
მის მიწა-წყალს,
განუყოფელს,
აღარ უჩანს
არსად ზღვარი.

2.
მიჯნა-აყრილ
მინდორ-ველებს
გადაჰკვეთს
რკინის ხარი;
შეჯიბრი აქვთ
მხვნელ-მთესველებს, —
სჭექს სიმღერა,
მქუხს ხარხარი.

3.
ტრაქტორს ჰმართავს
მართა-ქალი
და გუთანს კი
მარჯვე გივი;
ხალისი და ბეჯითია,
აღარავინ აღარ სჩივის.

4.
ჭრაქის ნაცვლად
დღეს ამ სოფელს
აქათქათებს
ელნათური;
ერთს, მთლიანს და
განუყოფელს
ცხოვრება აქვს
ძმურზე — ძმური.

5.
სამკითხველო,
სკოლა,
კლუბი
რადიო თუ
ბავშთა კერა, —
ყველა რიგზე მოუწყვიათ
მოდით, ნახეთ,
თუ არ გჯერათ.

6.
აგერ არხიც
გაუჭრიათ,
რაღა უჭირთ
მინდორ-ველებს;
ყველას ოფლი
დაუღვრია, —
ვენაცვალე
ყველას ხელებს.

7.
მარჯვეთ, ძმებო,
ძმებო, მარჯვეთ;
ერთსულოვნად
გაისარჯეთ!

8.
ეგრე, ეგრე,
ერთად, ჯარათ;
მზეც ხალისით
გადიხარა!

9.
სჩქეფს ძარღვებში
ბრძოლის ჟინი,
შეტევაა
ძმურ ყიჟინით
და ვერ არჩევ,
ვერ ერკვევი
შრომაა თუ
ომი, ლხინი!

10.
ერთად, ჯარო,
შრომის ჯარო,
დაჰკა, დაჰკა,
მკლავ-მაგაროვ;
იარაღი
არ დავყაროთ,
მტრის გული არ
გავახაროთ!

11.
დაჰკა, ჯარო,
შრომის ჯარო;
დავიუფლოთ
მთელ სამყაროს.

რევოლიუციონური ეპოქის ენტუზიასტი*)

სასოწარკვეთა, უსასოობა,
ძველ ხანას ჩვენთვის რომ მოუცია
უნდა გადიწვას და აღიგავოს,
ამიტომ ხდება რევოლიუცია.
იმიტომ ხდება რევოლიუცია,
რომ ამიერით არ გვეფარება
მწუხარე ხანა დეკადანსისა.
დაცემა, გახრწნა, გადაგვარება.
პოეტი ეხლა გამდგარი განზე
დროგადასული და მოხუცია.
უნდა შეერთოთ მასიურ ტალღებს
ამიტომ ხდება რევოლიუცია...

გალაქტიონ ტაბიძე—„ეპოქა“

კომუნისტურ მანიფესტის პირველ თავში აღნიშნულია, რომ კლასთა ბრძოლის უმაღლეს მწვერვალის დროს, გაბატონებული კლასის ფენებში გახრწნის პროცესი აღწევს ისეთ ძლიერ, ისეთ მაღალ ხარისხს, რომ რამოდენიმე ნაწილი სცილდება გაბატონებულ კლასს და ემხრობა მომავლის მედროშე— რევოლიუციონურ კლასს. პროლეტარიატს უერთდება იმ ბურჟუა-იდეოლოგების ნაწილი, რომელნიც ამაღლდენ ისტორიულ მოძრაობის მთელი მსვლელობის თეორეტიულ გაგებამდე.

პროლეტარიატის გამარჯვების შემდეგ ეს „მომხრობის“ პროცესი უფრო გარკვეული ხდება. პროლეტარიატის მხარეზე— ბურჟუა- იდეოლოგების გადმოსვლა, არ ხდება ისეთი ტემპით, როგორც ბურჟუაზიის მხარეზე თავადების გადასვლა ხდებოდა, მაგრამ წვრილ-ბურჟუაზიის ფენებიდან გადმოსვლა კი თვალსაჩინოა. წვრილ-ბურჟუაზიის ბანაკიდან გადმოსვლა რევოლიუციონური კლასის მხარეზე ხელოვნების და მხატვრული მწერლობის სფეროშიაც მნიშვნელოვან მოძრაობათ იქცევა. მწერლობის სფეროში დღეს ამ პროცესს— ჩვენ უწოდებთ თანამგზავრობას.

გალაქტიონ ტაბიძე დამშრალი და უძალღო — წვრილ- ბურჟუაზიული ინტელიგენციის წარმომადგენელი იყო. სასოწარკვეთა, უსასოება, გადაგვარება, დაცემულობა, მესჩანობის შიში, სევდა, „ყოფნა არ ყოფნის“ ტვინ-ნაღრძობი ფილოსოფია, ანარქია, ტირილი და ბოჰემურ განწყობილებათა ლოთური ბოდვა, გალაქტიონ ტაბიძის —ნიჭიერი სიმღერების „ზურმუხტი და ლალი“ იყო. მაგრამ მოხდა რადიკალური გარდატეხა. ოქტომბრის რევოლიუციის ძლევამოსილმა ელვარებამ დაიპყრო და აღაფრთოვანა პოეტის სულისკვეთება. ის სასტიკათ შეებრძოლა საკუთარ თავს, დეკადანსს, გახრწნას, უსასოობას, წუწუნს.

ქართული მწერლობის ოქტომბრის წინამორბედ თაობის უნიჭიერესმა წარმომადგენელმა, ძლიერმა შემოქმედმა —მთელი არსებით იგრძნო, რომ რევოლიუციით იწყება ახალი ეპოქა, რომ თავდება მესაკუთრეთა ბატონობა, რომ აუცილებელია რევოლიუციის ფეხდაფეხ მიყოლა. სხვა გზა არის— გზა სიკვდილის, ბნელი წარსულის აგენტობის ყულეფის, ჩაგვრის და მონობის.

„პოეტი ეხლა გამდგარი განზე
დროგადასული და მოხუცია.
უნდა შეერთოთ მასიურ ტალღებს
ამიტომ ხდება რევოლიუცია“.

გალაქტიონ ტაბიძემ მხნეთ და გაბედულათ დაარღვია ამ განზე გამდგართ, დრო-გადასულთა მოხუცთა პოლიტიკურ -საზოგადოებრივი იდილია, ერთნაირობა, ღვარძლიანი შეთქმულება და მთელი თავის შემოქმედებითი ენერგიით ჩადგა, რევოლიუციონურ მასის საომარ ბანაკში. კლასიურ ბანაკის თვალსაზრისის— გამოცვლა უეცარი და ადვილი არ ყოფილა. ეს მთელი გზა იყო,ძველ განწყობილებათა და მოტივების დაძლევის გზა, რომელიც ია და ვარდით არ იყო მოფენილი. მან ბევრჯერ წაიბორძიკა, რამოდენიმეჯერ ძველი განწყობილებანი ისევ შემოესიენ პოეტს. („ასი ლექსი“) პოეტის გულში, ძველის და ახლის გამოძახილი უკანასკნელათ გამოქვეყნებულ „ეპოქაში“-დაც სჩანს:

„რა გამოატანს ეხლა,
რაც სამუდამოთ გიზის
ინტელიგენტის გულში
შეჭრილ შხამიან სინდისს“.
„გამოურკვევლათ მიდის
მოსაგონებლად მწარი
გამოურკვეველ ბინდის
და მისტიციზმის მხარე“.

პოეტმა დასძლია „შხამიან სინდისს“, მისტიციზმის მხარეს. პოეტმა განდევნა, ამოსწყა, სინდისის და ჰვარტლიან სევდის განწყობილებანი. სიხარულით და ენტუზიაზმით განიმსჭვალა. შეხედა, დარწმუნდა, იგრძნო:

„ის პოეზია გაქრა,
იგი ოქრო და ვერცხლი,
დრომ ძველ მიდამოს გაჰკრა
ცოცხალ ცხოვრების ცეცხლი
„რა საჭიროა ნანა
ან მოგონება ხშირი,
დღეს თანასწორად დგანან
მზე, პოეტი და გმირი“

მან შეიგნო, რომ აუცილებელია:

„გზა-ჯვარედინზე მყოფი პოეტი
ახალ სიცოცხლით შეიქმნეს სავსე“.

პოეტმა მონახა ეპოქის ძარღვი. გაიგო და განიმსჭვალა ეპოქის რევოლიუციონურ პროგრამით. ის სავსებით დაენდო და შეერთო მასიურ ტალღებს. ამოქმედდა ეპოქის სულისკვეთებით. შეუბრალებლად დაამსხვრია მესჩანობის ჩონგური და ამეტყველდა ეპოქის იდეებით. მტკიცედ დარწმუნდა, რომ ხავს მოკიდებულს, ნელს და ბორიოს, ააყირავებს რევოლიუციის წლები, ის მოითხოვს:

„ხელოვნებათა არმია ჩქარი
ეპოქის გვერდით იაროს, წადი.
თუ დღეს რამ არის გაუგებარი
ხვალ ნათელივით იქნება ცხადი“.

პოეტი მოუწოდებს ხელოვნებათა არმიას, მის მსგავსათ იაროს ეპოქის გვერდით, ჩაებას მასის ტალღებში. გასწყვიტოს კავშირი ძველთან, ანტი-პროლეტარულ კლასებთან. რევოლიუციონურ ეპოქის „გვერდით“ დგომა სხვაგვარათ არ შეიძლება. ხელოვნება, მწერლობა— კლასიური ბრძოლის იარაღია. თავისი შემოქმედებით უახლოვდება პროლეტარიატის იდეურ პოზიციებს წინააღმდეგ რეაქციონურ ფენებისა, მათი იდეებისა. პოეტი გაემიჯნა მათ. პოეტმა არა მარტო „აწყენია“ მათ, არამედ მთელი თავის შეგნებით აქტიურად მიმართა მათ წინააღმდეგ მხატვრული მახვილი:

„ლექსი ყოველთვის იყო ხანჯალი,
ლექსი მტრისათვის იყო სიკვდილი.
მოგხვდათ? იგრძენით? შევატრიალე
თუ არა ნისლში მყოფი ბორბალი“.
(ხაზი ჩვენია. ბ. ბ.)

პოეტი მიმართავს მათ, ვისაც ის „თავისი“ ეგონა და კიდევაც ჰქონდა ამის საბუთები. მაგრამ რევოლიუციამ საბოლოოდ ჩამოაცილა მათ ნიჭიერი შემოქმედი და გახადა მათი მტერი. ამიერიდან პოეტის ბასრი ხანჯალი —ლექსი —რევოლიუციის მიზნებს ემსახურება. ეს ცხადია არ მოეწონებოდა კონტრ- რევოლიუციონურ ხროვას, მესჩანობას, რომელიც გალაქტიონ ტაბიძისაგან—დამატკბობელ პოეზიას მოელოდა. მაგრამ პოეტმა შეატრიალა ნისლში მყოფი ბორბალი და ხავსმოკიდებულ ნისლს— რევოლიუციის ენტუზიაზმი ამჯობინა. ეს უეცარი „მოტრიალება მთილზე მეტი“ ცხადია იგრძნეს, ცხადია მოხვდათ მათ, ვისაც საჭირო იყო. პოეტმა ეს კარგათ იცის და კიდევაც გამომწვევათ ხაზს უსვამს ამ გარემოებას. მას ზოგიერთებივით უკან დასახევი ხიდეები აღარ აქვს დატოვებული. მან უკვე ააფეთქა ეს ხიდეები. ის მარტო დეკლარაციებით, გონებით კი არ შეითვისებია ეპოქას, ბოლშევიკურ ხანას— არამედ გულით, მთელი თავისი შემოქმედებითი შესაძლებლობით.

„ჩვენ რასაც ვმღერით მას გული მღერის:
განუსაზღვრელი თავდავიწყებით“.

ეს მწერლისათვის აუცილებელი ენტუზიაზმია.

მწერლობა თვალთმაქცობა არ არის და არც დიპლომატია. ვინც ამ გზაზე ადგება მისი „ჩავარდნა“ და გამომჟღავნება ადვილია. ჩვენს ეპოქაში ყოველგვარი ბეწვის ხიდეები დაწყვეტილი და განადგურებულია.

გალაქტიონ ტაბიძე — ბარიკადების ზევით არ დგას. არავის არ ურჩევთ ამ საქმის. უხერხული ადგილია. ორივე მხრიდან დაიცხრილება. იქ მდგომი. ეპოქის მოთხოვნილება კატეგორიულია. ან ბარიკადების იქით ან აქეთ. შუაში დგომა არ შეიძლება. ძალთა დანაწილება გარკვეულია.

გალაქტიონ ტაბიძემ შესძლო ეპოქის პათოსის განცდა და მითი აღფრთოვანება. ამას სავსებით ადასტურებს პოემა „ეპოქა“. ის უპირდაპირდება არა მარტო რეაქციონურ ფენებს — არამედ მათ მწერლობასაც. პოეტი ბრძოლით დასცილდა ამ მწერლობას და დღეს გესლიანათ ამათრახებს მას:

„როცა თბილისში ტყე მღელვარებდა
და ავჭალაში კიოდა ტურა,
იმ ხანისათვის თუ ივარგებდა
თქვენი მხატვრული ლიტერატურა“.
(ხაზი ჩვენია. ბ. ბ.)

პირდაპირ ზედგამოჭრილი ფორმულაა. დიდებული, ზუსტი და მიზანში მხვედრი. რამდენი ჩვენი „ლოიალური“ მწერალი ნახავს თავის სახეს ამ ტაეპში, რამდენი აღიმიება და მისი ავტორის მისამართით ობივატელურად გაიღიმება. მით უკეთესი.

საჭიროა საბჭოთა მწერლობის გზების გასუფთავება დაგვიანებულ ქარავნისაგან. რევოლიუციის პოეტის მახვილი სწორათაა მიმართული.

„ეპოქა“— გალაქტიონ ტაბიძის უკანასკნელ ხანების ცენტრალური ნაწარმოებია. პოეტი სცდილობს გადმოგვცეს ჩვენი ეპოქის ძირითადი განწყობილებანი, მთავარი მოვლენანი, ფაქტები. „ეპოქა“— ეპოპეია არ არის, მიუხედავათ იმისა, რომ ნაწარმოები დიდია, მასში ჩვენ ეპიურ თხრობას ვერ ვხედავთ. აქ არც ჩვენი დროის „წვრილმანი“ მხარეებია, რომელნიც შეადგენენ ეპოქის „ხორცს“. გალაქტიონ ტაბიძე დღესაც რომანტიკოსია,—ცხადია არა „ვერხვის ფოთოლთა შრიალის“, მერის ჭაღარისწერის, არამედ რომანტიკოსი — პროლეტარულ რევოლიუციის. ამიტომაა „ეპოქაში“ ეპოქის გარეგნული ეფექტი უფრო მძლავრად იგრძნობა, ვიდრე შინაგანი დუღილი და საქმიანობა. „ეპოქაში“ გადამწონ ნაკადათ სჩქეფს პოეტის ლირიკა. ესეც ცხადია არა კამერული, ვიწრო ინდივიდუალისტური, არამედ საზოგადოებრივი, აქტიური.

„ეპოქა“ ნაწყვეტებია, უსისტემოა. შეგიძლიანთ ბოლოდან წაიკითხოთ, შეგიძლიათ შუაგან, თუ წესს მისდევთ — შეგიძლიანთ თავიდან დაიწყოთ. ავტორი კი ამ შეკრულობის და თანდათანობის წესს არ დაგიდევსთ. „ეპოქაში“ — მიუხედავათ ასეთი „არეულობისა“ — მთავარი პრობლემები, ფაქტები, ეპოქის დამახასიათებელი განწყობილებანი, ძალები და სწრაფვა რელიეფურად სჩანს. არის ეპიურობის ტენდენციებიც.

„ეპოქა“ იწყება მსოფლიო ომიდან. პოეტი გვიჩვენებს თხრილებში ჩალაგებულ ჯარისკაცთა სილუეტებს. სიმშილი, სიცივე, სიტიტვლე, ტყვიები, სიკვდილი. ადამიანთა ლეშით ავსილი ყოველი ნაპრალი, აგერ მოხუცი დედაკაცი ეძებს შვილს. სად არის? ვინ იცის? ვინ ნახავს? რამდენი შვილი გაურესილა ამ სასაკლაოზე?

კლასიური დანაწილება ფრონტზედაც სჩანს. აგერ ზურგს უკან „კოკტეილებთან“ ქეიფობენ გენერლები, ოფიცრები. შორიდან ოქრო დირიჟორობს. მკვლელები სხედან მთავრობის სავარძლებში, ტრესტებში, ფირმებში, სავაჭრო კომპანიებში, „სოციალისტურ“ პარტიებში. სისხლით/სტკბებიან და ნებივრობენ.

მაგრამ თანდათანობით იზრდებოდა რევოლიუციონური განწყობილება. ჯარისკაცის ფარაჯაში გახვეული მუშა და გლეხი, იარაღს აბრუნებს. ომი—ომს. აღმოსავლეთით და დასავლეთით, დაღალული ჯარისკაცი, ომს ეომება. იღვიძებს, ენთება აღმოსავლეთი. იფეთქა რევოლიუციამ.

შემდეგ: პოეტს უშუალოთ გადაყავს მკითხველი რევოლიუციის პერიოდში.

„ეპოქა იშვა და გაიზარდა
სამოქალაქო ბრძოლების რკალში“.
„ბარ სავსე სპაზმით,
გრძნობას რომ ვეღარ აუთავდებით
ხან ალგზნებულნი ენტუზიაზმით,
გმირული რწმენით და თავდადებით“.

რევოლიუციონურ საქმეების ენტუზიასტმა პოეტმა იცის, რომ ძნელია — ახალის აგება, შეცდომებიც არის—მაგრამ ამაზე ის კი არ წუწუნებს, ობივატელურად კი არ სტირის, გვერდზე კი არ დგება, არამედ დაჯერებით სავსე დასაბუთებას იძლევა:

„და შეცდომებიც ახალი დროის,
რაღა თქმა უნდა ბევრზე, ბევრია,
მაგრამ როდესაც შენდება მხარე
როცა კულტურის ხე-ტყე მკვრივია—
ხარაჩოებში ხე-ტყეში მწვავე
შეცდომა მუდამ ბუნებრივია.
ისე ბევრია ხე-ტყეში ეცერი
ისე ბევრია იქ ნახერხები,
კარი, თლილი ქვა, ცემენტი, მტვერი,
ხელსაწყოები, ლოდი ვერხვები.
უხერხულია აქ სიარული,
ვიწრო გადასვლა და მიმართება
მაგრამ შენობა მაინც შენდება,
შენობა შრომით მიიმართება.
შენობა მძლავრი—არა მონური,
უზარ-მაზარი, ჯერ არ ნახული,
რევოლიუციონური“.

პოეტი განთავისუფლებული შრომის მომღერალია. ის ორგანიული სიძლიერით გადმოგვცემს შრომის რიტმს:

„გრგვინვა, გრიალი, რეკვა, ტერილი,
ელვა, ქურაზე მაღა მაგარი,
ფოლადი, რკინა გადაგრეხილი
გადააბრუნე, ასწი დაჰკარი“.

ეს შრომის რიტმის ესთეტიური ათვისება კი არ არის, არამედ საქმიანი, გამიზნული. ქარხანა, შრომა, ბორბლის ბრუნვა, ეს არის ახალი ქვეყნის სიმფონია, კაპიტალისტის ძველი ბუნაგის ნგრევა; ეს არის:

„პროლეტარული აღფრთოვანება
მოახლოვებულ სოციალიზმის!“

ელსადგურის რომანტიკა სოციალიზმის მძლავრი ხმაა. ამ შრომის საფუძველი ინტერნაციონალია. ეპოქის გული ინტერნაციონალია. „მუდამ მაღელვებს ეს ჰიმნი ჩვენი, ეს ყრუანტელი ჩვენი დროისა“. პოეტი ძლიერი ხმით, დალაგებულად გვიყვება ინტერნაციონალისათვის ბრძოლის თავგადასავალს. იხსენიებს რევოლიუციებს, პარიზის კომუნის მსხვერპლთ. მაგრამ მან იცის, რომ მსხვერპლს ამაოდ არ ჩაუვლია.

პოეტს რევოლიუციონური ალღო არ ღალატობს— არც კლასიური მტრის დანახვაში. რელიეფურად სჩანს კაპიტალიზმის მხეცის კბილები, მონობის უფლების დაცვა, ესკადრილიის, დესანტების, ხვრეტის, ძარცვის საშუალებით. მას არ ეპარება არც საბჭოებში ჩარჩენილი წარსულის ნაშთები; შეუბრალებლათ ამჟღავნებს ძველის ნანგრევებს, ლანდებს, იდეებს, სქემებს, მათ უბადრუკობას. ეს კბილებ ჩაფცქვნილი გამოფიტულები კიდევ ჩიფჩიფებენ. აგერ „ბრძოლისა და იმის მხსნელ კომიტეტის წევრი“. ფაბრიკანტი. ეკლესია, ადმირალი. არ არის დავიწყებული არც პოეტები:

„ჩვენ პოეტები
ვართ არეული,
ვართ შინაური
და გარეული.
ჩვენ დეპეშები
მივიღეთ ომი
და ოქტომბერი
მზა-მზარეული“.

ასეთი ხალხი ეპოქის ბაქანს გარეშე რჩება.

„ეპოქაში“ პოეტი სცდილობს გვიჩვენოს იმ ხალხის განწყობილებანიც, რომელთაც წარსულში ჩარჩათ სული და გული. მას თვითონ კი გული არ სწყდება „რომ რაც გვჯეროდა დღეს აღარ გვჯერა“.

ის სცდილობს ბურანის გაფანტვას— იმ ხალხისათვის, რომელნიც რაღაცას ელიან:

თქვენ ერთ ბინაში სდუმხართ
და რაღა/ცაზე ფიქრობთ,
თქვენ შეიძლება უცდით
სასწაულების მოსვლას“.
გამოიღვიძეთ, კმარა,
ყოფნას გახედეთ ახალს“.

პოეტი, სოციალურ-კლასიურ არითმეტიკაში არ სცდება, ობივატელებს ის არ მოუხმობს. ეს „ეპოქის“ ხარჯია:

„დაე, ვისაც სურს ტკბილი ცხოვრება,
ნუ გამოჰყვება დასცხრენ, დაშუნჯდებ.
ასეთი კაცი არ გამოდგება.
იგი ვაჟკაცი ქალს უნდა უჯდეს“.

ეპოქა— რევოლიუციების, სისხლის, ბარიკადების, დაძაბულ შრომის თავგადებას თხოულობს. გამბედაობა მისი თვისებაა. პოეტს გათვალისწინებული აქვს მომავალი, გადამწყვეტი კლასიური ომები.

„ეპოქის“ ლირიკა— იმედით სავსეა. გალაქტიონ ტაბიძე —გამარჯვების ენტუზიასტია. არა სჩანს სევდა, უიმედობა, ენერგიის მღრნელი ეჭვები. რბილი ინტელიგენტების სილამაზე— განდევნილია— პოეტის მახვილ, პოლიტიკურ არსენალიდან. გამარჯვების ენტუზიაზმი -რევოლიუციონერ მებრძოლის პროგრამის ქვა-კუთხედია. მთავარია რწმენა საკუთარ ძალებში და კლასიური სიძლიერე.

„გულში ვატარებთ შურისძიებას
და ჩვენ ბევრი გვყავს თანაგრძნობელი“.

ბრძოლის პოეტს არ ჰბანგავს „სამშობლოს“ ნისლი. რეაქციონერობის საყვარო პატრიოტიკას— თანამგზავრი პოეტი ღირსეულ პასუხს აძლევს. ინტერნაციონალის სათაყვანებელზე პოეტი —კატეგორიულათ აღნიშნავს რომ:

„საქართველო მსოფლიოში შესვლით
შორეულების მეტს არაფერს ჰკარგავს,
შეიცვალა ახალგაზრდა შეცვლით
და წინანდელ საქართველოს არ ჰგავს“.

ეს საბჭოთა მწერლის პასუხია, საქართველოთი მოვაჭრე შინაურ და გარეულ ემიგრანტების საყურადღებოთ.

ამრიგად „ეპოქა“ ჩვენი დროის ძირითად საკითხებს ეხება და რევოლიუციონურად სწყვეტს. „ეპოქა“ გვიჩვენებს აზავთებულ საუკუნის მთავარ მოვლენებს.

„ეპოქის“ მხატვრული ხარისხი გალაქტიონ ტაბიძისათვის ჩვეულ მაღალ საფეხურზეა; აქ მისი პოეზიისათვის და მახასიათებელი მრავალი ფორმებია გამოყენებული. ერთი რიტმი, ერთი ძარღვი, ერთი ტემპი არა სჩანს. ეს საჭიროც არის და აუცილებელიც. ეპიურობა მასში არ არის. მაგრამ არის ზოგიერთი ადგილები—ეპიზოდები (ძმოთამწყობი, ბარიკადებზე მებრძოლი ქალი და სხვ.) ძლიერი, მკვეთრი თხრობითი მანერით გამართული. პოეტი ამჟღავნებს, რომ ეს ხერხი მას მშვენივრათ ეგუება. პოეტს მახვილი უნარით აქვს დახატული ღარიბი გლეხის ყოფის სურათი.

„ეპოქაში“ არის საგრძნობი სუსტი, ბუნდოვანი, გაუგებარი და აშკარად ზედმეტი ადგილები. კითხულობ და თავი ნისლიანდება. ვერ გაგიგია: რისთვის? რატომ? საიდან? რა შუაშია? შეფარი არ არის. აზრი არ არის. თავი არ არის. ბოლო არ არის. არც რაიმე გარკვეული განწყობილება—ლირიკა. არავითარი კავშირი „ეპოქის“ მთლიან კონსტრუქციასთან. არის კურიოზული, სავსებით დამოუკიდებლათ ჩამოვარდნილი „აზრიანი“ ადგილებიც:

„გამოსვლა ტიტველი
და ბაზარზე დიდგულობს.
ერთი ნემსის მყიდველი
ბათმან რკინას კითხულობს“.

რა შუაშია? საიდან? ეპოქასთან რა გინდათ? ალაგ-ალაგ არის მხატვრულად არამც თუ გაუმართლებელი, არამედ გალ. ტაბიძისათვის აუტანელი ადგილები. პირველსავე გვერდზე ჩარითმულია „კალამი— სალამი“.

შეიძლებოდა „ეპოქის“ დაწმენდა, შეკვრივება— რომ პოეტისათვის ხანდახან მხატვრულ ალღოს არ ეღალატება. მაგრამ ეს საგრძნობი დეფექტები ვერ ჩრდილავს „ეპოქის“ მხატვრულ -საზოგადოებრივ ღირებულებას. იმაოდ შეეცდება გალ. ტაბიძის რევოლიუციონურ შემოქმედების მხატვრული ხარისხის დამცირებას ის ხალხი, რომელსაც „ნაზი“ „სათაური“ გალაქტიონი უფრო ერჩია, ან და ისინი, რომელთაც რაიმე „სხვა“ ლიტერატურული თუ პოლიტიკური მოსაზრება ახალმძღვანელებსთ.

„ეპოქის“ დიდი ნაწილი, ძლიერი ტემპით, უნარით და რევოლიუციონური ენტუზიაზმით არის დაწერილი. ხშირად არის ყოველმხრივ ბრწყინვალე ადგილები. „ეპოქა“ საბჭოთა მწერლობის სანიმუშო ნაწარმოებია.

ჩვენ არ ვლაპარაკობთ, რომ „ეპოქის“ ფორმალური ღირსება —ახალი მწერლობის უკანასკნელი სიტყვა იყოს. ეს არის ქართული მწერლობის რევოლიუციამდე გამოსული თაობის, საუკეთესო და ნიჭიერი პოეტის —გამორჩეული ნაწარმოები. მისი გაბედული სიტყვა.

საერთოდ კი, ბევრი ახალგაზრდა პოეტია დავალებული გალ. ტაბიძის პოეზიისაგან. ახალი პოეზიის შემდგომი განვითარებისთვის საჭიროა გალ. ტაბიძის რიტმის დარღვევა-გარდაქმნა. საჭიროა სხვა ტემპი. თვითონ გ. ტაბიძე ნოვატორი იყო პოეზიაში და ის დღესაც კარგათ იყენებს თავის წარსულ მიღწევებს.

ამრიგად გალ. ტაბიძე „ეპოქაში“ გამომჟღავნებული მახვილი რევოლიუციონური ენტუზიაზმით, თავის შემოქმედებითი ენერგიის და შესაძლებლობის სრული გამოყენებით, რევოლიუციის— გამორჩეულ თანამგზავრთა პირველ რიგებში უნდა დავაყენოთ.

დღეს ის რევოლიუციის ერთგული რომანტიკოსია. ის ოცნებობს ახალ საქართველოზე: „ამ მინდვრებზე ხვალ, რომ დაიბადება“.

რევოლიუციამ მისცა მას შემოქმედებითი მარაგი, გამსჭვალა ენტუზიაზმით; ახალი ენერგიით.

რევოლიუციას სჭირდება ასეთი თანამგზავრები.

ბენ. ბუაჩიძე.

---

*) ეს წერილი წარმოადგენს ერთ თავს, დასაბეჭდათ გამზადებულ წიგნიდან: „ქართული ინტელიგენციის განწყობილებანი“.

ქრონიკა

ამხ. მ. ცხაკაიას დაბრუნება

24 აპრილს აჭარისტანში მოგზაურობის შემდეგ თბილისში დაბრუნდა საქართველოს ცაკის თავმჯდომარე ამხ. მიხა ცხაკაია, რომელიც უკვე შეუდგა თავის თანამდებობის შესრულებას.

საქ. ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმის წევრები

საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრებათ, საქ. სახკომსაბჭომ დაამტკიცა შემდეგი ამხანაგები: **პ. საბაშვილი, ი. პეტროვი, ბაგ. მაჩაიძე, ბესო ქიქინაძე, ანდ. კალანდაძე, ლ. ელბაქიანი, მ. ძამანაშვილი, მ. გარინი, მ. რონზენი, ტ. თხილავა, ა. მაისურაძე, ს. გოდაბრელიძე, ინჟ. ი. ერზინკიანი, ნოე კალანდაძე**, 26 კომ. სახ. ქარხნის დამკვრელი მელითონე მუშა ამხ. **გორდეზიანი** და თბილისის აპრემუმის ახალი საქსოვი ფაბრიკის დამკვრელი მუშა—ამხ. **ხუნდაძე**.

მუშათა დაწინაურების საქმის გამოკვლევა

საქართველოს პროფსაბჭო მუშათა და გლეხთა ინსპექციასთან ერთად შეუდგა მუშათა დაწინაურების საქმის მდგომარეობის გამოკვლევას ამიერ-კავკასიის და საქართველოს დაწესებულებებში და კავშირების ცენტრალურ გამგეობებში. შექმნილია ოცზე მეტი ბრიგადა, რომლებთანაც მიმაგრებულნი არიან სტუდენტებიც. გამოკვლევის მიზანია არა მარტო დაწინაურებულთა მუშაობის შემოწმება, არამედ იმ ადგილების დასახვაც, რომლებსაც დაიკავებენ საწარმოს მუშები, დაწინაურების წესით.

მუშები და მოჯამაგირეები სამხედრო სკოლებში

სამხედრო სკოლებში გასაგზავნ მუშების და მოჯამაგირეების მოსამზადებელ კურსების გასახსნელად, თბილისის აღმასკომმა გადასდო 1.000 მანეთი.

სასწავლო-სახელოსნო პოლიტეხნიკურ ინსტიტუტთან

დამთავრდა პოლიტეხნიკურ ინსტიტუტთან სასწავლო სახელოსნოს შენობის აგება. დაწყებულია სახელოსნოს შიგნით მოწყობა. სახელოსნოს ექნება საკუთარი ლაბორატორია და დაზგები.

მოქალაქეთა საყურადღებოდ

ქალაქის კომენდატი აცხადებს, მოქალაქეთა საყურადღებოდ, რომ 28 აპრილს, მლაშე ტბის რაიონში იწარმოებს სამხედრო საარტილერიო სროლა.

პროფსკოლები

პროფმუშაკთა კადრების მოსამზადებლად და პროფესიონალურ ცოდნის გასავრცელებლად, პროფსაბჭომ გახსნა მრავალი პროფსკოლა და მოაწყო პროფწრე. მუშათა უნივერსიტეტთან გაიხსნა პროფფაკულტეტი, რომელზედაც ირიცხება 50 კაცი. რესპუბლიკანური თვენახევრიანი პროფსკოლები უკვე დაამთავრა 117 კაცმა და გაიგზავნენ მაზრა-ოლქებში სამუშაოდ. ამჟამად კავშირებთან არსებობს 4 თვიანი პროფკურსები, რომლებზედაც ირიცხება 6857 კაცი, პროფწრეებში კი მეცადინეობს 2564 კაცი.

ამრიგად წელს პროფესიონალური ცოდნით მომზადებული იქნება 9.690 კაცი.

სხვადასხვა

◆ მომთაბარეთათვის საექიმო დახმარების საქმის გასაძლიერებლად, დღეს ჯანმრთელობის სახ. კომისარიატში მოწვეულია სპეციალური თათბირი.

—:—

ხელოვნების ქრონიკა

სახ. ოპერის სამხატვრო საბჭოს პლენუმი

სახელმწიფო ოპერის სამხატვრო - პოლიტიკური საბჭოს პლენუმი შესდგება დღეს, 26 აპრილს, საღამოს 7 საათზე, სახელმწიფო ოპერაში. დღის წესრიგში დგას შემდეგი საკითხები: 1930-31 წლის საოპერო სეზონის ორგანიზაცია; მუშაობა რევოლიუციონური საოპერო რეპერტუარის შესაქმნელად; თეატრალურ - მხატვრული ჟურნალის შესახებ.

დღის წესრიგში დასმული მეტად მნიშვნელოვანი საკითხების გამო აუცილებლად საჭიროა პლენუმის წევრთა, საზოგადოებრივი ორგანიზაციების და პრესის წარმომადგენელთა დასწრება.

ტფილისის სატირის თეატრი

კვირას, 27 აპრილს, დღისით თბილისის სატირის თეატრი მართავს საესტრადო ნომრებს პლეხანოვის სახელობის კლუბში.

27 აპრილს საღამოს, უკანასკნელად გამგზავრების წინ, წარმოდგენილი იქნება „კიდევ ტფილ. 1-ში“ მბეჭდავთა კავშირის კლუბში.

საექსტერნო გამოცდები

საშუალო ცოდნის მოწმობის მისაღებად

მშრომელ ახალგაზრდობის ნაწილი ან სრულიად ვერ ახერხებს საშუალო სასწავლებელში შესვლას, ან ხშირად იძულებული ხდება ოჯახური პირობების და სხვა მიზეზების გამო შესწყვიტოს მეცადინეობა.

ასეთი ახალგაზრდობისათვის საშუალო სასწავლებლის ცოდნის მოწმობის მიცემის მიზნით, განათლების კომისარიატმა საჭიროდ სცნო საექსტერნო გამოცდების შემოღება.

განათლების სახალხო კომისარიატის დადგენილებით, იმ ახალგაზრდობამ, რომელთაც სურთ მიიღონ საშუალო სასწავლებლის ცოდნის მოწმობა, გამოცდისათვის უნდა მიმართონ განათლების სახ. კომისარიატთან დაარსებულ სპეციალურ საგამოცდო კომისიას.

გამოცდებზე დაშვებულნი იქნებიან მხოლოდ მუშები, წითელ-არმიელები, საბჭოთა მოსამსახურეები, ღარიბესი გლეხები და მათი შვილები არა ნაკლებ 18 წლისა.

გამოცდების ჩაბარების მსურველმა საგამოცდო კომისიის სახელზე უნდა წარმოადგინოს შემდეგი საბუთები: წლოვანების და განათლების მოწმობები, მოწმობა სოციალური მდგომარეობის შესახებ, მოკლე ავტობიოგრაფია, 2 ფოტოგრაფიული სურათი და 15 მანეთი გამოცდისათვის. განცხადება აღნიშნულ საბუთებით წარდგენილი უნდა იქნეს პედაგოგიური სკოლის კანცელარიაში (კამოს ქ. № 59).

განცხადების მიღება იწარმოებს 1—30 მაისამდე, ხოლო გამოცდები 10-დან 20 ივნისამდე.

გამოცდებზე დაშვებული იქნებიან მხოლოდ ის პირნი, რომლებიც წარმოადგენენ შრომის სკოლის მე-2 საფეხურის პირველი კონცენტრის (7 წლედის) დამთავრების მოწმობას, ან რომელთაც ექნებათ ამის მაგიერი შესაფერი მოწმობა.

გამოცდები უნდა ჩაბარონ ათწლედის პროგრამების მიხედვით შემდეგ საგნებში: ქართულში (წერითი და ზეპირი), რუსულში (წერითი და ზეპირი), მათემატიკაში (წერითი და ზეპირი), საზოგადოებათ მეცნიერებაში, ფიზიკაში, ქიმიაში, ბიოლოგიაში, ფიზიკურსა და ეკონომიურ გეოგრაფიაში.

იმ პირებმა, რომლებიც ვერ წარმოადგენენ 7 წლედის დამთავრების მოწმობას, გამოცდები უნდა ჩააბარონ მე-5 ჯგუფიდან მე-10 ჯგუფის პროგრამების ფარგლებში.

დღეს, 26 აპრილს, საღამოს 6 საათზე, საქ. მ/გ. ინსპექცია და პროფსაბჭო მუშათა სახლის მცირე დარბაზში იწვევენ

სახელმწიფო კრედიტის დამხმარე კომისიის წევრების

ფართო თათბირს

უნაღდო ოპერაციების გავრცელების შესახებ ქ. თბილისის ყველა კოლექტივების, დამხმარე კომისიების წარმომადგენლების დასწრება სავალდებულოა.

სამზადისი ბეჭდვითი სიტყვის დღის ჩასატარებლად

ბეჭდვითი დღის ჩასატარებლად ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა ბიუროში შესდგა თათბირი, რომელსაც დაესწრო თბილისის რედაქციების წარმომადგენლები.

თათბირმა დაადგინა: ბეჭდვითი დღის აღსანიშნავად 5 მაისს, ქალაქის 4 რაიონში—პლეხანოვის, მბეჭდავთა, მეტყავეთა და აღმშენებელთა კლუბებში მოაწყოს შესაფერი საღამოები.

საღამოზე გაკეთებული იქნება მოხსენებები ბეჭდვითი სიტყვის ამოცანების შესახებ; პლეხანოვის კლუბში მოეწყობა კედლის გაზეთების გამოფენა, მბეჭდავთა კლუბში—საბჭოთა ჟურნალისტების საჩვენებელი გასამართლება. გარდა ამისა, აღნიშნულ კლუბებში იმავე დღეს გაიმართება კონცერტები, კინოსურათების ჩვენება და სხვ.

კლუბებში საღამოების მოწყობა დაიკისრა რედაქციებმა.

ჩატარებული იქნება მკითხველთა კონფერენციები როგორც თბილისში, ისე ოლქის რამდენიმე რაიონში.

5 მაისიდან 20 მაისამდე 26 კომუნარის სახელობის ბაღში გაიმართება წიგნის ბაზრობა, სადაც წიგნები გაიყიდება იაფ ფასებში. მთლიან კოლექტივიზაციაზე გადასულ რაიონებში უფასოდ გაიგზავნება შესაფერი შინაარსის ლიტერატურა.

თათბირმა დაადგინა აგრეთვე — მსხვილ წარმოებებზე მიამაგროს ჟურნალისტები, რომლებიც ხელმძღვანელობას გაუწევენ კედლის გაზეთების რედკოლეგიების მუშაობას.

ნატახტარის წყალსადენის გაყვანა

დამთავრდება 1931 წლის ოქტომბერში

ამჟამად გაცხოველებული მუშაობა სწარმოებს ნატახტარის წყალსადენის გასაყვანად, მთავარი სამუშაოების ნაწილი უკვე დამთავრებულია.

გაყვანილია გვირაბი 7—15 მეტრის სიგრძეზე, დაწყებულია კიდევ ორი გვირაბის გაყვანა. ამ ორივე გვირაბის სიგრძე იქნება 1600 მეტრი.

სწარმოებს აგრეთვე საჭირო აუზების მოწყობა და შენობების აგება.

მდ. არაგვზე ხიდის აგება დამთავრდება მიმდინარე წლის აგვისტოში. ხიდის სიგრძე აღემატება 110 მეტრს.

მთელი წყალსადენის მოწყობა სავსებით დამთავრებული იქნება მომავალი წლის ოქტომბერში.

ნატახტარის წყალსადენი, თბილისს გარდა, წყალს მიაწვდის ქალაქის ახლო მდებარე 15 სოფელს და კოჯორს.

ფართოდ გავავრცელოდ მეაბრეშუმეობა

გავფანტოთ კულაკების მიერ გავრცელებული ჭორები

საქართველოს მეაბრეშუმეობის რაიონებში კულაკები ჭორებს ავრცელებენ, თითქოს აბრეშუმის პარკს გლეხებს უფასოდ ჩამოართმევს ხელისუფლება, ან პარკის ღირებულებას გადასცემს კოლექტივებს. ზოგ რაიონში კულაკების ჭორებმა გასჭრა და გლეხები უარს აცხადებენ „საქ. აბრეშუმიდან“ თესლის მიღებაზე.

ამ ჭორების წინააღმდეგ საბრძოლველად და კულაკების მიერ შეცდომაში შეყვანილ ღარიბ გლეხებში შესაფერი ახსნა-განმარტების ჩასატარებლად, განათლების კომისარიატმა გადასწყვიტა გამოიყენოს სკოლები. ამ მიზნით განათლების განყოფილებებს და სკოლებს დაეგზავნათ შესაფერი მიწერილობები. განათლების განყოფილებებს და სკოლებს ევალებათ მოწაფეობას განუმარტონ მეაბრეშუმეობის მნიშვნელობა და კულაკების ჭორების უსაფუძვლობა.

ყოველმა მოწაფემ თავის მხრით უნდა დაარწმუნოს თავიანთი მშობლები და ახლობლები იმაში, რომ აბრეშუმის პარკი უსასყიდლოდ არავის ჩამოერთმევა, პირიქით, მეაბრეშუმე გლეხებს პარკის ღირებულების გარდა, შეღავათიან ფასებში მიეცემათ ფართლეული, სურსათ-სანოვაგე და აღმოეჩინებათ უფასო აგრონომიული დახმარება.

საქართველოში მეაბრეშუმეობის განსავითარებლად მთავრობის მიერ დასახული ღონისძიებებით, გლეხობას უნდა გააცნონ თვით მასწავლებლებმა შესაფერი საუბრების მოწყობით და მოწაფეებთან ერთად ებრძოლონ კულაკების პროვოკაციას.

რკინის გზებზე

საექსპორტო შპალების დამზადება

ამიერ-კავკ. რკინის გზის გამგეობამ გადასინჯა გზის სატყეო განყოფილების მიერ საექსპორტო შპალების დამზადების პროგრამა. ახალი პროგრამა ითვალისწინებს—150.000 ცალ წიფლის და 30.000 ცალი მუხის შპალის დამზადებას.

პროგრამის შესრულების უკანასკნელ ვადათ დაწესებულია 1 ივნისი.

გარდა ამისა პროგრამის გარეშე განყოფილებამ უნდა დაამზადოს 1 ივლისისათვის დამატებით 10.000 ცალი წიფლის შპალი.

გზის დარაიონება

დაიწყო მუშაობა ამიერ-კავკ. რკინის გზის დასარაიონებლად. გზის ყველა უბნებზე მუშაობენ სპეციალური კომისიები, განყოფილებების პასუხისმგებელ მუშაკების ხელმძღვანელობით.

მოძრავი სახლები

ამიერ-კავკ. რკინის გზის გამგეობამ წინადადება მისცა ახალ სამუშაოების განყოფილებას დაამუშაოს გზაზე მოძრავ სახლების გამოყენების საკითხი.

განუწყვეტელ საწარმოო კვირაზე გადასვლის შედეგების შემოწმება

29 აპრილისათვის დანიშნულია წარმოებების განუწყვეტელ საწარმოო კვირაზე გადამყვან ამიერ-კავკასიის რესპუბლიკანურ კომისიის სხდომა.

ამ სხდომაზე განიხილავენ ამიერ-კავკ. რკ. გზის განუწყვეტელ საწარმოო კვირაზე გადასვლის საკითხს.

თესლისათვის დანიშნული ტვირთები

გაზაფხულის თესვის კამპანიასთან დაკავშირებით თესვისათვის დანიშნული ტვირთების გადაზიდვა რკინის გზებზე სწარმოებდა ყოველ რიგს გარეშე.

ეხლა, კამპანიის დამთავრების გამო, ასეთი წესი რკინის გზაზე გაუქმებულია და თესვისათვის დანიშნული ტვირთების გადაზიდვა 1 მაისიდან იწარმოებს ჩვეულებრივი წესით.

სადგ. მეტეხის გადაკეთება

ახლო მომავალში დაიწყება მუშაობა სადგ. მეტეხის გადასაკეთებლად.

გაფართოებული იქნება მგზავრების მოსაცდელი შენობა და აიგება მოსამსახურეების საცხოვრებელი ბინები.

სასამართლო

კაზაროვის გასამართლება
(საჩვენებელი პროცესი)

დღეს ტრამვაელების კლუბში საღამოს 5 საათიდან დაიწყება მოქ. აკოპ კაზაროვის გასამართლება.

როგორც ვსწერდით, ამ ანტისაზოგადოებრივმა ტიპმა, რომელსაც მრავალი რეგისტრაცია აქვს სისხლის სამართლის მილიციაში, 14 აპრილს გაჰრყვნა თამბაქოს მეორე ფაბრიკის მუშის 4 წლის ბავში.

ამ საზიზღროებით აღშფოთებული მუშები მოითხოვენ კაზაროვის სასტიკად დასჯას.

საქმეს არჩევს მე-4-ე უბნის სახალხო სასამართლო.

—:—

შრომის კანონების დამრღვევი

პირველი რომ იყოს ასეთი დანაშაული რკინიგზის პოლიკლინიკის გამგის **გარნიგ კარაგელიანის** მხრივ კიდევ არაფერს ვიტყოდით. რა ვუყოთ, ვის არ მოუვა შეცდომა.

მაგრამ აქ საქმე გვაქვს არა უნებლიე შეცდომასთან, არამედ ყოვლად უმსგავსო თვითნებობასთან, რომელიც მჭიდროთ უკავშირდება პროტექციონიზმს, „ნათლიმამობას“ და ნათესავთ მოყვარეობას.

კარაგელიანი არ სცნობს არც ბირჟას, არც კავშირს, არც შრომის სასამართლოს. შრომის კანონები, კარაგელიანის აზრით, მხოლოდ იმისათვის არსებობენ, რომ თავი გაირთონ შრომის დამცველ ორგანოების მუშაკებმა.

მრავალი საბუთი არსებობს იმის შესახებ, რომ კარაგელიანი თავის დაწესებულების კარებს მხოლოდ ნაცნობ-ნათესავებს უღებდა, ღებულობდა მათ ბირჟის გარეშე.

შრომის ბირჟის კანონიერი პროტესტი რჩებოდა „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“. პროფორგანიზაციის ჩარევაც ხშირად უნაყოფო იყო, რადგან ურჩი გამგე კატეგორიულად და პირდაპირ აყენებდა საკითხს: „ან მე ან ისინი“.

უკანასკნელად კარაგელიანის წრეგადასულმა ურჩობამ მიიპყრო სათანადო ორგანოების ყურადღება. საქმე შეეხებოდა კბილის ექიმის იმნაიშვილ - კველიშვილის ქალის სამსახურიდან უკანონოდ მოხსნას. საქმე ყველა ინსტანციაში იყო, ყველგან უკანონოდ იქნა აღიარებული კარაგელიანის საქციელი. რამდენიმე დადგენილება იყო გამოტანილი კველიშვილის სამსახურში აღდგენის შესახებ, მაგრამ გამგე კარაგელიანს კველიშვილის მაგიერ ახლო მოკეთე ჰყავდა მიღებული ბირჟის გარეშე და ამიტომ არ ზოგავდა არაფერს შრომის ორგანოების დასამარცხებლად.

მაგრამ მოხდა ის, რომ კარაგელიანი ბრალდებულის სკამზე დასვეს შრომის კანონების სისტემატიურად დარღვევისათვის.

კარაგელიანს მიესაჯა ჯარიმა 100 მანეთი სოცდაზღვევის სამმართველოს სასარგებლოდ.

ვფიქრობთ, რომ ასეთი ღონისძიება კარაგელიანის გონზე მოსაყვანად არ იკმარებს. საჭიროა გამგეობამ კომისიამ გამოძებნოს უკეთესი ღონისძიება ურჩი გამგის მოსაქვიანებლად.

ბერ.

მატყლისა და რძის ნაწარმოების კონტრაქტაცია

გეგმის თანახმად წელს კონტრაქტაცია უნდა ჩატარდეს 106.140 ფუთ მატყლზე. „სოფლის კავშირი“-ს ცნობით მარტის მეორე დეკადამდე კონტრაქტაციის გეგმა შესრულებული იყო 0,6 პროც. გადაჭარბებით. ზოგიერთი კოლმეურნეობების დაშლის გამო მდგომარეობა შეიცვალა და 20 აპრილისთვის კონტრაქტაცია ჩამოყალიბებული იყო 65.377 ფუთზე, რაც შეადგენს გეგმის 61,5 პროცენტს. აქედან კონტრაქტაცია ჩატარებულია 45.087 ფუთ გაზაფხულის მატყლზე, 15.895 ფუთ შემოდგომის მატყლზე და 4.594 ფუთ ბატკნის მატყლზე.

მატყლის ავანსის ანგარიშში გლეხებს შორის გასანაწილებლად ადგილებს გადაეგზავნათ 25.000 ფუთი ფქვილი, 1.125 ფუთი შაქარი, 144.000 მანეთის ფართალი და 3.500 მანეთის ფეხსაცმელი.

რძის ნაწარმოების კონტრაქტაცია შემდეგ სურათს იძლევა: საკონტრაქტაციო ხელშეკრულებები ჩამოყალიბებულია 6.449 ფუთ შვეიცარულ ყველზე (გეგმის 81,3 პროც.), 7.824 თუშურ ცხვრის ყველზე (გეგმის 62,6 პროც.) 23.637 ფ. ძროხის ყველზე (გეგმის 67,4 პროც.), 1.119 ფუთ გუდის ყველზე (გეგმის 55,6 პროც.), 9.525 ფუთ ოსურ ყველზე (გეგმის 120 პროც.), 840 ფუთ იმერულ ყველზე (გეგმის 27,7 პროც.), 2,119 ფუთ სულგუნზე (გეგმის 43,4 პროც.), და 6.443 ფუთ კარაქზე (გეგმის 264 პროცენტი).

ფეხბურთი

„ადგილობრივი ტრანსპორტი“ — „პოლიტეხნიკური ინსტიტუტი“.

ხუთშაბათს, 24 აპრილს, „დინამოს“ სტადიონზე გაიმართა კალენდარული შეჯიბრება ტრანსპორტელების და პოლიტეხნიკურ ინსტიტუტის გუნდებს შორის.

ტრანსპორტელების მხრივ თამაშობდენ: სოლონინი, რამიშვილი, გუშინკო, ჩერეპჩენკო, იმნაძე, ორეხოვი, სომოვი, მაღალაშვილი, დიაკოვი, პაპიანცი, ორლოვი.

პოლიტეხ. ინსტიტუტიდან: კენაფენტოვი, მაი, კოლოიანი, ორლოვი, ალექსეევი, გიორგაძე, მოისწრაფეშვილი, გუნია, შტრილინი, ბარამიძე და გ. ცომაია.

სტუდენტების ზოგიერთი მოთამაშე ვერ აღმოჩნდა თავის სიმაღლეზე. მოთამაშეები ვერ არიან სათანადოთ გაწრთვნილნი. პირველ ტაიმში ინსტიტუტის გუნდს აკლდა სამი მოთამაშე და აგრეთვე არ ყავდათ თავიანთი გუნდის მეკარე. სტუდენტების გუნდმა თავიდანვე გაცხოველებული ტემპით დაიწყო თამაში და უკვე 5 წუთზე პირველი ბურთი მოაქცია ტრანსპორტელების ბადეში. ტრანსპორტელები შეეცადნენ გაქვითებას და შედეგსაც მიაღწიეს. პირველი ტაიმი დამთავრდა 1 : 1

მეორე ტაიმში ტრანსპორტელებმა ხელთ იგდეს ინიციატივა. ხშირად იქმნება მწვავე მომენტები სტუდენტების კარებთან. მოულოდნელი სტუდენტების მეკარის გამოუცდელობის გამო მეორე ბურთს მიჰყვება მესამე, მეოთხე და მეხუთე ბურთი. თამაშის დამთავრებისას ტრანსპორტელები ჯარიმდებიან პენალტით, გუნიას მძლავრი დარტყმით გააქვს მეორე ბურთი. ამნაირად თამაში მთავრდება ტრანსპორტელების გამარჯვებით 5 : 2.

ამავე დღეს „დინამოს“ სტადიონზე გაიმართა შეჯიბრება ტრანსპორტელების და პოლიტეხნიკურ ინსტიტუტის მეორე გუნდებს შორის. შეჯ. დამთავრდა ტრანსპორტელების სასარგებლოდ 1 : 0.

შემთხვევები

კიდევ ტრამვაის მსხვერპლი

24 აპრილს, კომინტერნის ქუჩაზე ტრამვაის ვაგონმა (№ 5), რომელსაც მართავდა ვატმანი ნიკოლოზ გრიგორიევი, გაიტანა იოსებ სიმონისძე იაშვილი და სასიკვდილოთ დაშავა. იაშვილი სასწრაფოდ გადააგზავნეს საავადმყოფოში. ვატმანი შეპყრობილია.

შეპყრობა

ჯიბგირობისათვის შეიპყრეს ხასან-ოღლი (უბინაო) და ბესო აბრამისძე დავარაშვილი.

გვამის პოვნა

მცხეთის რაიონის ფარგლებში, ზაჰესის 1-ლი უბნის მახლობლად, აღმოჩენილი იქნა დამხრჩვალი მამაკაცის გვამი. ვინაობა გამოურკვეველია. სადგურ გორდაბანის ახლო იპოვეს დამხრჩვალი მამაკაცის გვამი, ამ უკანასკნელის ვინაობაც გამოურკვეველია

ჯიბგირობა

მე-72 შრომის სკოლის შენობაში მარიამ მიქაელიანს ჯიბიდან ამოაცალეს საათი.— სატრ. კოოპერაციის მაღაზიაში № 8 ეფემია ვასილიევას ამოაცალეს საფულე.

მეცნიერება და ტეხნიკა

ახალი პლანეტა

ჩვენი გაზეთის მკითხველებმა დეპეშიდან იციან, რომ ლოუელის ობსერვატორიის (შეერთ. შტატებში) ასტრონომებმა აღმოაჩინეს ნეპტუნს იქით მდებარე პლანეტა (ნეპტუნი არის მზის სისტემის პლანეტა; მზისგან დაშორებულია 4.501 მილიონი კილომეტრით; მზის გარშემო შემოვლას ანდომებს 164 წელიწადსა და 287 დღს; დიამეტრი უდრის 54.400 კილომეტრს. ნეპტუნი 1846 წელს აღმოაჩინა გერმანელმა ასტრონომმა **გალემ** ფრანგ ასტრონომ **ლევერიეს** გამოანგარიშების მიხედვით). პლანეტა ძლიერ ახლო იმყოფება იმ ადგილიდან, სადაც უნდა ყოფილიყო ნეპტუნს იქით მდებარე პლანეტა, რომლის არსებობა იწინასწარმეტყველა მარსის ცნობილმა მკვლევარმა, ცნობილმა ასტრონომმა **პერსივალ ლოუელმა**.

რამდენიმე წლის განმავლობაში ასტრონომები ფოტოგრაფიულად იღებდნენ ცის იმ ადგილს, სადაც ლოუელის გამოანგარიშებით უნდა ყოფილიყო ეს პლანეტა. ერთ პატარა (მეხუთმეტე სიდიდის) ვარსკვლავს, რომელიც გადაღებულ სურათზე გამოჩნდა, შეამჩნიეს მნიშვნელოვანი გადანაცვლება სხვა ვარსკვლავთა შორის. ეს გადანაცვლება იმის მაჩვენებელია, რომ ახლად აღმოჩენილი მნათობი არის პლანეტა და მზის გარშემო მოძრაობს ორბიტით, რომლის მანძილი მზიდან დიდია (1 ნახევარჯერ მეტი, ვიდრე მანძილი ნეპტუნიდან მზემდე).

ჩვენი ცენტრალური მნათობიდან ასეთი დიდი მანძილით დაშორებული ახალი პლანეტა მეტად ნელა მოძრაობს სივრცეში. ასეთივე ნელია მისი ადგილმდებარეობის ხილული გადანაცვლება სხვა პლანეტთა შორის. შესწავლის დროს გამორკვეული იქნა მისი გზის მხოლოდ მცირედი ნაწილი და ამიტომ მისი ორბიტის, მზისაგან დაშორების მანძილის მასის, სიდიდის და მზის გარშემო ბრუნვის დროს სისწორით გამოანგარიშება ჯერ კიდევ არ შეიძლება. ეჭვს გარეშეა, რომ პლანეტა მზისაგან დაშორებულია 45-ჯერ მეტი მანძილით, ვიდრე დედამიწა მზისაგან (დედამიწა მზისაგან დაშორებულია 150 მილიონ კილომეტრით) და რომ მის შემოვლას მზის გარშემო სჭირდება არა ნაკლებ 270 წლისა.

ახალი პლანეტა დედამიწიდან კიდევ უფრო მეტი მანძილით არის დაშორებული და ამიტომ, ალბათ, უძლიერეს ტელესკოპებშიაც კი მას ექნება წერტილის სახე.

დიდი ხანია გამოსთქვამდნენ იმ აზრს, რომ მზის სისტემაში უნდა არსებობდეს მთელი რიგი ჯერ აღმოუჩენელი პლანეტები. ისეთი პლანეტის აღმოჩენის ცდები, რომელიც უფრო ახლო იქნებოდა მზესთან, ვიდრე მერკური, უშედეგოთ დამთავრდა. მარსსა და იუპიტერს შორის მდებარე პლანეტის ძებნას შედეგად მოჰყვა რამდენიმე ათეულ ე.-წ. მცირე პლანეტების აღმოჩენა. ამ პლანეტების ძებნა სწარმოებდა „ბრმათ“, რაიმე წინასწარი გამოანგარიშების ან მოსაზრებების გარეშე.

სულ სხვანაირად მოხდა ნეპტუნის აღმოჩენა. ურანის აღმოჩენის შემდეგ (1871 წ.) შეამჩნიეს ერთგვარი „უსწორმასწორობა“ მის მოძრაობაში, რაც შეიძლებოდა მხოლოდ იმით ახსნილიყო, რომ ურანს უკან მოძრაობს მეორე დიდი პლანეტა, რომელიც თავისი მიმზიდველობით იწვევს მცირეოდენ გადახრას იმ გზიდან, რომლითაც იმოძრავებდა ურანი მარტო მზის მიმზიდველობის ზეგავლენით.

ფრანგმა ასტრონომმა ლევერიემ გამოიანგარიშა ადგილი, სადაც უნდა ყოფილიყო უცნობი პლანეტა. მისი გამოანგარიშება ბრწყინვალედ დადასტურდა და ამ გზით აღმოაჩინეს ნეპტუნი. მაგრამ ამის შემდეგაც ურანის მოძრაობაში დარჩა ერთგვარი „უწესრიგობა“, რასაც მეცნიერები ხსნიდენ უცნობი პლანეტების არსებობით ნეპტუნს იქით. ეს მოსაზრება ამჟამად გამართლებულია. ამერიკელ ასტრონომებს განზრახვა აქვთ ახალ პლანეტას უწოდონ პლუტონი.

—:—

ცეცხლგამძლე ხე

ხისათვის ცეცხლგამძლე თვისების მიცემის მეტად საინტერესო წესი შეიმუშავეს გერმანიაში. ხის ფესვებში სპეციალური ნემსის საშუალებით შეჰყავთ კრემნიუმის მჟავისა და სხვა ქიმიურ ნივთიერებათა მარილები. ამის შემდეგ ხე აბსოლუტურად ცეცხლგამძლე ხდება და მაგრდება. ამგვარივე წესით ხდება ხის შეღებვა სხვადასხვა ფერად.

რადიო-გადაცემა

შაბათი 26 აპრილი.

დღეს თბილისის რადიო-სადგურიდან გადაცემული იქნება: დილის 9 ს. 30 წუთიდან მუშათა შუადღე, ახალი ამბები და კონცერტი 17 საათიდან — პიონერის და მოსწავლის საათი ქართულ ენაზე. 17 ს. 25 წუთიდან რადიო-გაზეთი ქართულ ენაზე. 18 საათ. 05 წუთიდან გადაცემა სოფლისათვის: ქართული მუსიკის კონცერტი, აგრონომის საუბარი — ქართულ ენაზე. 19 ს. 10 წ-დან. დაუსწრებელ კოოპერატიულ კურსების ლექცია „კულტმუშაობა“ — ქართულ ენაზე. 19 ს. 35 წ-დან საუბარი — ომი და რელიგია, ქართულ ენაზე. დროის შემოწმება და გეოფიზიკურ ობსერვატორიის ცნობები. ანტრაქტების დროს რეკლამა, უკანასკნელი ამბები.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

მშრომელთა ყოფა-ცხოვრების სოც. გარდაქმნის ხელისშემწყობი ცენტრ. კომისიის თათბირი

28 აპრილს, საღამოს 7 საათზე, საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციაში, (მე-3 სართული, ოთახი № 17) შესდგება მშრომელთა ყოფა-ცხოვრების სოციალისტურად გარდაქმნის საკითხებზე მომუშავე ცენტრალური კომისიის თათბირი. სავალდებულოა შემდეგი ამხანაგების დასწრება: **ს. სტეფანიანი** — ც. კ., **საშა ჯაფარიძე, გ. სააკიანი, მესხი** — ფინსახკომი, **კუტაიძე, ფრანგულიანი, შავერდოვა, ანთიძე, ბუაძე** — პროფსაბჭო, **კანდელაკი** — განათლების სახ. კომისარიატი, **ათოევი** — შრომის სახალხო კომისარიატი, **ჩხარტიშვილი** — პოლიტგანათლების მთავარი სამმართველო, **ბუჯიაშვილი** — ა. ლ. კ. კ. ცენტრალური კომიტეტი, **ბიქვაია** — ნორჩ პიონერთა ცენტრალური კომიტეტი, **თოდრია** — საქ. ცაკი, **კონიევი** — სახელმწიფო საგეგმო კომისია, **პევცოვი** — ს. მ. უ. საბჭო, **არუთინოვი** — კოლმეურნეობათა ცენტრი, **დვარეცკიძე** — საბინაო კავშირი, **ერისთავი** — მუშკოოპი, **შიუკაშვილი** — საქ. ცაკი, **შულგინა** —ბავშვთა კომისია, **ფილია** — „მუშა“-ს რედაქცია, **კიკნაძე** — „კომუნისტი“-ს რედაქცია, **ტაბოლოვი** — „ზარია ვოსტოკა“, **გრიგორიანი** — „რაბოჩაია პრავდა“, **მახათაძე** — „ახალგაზრდა კომუნისტი“, **ნ. მახარაძე, ალაჯალოვა, ნ. მგელაძე, დალნაია, კ. მიხაილოვა** — თამბაქოს ფაბრიკა, **სარიანი** — „ზარია ვოსტოკა“-ს რედაქცია, **კუზნეცოვი** — „რაბოჩაია პრავდა“-ს რედაქცია, **ჩარკვიანი** ც. კ., **აბდრიაძე** — თბილისის საოლქო კომიტეტი, **თათულოვი** — ა.-კ. საოლქო კომიტეტი.

—.—

საქ. კომპარტიის (ბ) თბილისის საოლქო კომიტეტის პარტმუშაობის ცენტრალური კაბინეტი იუწყება, რომ დღეს, 26 აპრილს, საღამოს სრულ 6 საათზე, შესდგება ამხ. შარიას კონსულტაცია ისტორიული მატერიალიზმის შესახებ.

ისტორიული მატერიალიზმის წრეთა წევრებისა და იმ ამხანაგების დასწრება, რომლებიც თვითგანვითარებაზე მეცადინეობენ, აუცილებელია დაუგვიანებლივ.

—:—

რემედასის 26 კომ. სახელობის რაიკომი იუწყება, რომ 28 აპრილს, საღამოს სრულ 6 საათზე რაიკომის შენობაში (კახეთის ქ. № 1, მეორე სართულზე) მოწვეულია რემედასის პლენუმი.

რემედასის ბიუროს წევრების, მდივნებისა და თავმჯდომარეების დასწრება აუცილებელია.

ოპერისა და ბალეტის სახ. თეატრი 1929—30 წ. სეზონი

შაბათს, 26 აპრილს აბონემენტის გარეშე უკანასკნელად სეზონში 1) **ჩიო-ჩიო-სანი** (ქ-ნი ბატერფლეი) 2) ლენინგრადის სახ. ბალეტის პრემიერების მ. ტ. სემიონოვას და ვ. ა. სემიონოვის გამოსათხოვარი გამოსვლა **„წითელი ყაყაჩო“** (ცალკე ნომრები).

კვირას, 27 აპრილს, უკანასკნელად ამ სეზონში აბონემენტის გარეშე **„შოთა რუსთაველი“**.

ორშაბათს, 28 აპრილს, მე-13 აბონ. მე-4 წარმოდგენა მოსკოვის დიდ თეატრის პრემიერის ი. ს. კოზლოვსკის მონაწილეობით **რიგოლეტო**.

ნ. 715

სახელმწ. ოპერის თეატრი

მე-2 სახელმწ. დრამის თეატრი

გასტროლები თბილისში კოტე მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით

1. 2. 3. 4 აბონემენტი გაყიდულია

ყველა დარჩენილი ადგილები, რომელნიც ადგილკომების მიერ შეკვეთილი იყო და დღემდე არ წაუ ღიათ დღეიდან გაიყიდება ინდივიდუალურ მოთხოვნილების მიხედვით. ნ. 709

აპოლო 1-ლი სეანსის დასაწყისი 5 ს. 50 წ.

სპარტაკი ყოფ. არფასტო

საქართველოს სახკინმრეწვის ახალი ნაწარმოები **საქართველოს კურორტები** ავტორი-დამდგმელი — ე. ხუპატაშვილი ოპერატორი—ფ. გეგელი

რ. ლიუქსემბურგის სახ. (ყოფ. მინიონი)

მხატვრული ფილმი ა. ზორიჩის ფელეტონის თემაზე **კარავაევის დანაშაული**

პალასი 1-ლი სეანსის დასაწყისი 6 ს. 15 წ.

ახალი სურათი **იუდა** რეჟისორი—ივანოვ-ბარკოვი

სოლეი 1-ლი სეანსის დასაწყისი 5 ს. 50 წ.

უცხოეთის მხატვრული სურათი **ბიძია თომას ქოხი** ბიჩერ-სტოუს ცნობილი რომანის მიხედვით

დარბაზი 1-ლი სეანსის დასაწყისი 6 ს. 15 წ.

დუგლას მაკ-ლინი კომედიაში **ლეიტენანტი რილეი** ცნობილი ჰუმორისტების ტრიო ბროუნტალის გასტროლები.

საზოგადოება

„წერა-კითხვა“

აცხადებს, რომ მისი ერთდღიური გაზეთი სხვადასხვა მიზეზებისა გამო ნაცვლად პირველი მაისისა გამოვა ა/წ. 1 ოქტომბერს. ნ. 716

ექ. ნატალია გიორგის ას. კონტოროვიჩისა

გადავიდა ძერჟინსკის ქუჩაზე № 9 (ყოფილი პეტრე დიდის). მიღება დილის 11—3 და საღამოს 6—8 საათამდე. 25—1

ა.-კ. სანაპირო დამცველ რაზმს

ესაჭიროება

ერთი ინჟინერი-მშენებელი და ერთი გამოცდილი ტეხნიკოსი მშენებელი სამუშაოთა დამოუკიდებლად საწარმოებლად.

წინადადებებით უნდა მიმართოთ: ქ. თბილისი, ძერჟინსკის ქ., № 19, ოთახი № 90. ნ. 706 2—2

რუსთაველის თეატრი

შაბათი 26 აპრილი

სერია ბ 1 აბონ. მე-5 წარმ.

გრ. რობაქიძე

ლამარა

პიესა 4 კამარად

დადგმა ალ. ახმეტელის

მხატვარი ი. გამრეკელი

ინვალიდთა კოოპერატიული არტელი „მშრომელი“

თანახმად სათანადო ორგანოების დადგენილებისა ა. წ. 16 აპრილიდან კოოპინკავშირის სისტემიდან გადავიდა პოლიტკატორღელთა სისტემაში. მოხდა ლიკვიდაცია პირველის ხაზით და განაგრძობს მუშაობას პოლიტკატორღელთა ხაზით.

2302 სალიკვიდაციო კომისია.



მიღებულია

როიალები

და

პიანინოები

სხვა და სხვა ფირმებისა და ნიმუშების

და

სასულე ინსტრუმენტები

ფასის გადახდა 18 თვის განმავლობაში

გახსნილია იაფი ნოტების ქვეგანყოფილება 40-80 პროცენტამდი ფასდაკლებით.

კომინტერნის ქუჩა № 5.

მუშკოოპი.

ნ. 714 3—1

ა.-კ. ს.ფ.ს. საბჭოს 1930 წლის 22 აპრილის ბრძანების № 234-ის საფუძველზე მოეწყო და მუშაობას შეუდგა

ფედერატიული მნიშვნელობის

სახელმწიფო საპროექტო-საკონსულტაციო ტრესტი

„ზაკგოსპროექტ“-ი,

რომლის წესდებაც დაამტკიცა ამიერ-კავკასიის ს.ფ.ს. რესპუბლიკის ს.მ.უ. საბჭოს პრეზიდიუმმა 1930 წლის 10 აპრილს, ოქმი № 32.

ტრესტის სამმართველო იმყოფება ქალ. თბილისში, ლენინის ქ. № 11, ტელ. № 19—74.

ტრესტი ღებულობს შეკვეთებს სამრეწველო და არასამრეწველო მშენებლობისა და კომუნალური მეურნეობის მშენებლობის შენობათა და ნაგებობათა პროექტების შედგენაზე სახელმწიფო, კოოპერატიული და საზოგადოებრივი დაწესებულებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების დავალებით.

სამუშაოთა ანაზღაურება ხდება დაწესებული ნორმებით.

გარდა პროექტების, ხარჯთაღრიცხვებისა და გამოანგარიშების შედგენისა, როგორც ახალ ნაგებობათა მშენებლობისათვის, ისე არსებულ სამოქალაქო და საინჟინერო ნაგებობათა გაფართოვებისა და რეკონსტრუქციისათვის, „ზაკგოსპროექტ“-ი იძლევა კონსულტაციისა და ექსპერტიზას საამშენებლო-ტეხნიკური ხასიათის საკითხებზე და განსაკუთრებული შეთანხმებით აწარმოებს პროექტების შედგენასთან დაკავშირებულ სხვადასხვა ტეხნიკურ ძიებასა და გამოკვლევას.

სამრეწველო და სხვ. მშენებლობის პროექტების ტეხნოლოგიური ნაწილი „ზაკგოსპროექტ“-ს შეუძლია დასამუშავებლად გადასცეს სათანადო სპეციალურ საწარმოებსა და ფირმებს, რომლებიც ამუშავებენ და ადგენენ ხაფაბრიკო-საქარხნო და მექანიური მოწყობილობის პროექტებს. ნ. 707

ქვემოდ ჩამოთვლილი დოკუმენტები

(დაკარგული და მოპარული) ჩაითვალოს გაუქმებულათ.

— ბავშის პურის წიგნ.— სერგო ნაზაროვის სახელზე.	2335
— პროფკავშ. საწ. წიგნ.—გრიგოლ მიხეილის-ძე ფრუიძის სახ.	2319
— კავშ. წიგნ. № 5796—სონია გიორგაძის სახელზე.	2316
— სატრან. კავშ. წიგნ.—გიგო ძაგანელის სახელზე.	2320
— პირად. მოწმ.—მარო ანდრიას ასული ჯეჯენაშვილის სახელზე.	2313
— კავშ. წიგნ. № 1793—გიორგი დავითაშვილის სახელზე.	2301
— პირად. მოწმ. № 50—ფენია გიორგის ასული ხიტირიას სახ.	2298
— ზურგის ლაშქრის წიგნაკი—გიორგი როსტომის-ძე ბერაიას სახ. გაცემული თბ. 1-ლი უბნის საადრიცხვო მაგიდიდან.	2299
— საანგ. წიგნ. № 1—ნოე გაბრიელის-ძე კაკაბაძეს სახელზე.	2303
— პურის წიგნ. № 40296—სონა მალეროვას სახელზე.	2304
— ერკოპის წიგნ. № 88198—მარო ჯახუტაიძის სახელზე.	2306
— „ზაკტპო“-ს წიგნ. № 67734—ა. კიკნაძის სახელზე.	2307
— კავშ. წიგნ. № 13/20639 - ივანე ერისტოს-ძე ბახტაძეს სახელზე.	2312
— ლო ბ. ქვ·თ. № 067446.	2311
— მეტრიკ. № 1016—ვიქტორ მაიერის სახელზე.	2300

ექიმები და სამკურნალო დაწესებულებები:

პ. ს. ფონ-ირტელი პლეხანოვის პრ. № 10 (ყ. ვორონცოვის მოედანის მახლობლად). სპეციალურად საშარდე-სასქესო, ვენერიული, კანის, ქირურგიული ავადმყოფობანი, სიფილისი და სხვ. (სქესობრივი უძლურების, ტრიპერის, სიფილისის, ბუასილიდა სიმსივნეთა მკურნალობა). ავადმყოფების მიღება დილის 8—12 საათამდე და სალ. 5—8 საათ. ქალების მიღება დღის 1—2 საათ. 13—10

ი. ი. ბერიშვილი ვენერიული, საშარდე-სასქესო ორგანოების სიფილისია და კანის ავადმყოფობა დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 საათ. ქალებისათვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას“ (ყოფ. „ნოე“-ს პირდაპირ, ჩოდრიშვილის და პლეხანოვის შესახვევი № 8. 25—1

ნინო მირიანაშვილი ექიმი—ვენეროლოგი იღებს კანის და ვენერიულ ავადმყოფებს—ტრიპერი, სიფილისი, შესხმა „914“ (ქალებს და ბავშვებს) საღამოს 6—8 საათამდე. მოსკოვის ქუჩა № 4 ყოფ. ზემელის აფთიაქთან, ტელ. 14—23. 25—1

ტერ-ოვაკიმოვი სპეციალურად ექიმობს სქესობრივ ფუნქციონალურ მოშლილობას (სქესობრივი ნევრასტენია), პსიქოტერაპია. მიღება დილით 10—12 საათამდე, საღამოს 6—8 საათამდე. ა.-კ. ფედერაციის ქ. (ყოფ. ველიამინოვის) № 22. 25—1

გ. ნ. ონანოვი სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი: სქესობრივი უძლურების წამლობა. ავადმყოფები მიიღება ყოველდღე დილის 9-დან 11 საათამდე, საღამოს 5—8 საათამდე. კ. ცეტკინის ქ. (ყოფ. ელისაბედის) სახ. № 3. 25—1

დ. ლ. თევზაძე ყელის, ყურის და ცხვირის სნეულებათა—ხმის და მეტყველების მოშლილობათა. ეზოფაგოსკოპია და ბრონქოსკოპია აქვე სპეციალურად არის მოწყობილი ფიზიო-ტერაპიული მეთოდებით მკურნალობა. მიღება: საღამოს 5—7 საათ. გარდა კვირა დღეებისა. ჭონქაძის ქ. № 9 (ყ. გუდოვიჩის) სოლოლ. ტელ. 25—73. 25—1

ნ. კონტოროვიჩი თმის მკურნალობა და სამკურნალო კოსმეტიკა ყოფ. ფრეილიძეს ქ. № 1. აღმასკომის ქ. კუთხე. თმის, ფერის მჭამელას, ჭორფლის, მეჭეჭის, ნაოჭის და სხვ. მკურნალობა. ელექტრონის შუქით სამკურნალო უახლესი აპარატებისა და საშუალებების გამოყენება. მიღება 11-დან 3-მდე და საღამოს 6-დან 8 საათამდე. 25—1

ა. ვ. მიქაბერიძე პარიზში 1923 წ, დაამთავრა „სილამაზის ინსტიტუტი“ მახაჟი სახის, კისრის, ხელების და თმის მკურნალობა. ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ. ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19. იღებს დილით 10-დან 3-მდე და საღამოს 5—8 დე. შესასვლელი ძნელაძის შესახვევიდან. 25—1

ლოგოპედი ა. ა. კაიშაური ყოფილი გამგე მოსკოვის მეორე უნივერსიტეტთან არსებულ ლოგოპედიის კაბინეტისა. ასწორებს ლოგოპათებს: ენაბლუებს, ენაჩლუნგებს, აფატიკებს და მეტყველების ყოველგვარ დეფექტებს. იღებს საღამოს 5—7 საათ. კლარა ცეტკინის ქ., (ყოფ. ელისაბედის) № 132 ტელ. 26—01. 25—1

პ. ი. ჯალალოვი ავადმყოფების მიღება (კანისა და ვენერიული სნეულებანი) სიფილისი, შეშხაპუნება „914“ ტრიპერისა და მისი შედეგების მკურნალობა. მამაკაცთა მიღება: დილით—7—8 ს. საღამოს—6—9 საათ. ქალები და ბავშვების მიღება: 1—6 საათამდე. ჩასამართი: კამოს ქუჩა, № 19 ყოფ. დიდი მთავრის ქ., კარლ მარქსის მოედნის მახლობლად. ტელეფონი 1—91 25—1

სამუდამოთ გულმოკლულნი: დედა პასიკო, ძმები: სეფე, პავლუშა, დები: ცუცა, ნინა, თამარა მეძმარიაშვილისა, ოლია კახიანისა, რძალი კატუშა ნანეიშვილის ასული, სიძეები: გერონტი მეძმარიაშვილი, უორქიკა კახიანი, ძმისშვილი ქუცუნა, დისშვილი რეზიკო იუწყებიან, რომ ა. წ. 22 აპრილს მძიმე და ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი საყვარელი და მუდამ მოსაგონარი

ტარასი ლუკას-ძე რუსაძე

დაკრძალვა დღე, 5 საათზე, ვერის ახალ სასაფლაოზე. 2297

სამსონ გრიგოლის ძე მახათაძე მეუღლით ნინათი და შვილები გრიშა ცოლშვილით, თამარა და მიშა გულის ტკივილით დასტირიან ძვირფას ადამიანის

ტარასი ლუკას-ძე რუსაძის

გარდაცვალებას. გამოსვენება დღეს, 5 საათზე, ელბაქიძის დაღმართიდან № 5. 2308

დავით ჩირაძე თავის ცოლშვილით ბაბილო და ნათელათი ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ ძვირფას და დაუვიწყარ მამიდაშვილის

ტარასი ლუკას-ძე რუსაძის

გარდაცვალების გამო. ნ. 710

ელისაბედ ბრეგაძე შვილებით: სიკო, ლადო და ვალიკოთი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მათთვის დაუვიწყარი

ტარასი რუსაძის

უდროოდ გარდაცვალებას. ნ. 711

1905 წელში ქ. ქუთაისში მომუშავე ამხანაგები: გ. კილაძე, ა. ლორთქიფანიძე, ვ. ტურაბელიძე, თ. კვირიკაძე, ვ. ავალიანი, კ. ყვავაძე, მ. ჩხეიძე, გ. მგალობლიშვილი, ა. ძოწენიძე, ს. მატარაძე აუწყებენ საზოგადოებას, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ ფარმაცევტიულ დარგს გამოაკლდა ღირსეული წევრი

ტარასი ლუკას-ძე რუსაძე

გამოსვენება 26 აპრილს, საღამოს 5 საათზე, ელბაქიძის დაღმართი სახლი № 5. 2321

22 აპრილს, თბილისში გარდაიცვალა დამსახურებული და ყველას მიერ პატივცემული ფარმაცევტი-ვეტერანი ამხ.

ტარასი ლუკას ძე რუსაძე

რასაც აუწყებენ საზოგადოებას და ამხანაგებს თბილისის ფარმაცევტები. (ს)

თავზარდაცემულნი მშობლები ანა და პავლე კაჭკაჭოვები; ძმები: კონსტანტინე, ლევანი, სერგო, იაკობი; დები: ვარო, ვარსენიკა, შუშანიკა, არევო, ელენე; რძლები: ნინა და ნადია შვილებით; სიძეები: სიმონ მატოიანი და გუგულა პაპოვი შვილებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ყველასათვის ძვირფასი და საყვარელი

პატარა თამრიკო

პანაშვიდი დღეს, გონჩარნის ქ. № 36, 7 საათზე. გამოსვენება კვირას, 27 აპრილს, 4-ნახ. საათზე, კუკიის სასაფლაოზე. 2318

ულმესად დამწუხრებული მეუღლე ზაქრო, შვილი ჯონიკო, მაზლები: კოლია ცოლშვილით ქსენია ტუშიკო, ციალა, გაბო ცოლშვილით, პარმენ, ბიქტორი, მულები: პოპია, კალისტა ქმარშვილით დედამთილ-მამათილი ალექსი, ლალო, მშობლები: იასონი და კატო, აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ძვირფას

კლავდია კერესელიძის

უდროოდ დაკარგვას. გამოსვენება არამიანცის საავადმყოფოდან კვირას, სრულ 3 ნახ. საათზე. დაკრძალვა პეტრე-პავლეს სასაფლაოზე. (ს)

დამწუხრებული მეუღლე ანიკო, შვილები: პლატონ, ალექსანდრე, სევერიანი, კორნელი; ქალიშვილები: ფედოსი, მარუსია, გუგულა, თამარა, რძალი დუსია ანდრიაძეები აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი საყვარელი მამა

დიანოზ სიმონის-ძე ანდრიაძე

დაკრძალვა კვირას, 27 აპრ. გოჩა-ჯიხაიშში (ხონის რაიონი). ნ. 713

ღრმად დამწუხრებული დედა დარო ალექსიშვილი, ძმა იოსები მირიმანოვი, და ანნა ქმრით სვიმონი შვილებით მიშა და ვახტანგ ურატაძეები აუწყებენ ნაცნობ მეგობრებს, რომ 23 აპრილს რკ. გზ. საავადმყოფოში ხანმოკლე ავადმყოფობით გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

გრიშა (მორიელი) მიხეილის-ძე ალექსიშვილი

გამოსვ. კვირას 27 აპრ. სრულ 3 ს. რკ. გზ. საავადმყოფოდან. (ს)

25 აპრილს, სოფ. წყნეთში გარდაიცვალა

ვასილ მელიქიშვილი

რასაც მწუხარებით აუწყებენ განსვენებულის მეგობრები. (ს)

დამწუხრებული მეუღლე აგრაფინა, შვილები: ვანიჩკა და გრიშა ცოლშვილები ქალიშვილები: ფეოდოსია და ოლია. ძმა ჰეიკო, რძალი თამარა შვილებით იაშვილები დაი მაშიკო ქმარშვილით მაღლაფერიძეები იუწყებიან, რომ 24 აპრილს, ტრაღიკულათ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი

იოსებ სიმონის-ძე იაშვილი

გამოსვენება კვირას, 27 აპრილს, 4 საათზე. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე პანაშვიდი დღეს, საღამოს 7 საათზე. 2309

მთავრობის სასახლის დაწესებულებების მ/მოსამსახურეთა გაერთიანებული ადგილკომი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ ტრაღიკულად გარდაიცვალა საქ. სახკომსაბჭოს შიკრიკი

ამხ. იოსებ იაშვილი

პანაშვიდი დღეს, 6 საათზე რესპუბლიკის საავადმყოფოში. გამოსვენება იქიდანვე კვირას, 4 საათზე; დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 2305

გულდათუთქული მეუღლე შალიკო პატარა მერით, დედამამა: ოლღა, ნესტორი, შვილები: კაკო, თამარა, ზინა აუწყებენ საზოგადოებას, რომ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის საყვარელი

სონია გაგრატის ასული (ხაინდრავა) ჩითავასი

დაკრძალვა 27 აპრილს, კუკიის სასაფლაოზე. გამოსვენება 4-ნახ. საათზე, სადგურის ქ. № 33, პანაშვიდი საღამოს 7 საათზე. 2295

გულდათუთქული დედა ქანა შვილებით, მიშა ცოლშვილით ვენერა და ლამარათი, დები მარო, ნინა, ბაბუა დუტუ, ბებია სასი ხაინდრავები, ბიძია სერაპიონი და ბიცოლა ნადია რაზმაძეები აუწყებენ საზოგადოებას, რომ მძიმე ავადმყოფ. შემდეგ გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი

სონია გაგრატის ასული ჩითავასი

დაკრძალვა 27 აპრილს, კუკიის სასაფლაოზე. გამოსვენება სადგურის ქ. № 33, 4 ნახ. საათზე. პანაშვიდი 26 აპრილს, საღამოს 7 საათზე. 2295

გულდაწყვეტილი მამიდა ეფროსიმე და მეუღლე ალექსანდრე ლუნიევი შვილებით: ვალია და თამარათი აუწყებენ საზოგადოებას, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი საყვარელი

სონია გაგრატის ასული (ხაინდრავა) ჩითავასი

დაკრძალვა კვირას, 27 აპრილს, 4-ნახ. საათზე კუკიის სასაფლაოზე.

ს.კ.პ. (ბ) ლენინის რაიკომი აუწყებს, რომ პარტიის ყველა წევრებს და კანდიდატებს, რომ 24 აპრილს გარდაიცვალა პარტიის ძველი წევრი

ამხ. გრიგორი ალექსაშვილი

გამოსვენება 27 აპრილს, დღის 3 საათზე, რკინის გზის საავადმყოფოდან. 2314

თბილისის სადგურის სატრ. კოოპერაციის ბუფეტების მუშა-მოსამსახურენი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ბუფეტის თანამშრომელი

ამხ. თომა დარისპანის-ძე გოცირიძე

გამოსვენება ბინიდან შრომის ქ. (ყოფ. სამავოლნი) № 70, 27 აპრილს, 4 საათზე. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 2317

გარდაგვეცვალა ერთად ერთი პატარა ვაჟი

ვენარტი

რასაც ვაუწყებთ ნაცნობ მეგობრებს მშობლები: ვერა ეფრემის ასული და ექიმი გერასიმე დიმიტრის-ძე ქავთარაძე. დასაფლავება კვირას, 27 აპრილს, ლიხაურის თემში. ნ. 712

ღრმად დამწუხრებულნი: დედა ანა; ძმები: ანდრია, იასონი, ალექსანდრე, ივანე, დავითი, კოსტა და ვასიკო; ბიძის შვილი: სერგო; რძლები: ნინო, სონა, ანო და ქეთო აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს ძვირფას და დაუვიწყარ

ლევან გიორგის-ძე მაისურაძის

ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაცვალებას. გამოსვენება დღეს, 26 აპრილს, თამარშენის ქ. № 9. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 2310

დამწუხრებული დები მართა აღლაძე და სოფიო ხირსელი თავიანთი შვილებით, ლევან და ვალოდია კიკნაძეები ოჯახითურთ იუწყებიან, რომ დღეს, 26 აპრილს, 5 საათზე ვერის ახალ სასაფლაოზე დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი მათთვის დაუვიწყარ

ნატალია დავითის ასულ ხირსელის

ხსოვნის აღსანიშნავად. 2296

ტირაჟი—54.571

საგაზეთო გამომცემლობათა სტამბა „კოლექტივი“, კამოს ქ. № 68.

მთავლიტი № 904